საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჟორდანიამ ძველი თანაგუნდელები მიიწვია

ჰოლანდიურ მედიას მალე საჯაროდ განუცხადებენ...

» გვერდი 2



### სომხებს კი მოვუგეთ, მაგრამ ცვლილებები აუცილებელია

U 21. მატჩის შემდეგ

*ინტერვიუ ოთარ გაბელიასთან*

» გვერდი 2

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

13 აგვისტო **პარასკევი** 2010
№ 189 (13 177) ფასი 60 თეთრი

# სოფიაში გამარჯვება გაგვიჭირდება, მაგრამ...



## ნიკა ცქიტიშვილი: იმედი მაქვს, რომ წარმატებას მაინც მივაღწევთ

» გვერდი 12



## კაპელომ ბექჰემი მოიშორა

ვეტერან ნახევარმცველს მხოლოდ გამოსათხოვარი მატჩის იმედი უნდა ჰქონდეს

» გვერდი 6



## ლივერპულმა მასკერანოს შემცვლელი იპოვა

როი ჰოჯსონის გუნდმა იუვენტუსიდან კრისტიან პოულსენი შეიძინა

» გვერდი 6

**სამი ქართველი ვიტესის დირექტორატში**

# ჟორდანიამ ძველი თანაგუნდელები მიიწვია



გადაწყვეტილი ამბავია, **მერაბ ჟორდანია** უახლოეს პერიოდში ჰოლანდიის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის, "ვიტესის" მმართველი ოფიციალურად გახდება და ამას კლუბის გულშემატკივრებსა და ჰოლანდიურ მედიას მალე საჯაროდ განუცხადებენ – სავარაუდოდ, 14 აგვისტოს, "აიაქსი"-"ვიტესის" მატჩის შემდეგ.

მერაბ ჟორდანიას ევროპული ფეხბურთის მამებში იმხელა ავტორიტეტი ალმოაჩნდა, რომ მისით "ჩელსის" მეპატრონე **რომან აბრამოვიჩი** დაინტერესდა, ახლახან კი "ვიტესი" ოფიციალურად შეიძინა - გუნდის აქციების მხოლოდ ნაწილი თუ მთლიანად კლუბი, ამ ინფორმაციას არ ვფლობთ.

მოკლედ მოგახსენებთ ინფორმაციას, რომელიც ჟორდანიას წრეში გავგვიმხილეს: მალე ამსტერდამში გაემგზავრება არა მხოლოდ მერაბ ჟორდანია, არამედ ქართული სამეული - თბილისის "დინამოს" დირექტორატის კიდევ ორი ყოფილი წევრი, **უჩა მალაზონია** და **ლერი სულაბერიძე**.

მალაზონია ამჟამად ფიფა აგენტია, ლერი სულაბერიძე კი ფეხბურთს ჩამოშორდა, მაგრამ მას ბევრი საინტერესო პროექტი უკავშირდება. მაგალითად, პროფესიული ფეხბურთის ლიგის ჩამოყალიბება, რომელიც მისი, **რევაზ არველაძისა** და **დიმიტრი რამიშვილის** პროექტი გახლდათ. 2008 წელს ეროვნულ ჩემპიონატში მაყურებელთა რაოდენობის გაზრდის მიზნით, სკოლებთან პარტნიორობის მონახაზიც ჰქონდა და განხორციელებას იწყებოდა, მაგრამ რუსეთთან ომის შემდეგ ვითარება აირია და ეს მშვენიერი ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა.

ამ ხალხის მისამართით თავის დროზე ბევრი პრეტენზია გაჩნდა, მაგრამ დრომ გამოაჩინა, რომ მათ ისეთი თბილისის „დინამო" ჩამოაყალიბეს, რომელსაც საქართველოში კონკურენტი არ ჰყავდა, ეროვნულ და სხვა ნაკრებებს კი გუნდი მუდამ ხარისხიანი ფეხბურთელებით ამარაგებდა. "ოცნების გუნდი" ოცნებადვე დარჩა და "დინამოს" ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, მის გარშემო კი უამრავი სკანდალი აგორდა და გაუთავებელი სასამართლო გარჩევები მიმდინარეობდა. თუმცა, დღეს იმ დონის კლუბიც სანატრელია და ეს ისეთი ფაქტია, რომელსაც ვერავინ გაექცევა – გადახედეთ დღევანდელ კლუბებს, რომელია მსგავსი კლასის მოთამაშეებით დაკომპლექტებული?

ისიც არავინ იცის, კლუბის ხელმძღვანელებზე გავრცელებული ხმებიდან რა იყო მართალი და რა - შეგნებულად გავრცელებული ჭორი. დრომ გამოაჩინა, რომ 14 წლის წინ, მათ წინააღმდეგ წამოწყებული ბრძოლა "დინამოს" ხელში ჩაგდებას ემსახურებოდა და კარგად დაგეგმილი შავი პიარი მიმდინარეობდა.

მერაბ ჟორდანია „ვიტესის" ან პრეზიდენტი, ან მმართველი დირექტორი გახდება, მალაზონია და სულაბერიძე კი - „ვიტესის" დირექტორატის წევრები.

ასე რომ, „ვიტესი" ქართული მმართველობის ხელში ხვდება. კლუბის ამჟამინდელი პრეზიდენტი ქართულ სამეულთან ერთად, პრესკონფერენციას გამართავს და ჰოლანდიას აცნობებს, რომ გარიგების შედეგად, კლუბში ახალი მმართველები მივიდნენ. შესაძლოა, ჰოლანდიის ჩემპიონატის მეორე ტურში, 14 აგვისტოს "აიაქსთან" მატჩამდე კლუბის ვიპლოჟაში ქართველები ოფიციალური სტატუსით გამოჩნდნენ.

ჰოლანდიის ჩემპიონატის პირველ ტურში კი „ვიტესმა" "დენ ჰააგი" 3:1 დაამარცხა და მატჩს მერაბ ჟორდანია დაესწრო, სულაბერიძე და მალაზონია კი ჰოლანდიაში დღეს გაემგზავრებიან.

ჯერჯერობით, კლუბში ქართველი ფეხბურთელები არ არიან, მაგრამ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში საინტერესო ტრანსფერებს უნდა ველოდოთ.

ინფორმაციის გადასამოწმებლად სანდო წყაროს დავუკავშირდით, რომელმაც კლუბის დირექტორატში ქართველების მიწვევის ფაქტი დაგვიდასტურა.

*"კლუბის ახალ მმართველ სამეულს ჰოლანდიაში 14 აგვისტოს, „აიაქსთან" მატჩის შემდეგ ოფიციალურად წარადგენენ და შემდეგ არავინ არაფერს არ დამალავს. მანამდე კი განცხადებებსა და კომენტარებს ერიდებიან. თუმცა, ისედაც ცხადია, რომ ეს ყველაფერი ქართულ ფეხბურთის სამსახურისთვის კეთდება და იქნებ, ჩვენს ფეხბურთს დაეხმარონ. ბუნებრივია, „ვიტესი" მათთვის მნიშვნელოვანი კლუბი გახდა, მაგრამ მთავარი მაინც საქართველოა. ყოველწლიურად უკან-უკან მივდივართ და იქნებ დახმარების ფორმა გამონახონ. ფაქტია, რომ ქართულ ფეხბურთს შველა სჭირდება. როდესაც თბილისის „დინამო" აიყვანეს, პატარა ბიჭები იყვნენ, შეცდომებიც დაუშვეს, მაგრამ თავისით გაიკვლიეს გზა. თავადაც გახსოვთ, რამხელა ზეწოლა იყო მათზე, ბოლო სამი წლის განმავლობაში, ლამის ყოველდღე პრობლემას უქმნიდნენ, მაგრამ „დინამოს" სახელი მეტნაკლებად მაინც შეინარჩუნეს და მინიმალურ ზღვარს ქვემოთ არ ჩამოსულან. მას შემდეგ დრო გავიდა და ალბათ ხალხმაც დაინახა, რომ იმ „დინამოს" დონის კლუბი ახლა სანატრელია. ახლა ბევრად გამოცდილები არიან, ბევრი ისწავლეს, შეცდომები გაითვალისწინეს და ევროპაში კარგი კავშირები აქვთ. ამ გამოცდილებით „ვიტესში" ბევრი რამის გაკეთებაა შესაძლებელი.*

*ქართველი ფეხბურთელის ჩაყვანას რაც შეეხება, ჰოლანდიაში სატრანსფერო ფანჯარა 31 აგვისტოს იხურება, მანამდე კი პრობლემურ პოზიციებზე მოთამაშეთა ძიება მიმდინარეობს და ბუნებრივია, უპირატესობას ქართველ ფეხბურთელებს მიანიჭებენ. თუმცა, ჯერ კონკრეტული არაფერია გადაწყვეტილი.*

*ჟორდანიამ და მისმა თანამოაზრეებმა კლუბის განვითარების კონკრეტული გეგმა შეიმუშავეს და ის ჰოლანდიელებს მოეწონათ".*

*P.S. გუშინ საინტერესო ამბავი გავრცელდა: რომან აბრამოვიჩი ჰოლანდიაში კიდევ ერთი კლუბით დაინტერესდა. ესტონური მედიის ინფორმაციით, ლონდონის "ჩელსის" მეპატრონეს ჰოლანდიური "ნეიმეგენის" ყიდვაც გადაუწყვეტია. ყველა საინტერესო ის გახლავთ, რომ აბრამოვიჩსა და "ნეიმეგენს" შორის მოლაპარაკებებში შუამავალი ყოფილი საფეხბურთო აგენტი და ესტონეთის საფეხბურთო კავშირის ამჟამინდელი პრეზიდენტი აივარ პოლაკია - მერაბ ჟორდანიას დიდი ხნის მეგობარი და პარტნიორი. სხვათაშორის, პოლაკის მონაწილეობით მრავალი ქართველი ფეხბურთელის ტრანსფერი განხორციელებულა.*

*მერაბ ჟორდანია კი რამდენიმე დღის წინ ლატვიიის საკურორტო ქალაქ იურმალაში ნახეს, სადაც სანაპიროზე აბრამოვიჩის იახტიდან რამდენიმე ადამიანთან ერთად გადავიდა და პლაჟის ფეხბურთით გაერთო.*

# უეფამ ვიდეორეფერიზე უარი თქვა

სამხრეთ აფრიკაში დასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მსაჯების შეცდომებმა ყველა დააფიქრა, რომ ვიდეორეფერის დანერგვა ფეხბურთს წაადგებოდა. ეს გადაწყვეტილება დროულად რომ მიეღოთ, მსოფლიო ფეხბურთში ბევრი უსამართლობა არ მოხდებოდა და ფიფა-უეფა ბევრად უკეთესი ორგანიზაციის სახელით ისარგებლებდა.

უეფაში უკვე მიხვდნენ, რომ ადამიანური შეცდომებისა თუ მანკიერების ალმოსაფხვრელად ვიდეორეფერი აუცილებელი იყო. ფიფა თავს იკავებდა და ამას ასაბუთებდა იმ მოსაზრებით, რომ ფეხბურთი ადამიანურ შეცდომებს ეყრდნობოდა. არადა, გამარჯვებულის სამართლიან გამოვლენას „მსაჯის შეხედულება" ხშირად ხელს უშლიდა.

ვიდეორეფერის მოწინააღმდეგეთა არგუმენტები მეტად მწირი და გაუგებარია და ყველა ხვდება, რომ მსაჯის „შეხედულება" ის იარაღია, რომელსაც ნებისმიერ დროს უსამართლოდ გამოიყენებს. რატომ უნდა ივარაუდოს მსაჯმა, ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა თუ არა, როდესაც ვიდეოგამეორება უზუსტეს პასუხს იძლევა? ამიტომაა, მსაჯის „შეხედულების" მიმართ ნდობა რომ დაიკარგა. თუმცა მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე, სამხრეთ აფრიკაში გამართულ ფიფას VI კონგრესზე უეფამ პირველ საკითხად კარის უკან მსაჯების დამატების საკითხი გამოიტანა, რასაც ფიფას პრეზიდენტი **იოზეფ ბლატერი** შეეწინააღმდეგა.

ერთი თვის წინ ვწერდით, რომ მსოფლიოში წამოწყებული დისკუსიას შესაძლოა, წერტილი საქართველოში დაესვას და პირველი ვიდეომსაჯი საქართველოს ჩემპიონატში დაინერგოსო.

ეს გაზეთ „ლელოსთან" ინტერვიუში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** განაცხადა: *"ამ საკითხზე მოლაპარაკება ფიფა-უეფასთან დავიწყეთ და ჩვენი დიდი სურვილია, ვიყოთ პირველი ქვეყანა არა მხოლოდ ევროპაში, არამედ, მთელ მსოფლიოშიც, სადაც ექსპერიმენტის სახით, ვიდეორეფერი დაინერგება".*

უეფას პრეზიდენტ **მიშელ პლატინის** თბილისური ვიზიტის შემდეგ, სიჭინავას კითხვა ამის თაობაზეც დავუსვით – გვაძლევს თუ არა უეფა იმ ექსპერიმენტის ჩატარების უფლებას, რომელიც ჩვენი ფედერაციის ინიციატივა იყო?

*"ეს პროექტი გამოირიცხა, უფლებას არ გვაძლევენ"*, - მოკლე და ლაკონური პასუხით ყველაფერი ცხადი გახდა. უეფა დამატებითი არბიტრების შემოღების მომხრეა და არა ვიდეოთვალის. კარგად რომ დავუკვირდეთ, ჩვენი ფედერაციისა და უეფას წინადადებები ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია. ჩვენებს ვიდეოთვალი სურთ, უეფას კი დამატებითი არბიტრები, ანუ ტექნიკის გამოყენებასაც ისინიც ეწინააღმდეგებიან.

არადა, სამწუხაროა – ვიდეორეფერის საქართველოში გამოყენება მნიშვნელოვანი მოვლენა გახდებოდა არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო ფეხბურთისთვისაც.

**U. 21**

# ოთარ გაბელია: სომხებს კი მოვუგეთ, მაგრამ ცვლილებები აუცილებელია



**საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ერევანში სომხებს 3:2 მოუგო და ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის საკმაოდ სერიოზული თეორიული შანსი გაუჩნდა. საერთოდ, ოთარ გაბელიას გუნდი იღბლიანი ჩანს, გულახდილად რომ ვთქვათ, სომხეთში ბედმა გვარიანად გაგვიღიმა, როდესაც მასპინძლებმა საკმაოდ ბევრი მომენტი გააფუჭეს. თუმცა, მათი უიღბლობა რაში გვადარდებს, მსგავსი რამ ჩვენც ათასჯერ დაგვმართნია და იღბლიანებს ყოველთვის შურის თვალით ვუყურებდით. ასე რომ, ღმერთს მადლობა, ჩვენ კი ნაკრების მთავარ მწვრთნელ ოთარ გაბელიას გასულ მატჩზე ველაპარაკეთ, რა უნდა გაკეთდეს, დარჩენილ ორ შეხვედრაში (თურქეთთან 4 სექტემბერს გასვლაზე და 7 სექტემბერს თბილისში სომხებთან) მხოლოდ იღბლის იმედად რომ არ ვიყოთ.**

**- ბატონო ოთარ, გასული თამაში შევაფასოთ, სომხეთი საკმაოდ მძიმე მეტოქე აღმოჩნდა.**

- მათი თამაში ირლანდიასთან და ესტონეთთან რომ ვნახე, მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვეს. განსაკუთრებით კარგად ბოლო მატჩში გამოიყურებოდნენ, რადგან ეროვნული ნაკრებიდან ხუთი ფეხბურთელი დაიმატეს. ჩვენ ჯგუფში ბევრი რთული მეტოქე გვყავდა, შვეიცარია, ირლანდია, ესტონეთი, მაგრამ ერევანში გამართული შეხვედრა ყველაზე რთული აღმოჩნდა. სომხებმა ეროვნული ნაკრებიდან ხუთი მოთამაშე დაიმატეს და მათ თავისი ძალა გამოაჩინეს, ჰამლეტ მხითარიანის მსგავსი დონის ფეხბურთელი კი არც ერთ მოწინააღდეგეს არ ჰყავს. გარდა ამისა, სიცხეც ხელს გვიშლიდა, მაგრამ ეს სომხებსაც უქმნიდა პრობლემას და არ მინდა ისე გაიგოთ, თითქოს ამინდი მხოლოდ ჩვენზე მოქმედებდა.

სხვათა შორის, მატჩამდე საკმაოდ დაძაბული ვიყავი. სომხები ჩვენი ძმები კი არიან, მაგრამ ჩვენი თამაშები ყოველთვის განსაკუთრებული დაძაბულობით გამოირჩეოდა. ასე იყო თბილისის "დინამოს" საბჭოთა ჩემპიონატში გამოსვლის პერიოდში და ასეა ახლაც. ჩვენ ყენია, მჭედლიძე, ბარაბაძე და დაუშვილი ვერ გვეხმარებოდნენ და ბუნებრივია, ამან დაგვასუსტა. თუმცა, სხვა გზა არ გვქონდა და უნდა გვებრძოლა.

**- კარგია ოთხეულის არყოფნა რომ ახსენეთ – წინა მატჩში შვეიცარიასთან ხშირად ახსენებდით დისკვალიფიცირებული გულვერდ თომაშვილის არყოფნას. "დინამოს" მცველი ერევანშიც იყო, მაგრამ ძირითადში რატომ არ ათამაშეთ, ის ხომ ახალგაზრდულში ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და საიმედო ფეხბურთელია?**

- აბსოლუტურად გეთანხმებით, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ შესარჩევ ციკლში დაცვამ ყველაზე საიმედოდ შვეიცარიასთან ბოლო მატჩში ითამაშა. ამიტომ ცვლილება არ მსურდა. არადა, ვფიქრობდი მის დაყენებაზე. თუმცა, როდესაც სომხებმა შემოგვიტიეს, თომაშვილი საჭირო გახდა და ვათამაშე. გულვერდს ვენდობი და ის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად მოიაზრება.

**- ჩვენი არ იყოს, სომხებმაც უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს. თქვენი აზრით, შედეგი ლოგიკური იყო?**

- სომხებმა თუ ვერ გაიტანეს და ჩვენი შესაძლებლობებით უკეთ ვისარგებლეთ, შედეგი ლოგიკური ამიტომ არაა?! ჩვენი პრობლემა კონცენტრაციის ნაკლებობაა. როდესაც 2:0 დავწინაურდით, მაშინ ყვირილით ხმა ჩამიწყდა, ბიჭებს ვთხოვდი, ყურადღებით ეთამაშათ, მაგრამ ამ ნაკლს მაინც ვერაფერი მოვუხერხე, აშკარად მოვეშვით და კინაღამ დავისაჯეთ. შეიძლებოდა შეხვედრა ფრედ დასრულებულიყო. ჩვენმებმა ჩათვალეს, რომ მოგებული გვქონდა, როდესაც მეორე გოლი მხოლოდ 49-ე წუთზე გავიდა, ანუ მთელი მეორე ტაიმი წინ იყო. თან, ხომ ნახეთ მსაჯი რას აკეთებდა და ვინერვიულე. კიდევ კარგი, გაშვებული გოლის შემდეგ, ბიჭები გონს მოეგნენ და კვეკვესკირის გოლმაც სულზე მოგვისწრო.

მეორე ტაიმში გუნდი რომ მოეშვა, ამის მიზეზი ისიცაა, რომ ზოგიერთი ფეხბურთელი შეკრებაზე მოუმზადებელი გამოცხადდა. მართალია, მოგებულ შემადგენლობას არ ცვლიან, მაგრამ თურქეთთან თამაშში კორექტივები თუ არ შევიტანეთ და 2-3 მოთამაშე არ გამოვცვალეთ, ძალიან გაგვიჭირდება. ყველამ იბრძოლა, რისთვისაც თითოეულ მათგანს მადლობას ვუხდი. ამის მიუხედავად, სირცხვილი იყო, ისეთ ბავშვურ შეცდომებს ვუშვებდით. საერთოდ, გუნდი, რომელიც მუდამ კონცენტრირებული არაა, წარმატებას ვერასდროს მიაღწევს. სულ ამას ვეუბნები ბიჭებს, მაგრამ მაინც იმავეს აკეთებენ.

**- სომხებს კი მოვუგეთ, მაგრამ ჩვენების შეცდომები დასაფიქრებელია. ზესტაფონში 0:4 წაგებისთვის, თურქეთი შინ გამწარებული შეგვიტევს და საეჭვოა, დაცვაში მსგავსი შეცდომები გვაპატიოს.**

- მარტო თურქები კი არა, არავინ გვაპატიებს. ესტონეთთან იგივე არ მოგვივიდა? ორჯერ მოვდუნდით და თამაში წავაგეთ, რაც დღემდე ვერ მომინელებია. თურქებთან მატჩამდე ბევრი პრობლემა გვაქვს. ჩვენ კიდევ არ ვიცით, ეროვნულ ნაკრებში ვის მიიწვევენ. ეროვნული ქვეყნის მთავარი გუნდია და უფლება არ გვაქვს, მოთამაშე არ გავუშვათ. სამწუხაროდ, მატჩების გრაფიკებიც დაემთხვა, ეროვნული ნაკრები შესარჩევ ციკლის მატჩებს 3 და 7 სექტემბერს ატარებს, ჩვენ კი 4 და 7 სექტემბერს და ესეც პრობლემაა. თუმცა, ყოველთვის ასე იყო და წუწუნს მიჩვეული არ ვარ – ასე რომ, დარჩენილ ორივე შეხვედრაში უნდა ვიბრძოლოთ.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები

მეტოქეები

# საბერძნეთი უკვე საშიშია

**ზუსტად** სამიოდე კვირაც და ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპს დავიწყებთ. ყოველი ახალი შესარჩევი ციკლი ჩვენთვის ახალი იმედია და საინტერესოა, თუ როგორ ხვდებიან ჩვენი მეტოქეები საკვალიფიკაციო ოფიციალურ მატჩებს. 11 აგვისტოს მათაც გენერალური რეპეტიცია ჰქონდათ და მოდი, გადავავლოთ თვალი და ვნახოთ, რომელმა გუნდმა როგორ ჩაატარა ეს რეპეტიცია.

## საბერძნეთი მოგებული დაგვიხვდება

**სერბეთი–საბერძნეთი 0:1**

გოლი: სალპინიდისი (45)

შესარჩევ ციკლს 3 სექტემბერს საბერძნეთთან გასვლითი მატჩით ვიწყებთ და ვნახოთ, თუ რა ვითარებაა მეტოქის ბანაკში. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატიდან გამოთიშვის შემდეგ ბერძნებმა ნაკრების თავკაცი შეცვალეს - გერმანელი **ოტო რეჰაგელი** პორტუგალიელმა **ფერნანდო სანტოშმა** ჩაანაცვლა. ბერძენთა ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის რანგში სანტოშს სწორედ 11 აგვისტოს, სერბეთთან გასვლით შეხვედრაში ჰქონდა არაოფიციალური დებიუტი, ოფიციალური კი სწორედ ჩვენს ნაკრებთან ელის.

ბერძნების ახალმა თავკაცმა ჯერ კიდევ სერბეთთან მატჩამდე განაცხადა, რომ ნაკრების ტაქტიკას შეცვლიდა. იგი ასეც მოიქცა და 4-4-2



საბერძნეთის ნაკრების ფეხბურთელები სერბების დამარცხებას ზეიმობენ

სქემით ათამაშა ბელგრადში გუნდი, რამაც გაამართლა და სანტოშს წარმატებული დებიუტიც გამოუვიდა. სერბეთში ბერძნებმა 1:0 მოიგეს. ეს ერთადერთი გოლი **სალპინიდისმა** გაიტანა.

ბელგრადში ჩატარებული მატჩით ელადელთა პორტუგალიელი მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა და მასმედიისთვის მიცემულ კომენტარში შემდეგი აღნიშნა:

*„ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. ჩვენი ფეხბურთელები კარგად ირჯებოდნენ როგორც დაცვით ოპერაციებში, ასევე შეტევისას. მართალია მხოლოდ ერთი გოლი გავიტანეთ, მაგრამ უფრო სოლიდურად მოგებაც შეგვეძლო. რაც მთავარია, აშკარად გამოჩნდა, რომ ფეხბურთელებს რწმენა და მონდომება არ აკლდათ. თუმცა ეს კიდევ არ იყო იდეალური თამაში და სამუშაო კიდევ გვაქვს. ჩვენი მთავარი მიზანია, საკვალიფიკაციო ეტაპის სასტარტო მატჩებს საქართველოსთან და ხორვატიასთან, სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ. მანამდე კიდევ არის დრო და ნაკლის დახვეწაზე უნდა ვიმუშაოთ“.*

საბერძნეთის ნაკრებმა სერბეთთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **სიფაკისი - ვინტრა (81. მანიატისი), კირიაკოსი (46. პაპადოპულოსი), პაპასტატოპულოსი, სპიროპულოსი - კაცურანისი, ტოროსიდისი (67. კაფესი), კარაგუნისი (87. მარინოსი), ნინისი (74. პაპადოპულოსი), - სალპინიდისი (46. გეკასი), სამარასი.**

## ფერნანდესმა ისრაელში ზავი ჩამოაგდო

შესარჩევ ციკლში ბერძნებთან მატჩის შემდეგ, 7 სექტემბერს ისრაელს ვუმასპინძლებთ და ვნახოთ, თუ რა ვითარებაა ამ გუნდში. შეგახსენებთ, რომ ელადელთა დარად ებრაელებსაც ახალი მწვრთნელი ჰყავთ. თუმცა, ისრაელის ნაკრები ფრანგმა თავკაცმა **ლუის ფერნანდესმა** გაზაფხულზე ჩაიბარა და უკვე ორ საკონტროლო შეხვედრაში უხელმძღვანელა გუნდს, მაგრამ ორივეჯერ დამარცხდა - 26 მაისს ურუგვაისთან 1:4, 30 მაისს კი ჩილესთან 0:3. 11 აგვისტოს ისრაელის ნაკრებს საერთაშორისო ამხანაგური მატჩი არ გაუმართავს. ორმა წაგებამ ფერნანდესს დაანახვა, რომ გუნდში სამუშაო ბევრია. ამიტომაც ებრაელთა თავკაცმა მოსამზადებელი შეკრება რამათ განში მოაწყო და ნაკრები გაფართოებული შემადგენლობით გამოიძახა. 11 აგვისტოს მან გუნდი შეკრიბა, ორ შემადგენლობად დაყო და 30-წუთიანი 3 ტაიმი ათამაშა. ებრაელთა ეს სპარინგმატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა.

*„აქამდე მხოლოდ ორ მატჩში ვათამაშე გუნდი და გამოჩნდა, რომ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. ამიტომაც, საჭიროდ ჩავთვალე მოსამზადებელი შეკრების მოწყობა. ფეხბურთელების მონდომებითა და საქმისადმი მიდგომით კმაყოფილი ვარ, მაგრამ საფეხბურთო ელემენტების დახვეწაზე მუშაობა უნდა გავაგრძელოთ. ჩვენი მიზანია, მალტასთან და საქართველოსთან მატჩებს მზადყოფნაში შევხვდეთ და ამ შეხვედრებში ჩვენი თამაშით გულშემატკივარი გავახაროთ“,* - აღნიშნა ებრაელთა ფრანგმა თავკაცმა.

ალბათ, საინტერესო იქნება იმ შემადგენლობასაც გადავავლოთ თვალი, რომელიც ფერნანდესმა ჩვენს ნაკრებთან მატჩისთვის ამ შეკრებაზე გამოიძახა:

მეკარეები: **დუდუ ავათი** (მალიორკა, ესპანეთი), **არიელ ჰარუში** (ბეითარი იერუს.), **ოჰათ ლევიტა** (ვაალვაიკი, ჰოლანდია);

მცველები: **დანი ბონდარი** (ჰაპოელი, თ-ა), **დეკელ კეინანი** (ბლეკპული, ინგლისი), **ავი შტრული** (მაქაბი, თ-ა), **იან ზივი** (მაქაბი, თ-ა), **თალ ბენ ჰაიმი** (ვესტ ჰემი, ინგლისი), **ოდედ ელქაიამი** (ჰაპოელი, ჰ.), **ადულ ტუბული** (ჰაპოელი, აშქ.), **გალ შიში** (ჰაპოელი, თ-ა);

ნახევარმცველები: **ავიჰაი იადინი** (ჰაპოელი, თ-ა), **თამირ კოხენი** (ბოლტონი, ინგლისი), **კორალ კოხენი** (ნიურნბერგი, გერმანია), **გილ ვერმუტი** (ჰაპოელი, თ-ა), **ლიორ რაფაელოვი** (მაქაბი, ჰ.), **ამია ტაგა** (ჰაპოელი, აშქ), **ეიალ გოლაშა** (მაქაბი, ჰ.), **იოსი ბენაიუნი** (ჩელსი, ინგლისი), **მაორ მელიქსონი** (ჰაპოელი,ბ-შ);

თავდამსხმელები: **ელიავინ ბარდა** (გენკი, ბელგია), **რობერტო კოლაუტი** (მაქაბი, თ-ა), **ითაი შეხტერი** (ჰაპოელი, თ-ა), **ერან ზეხავი** (ჰაპოელი, თ-ა), **ბენ საჰარი** (ჰაპოელი, თ-ა), **ბარაქ იცხაკი** (მაქაბი, თ-ა).

## ხორვატიისთვის საბერძნეთი უკვე საშიშია

**სლოვაკეთი–ხორვატია 1:1**

გოლები: **1:0 შტოხი (52), 1:1 ელავიჩი (54)**

ხორვატებთან წელს თამაში არ გვიწევს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხორვატია მეტოქედ პირველი კალათიდან გვერგო და ჯგუფში ფავორიტად მიიჩნევა. მით უმეტეს, **სლავენ ბილიჩის** გუნდი წელს ჩატარებულ მუნდიალზე ვერ მოხვდა და ყველაფერს გააკეთებს, ორი წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონატზე რომ იასპარეზოს. შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ხორვატებს გენერალური რეპეტიცია სლოვაკეთთან გასვლით ამხანაგურ შეხვედრაში ჰქონდათ. ბრატისლავაში გამართულ ამ მატჩში ორივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა. თავდაპირველად მასპინძლები დაწინაურდნენ, მაგრამ ბილიჩის ბიჭებმა საბოლოოდ ფრე გაახერხეს, გოლი შეცვლაზე შესულმა **ელავიჩმა** გაიტანა.

ხორვატიამ სლოვაკეთში 4-2-3-1 ტაქტიკითა და ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **რუნიე, შიმუნიჩი, შილდენფელდი, ჩორლუკა, სრნა, ვუკოევიჩი, მოდრიჩი, კრანჩარი (46. ელავიჩი) რაკიტიჩი (71. დუიმოვიჩი), ოლიჩი (46.ედუარდო), მანჯუკიჩი (46. პეტრიჩი).**

ხორვატები მეორე ტურში მთავარ მეტოქედ მიჩნეულ საბერძნეთს ხვდებიან. ბილიჩმა ბერძნების თამაშის სანახავად მზვერავი გაგზავნა. მსტოვარმა ბილიჩს მეტოქეზე საკმაო ინფორმაცია მიაწოდა და გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ამ უკანასკნელმა საბერძნეთის ნაკრები ასე დაახასიათა:

„ბოლო წლების განმავლობაში საბერძნეთის ნაკრებს ერთი მწვრთნელი ხელმძღვანელობდა და კარგად გვყავდა შესწავლილი ეს გუნდი. ბერძნების ახალმა თავკაცმა ბევრი რამ შეცვალა და საკმაოდ წარმატებულადაც. ბევრი რამ მითხრეს სერბეთში ბერძნების თამაშზე. შეიძლება ითქვას, რომ საბერძნეთის ნაკრები ეს არის გუნდი, რომელიც ჩვენთვის უკვე საშიში ძალაა. სანტუშის გუნდი ჩინებულად თამაშობს დაცვაშიც და შეტევაშიც და მის წინაალმდეგ ყურადღებით თამაშია საჭირო“.

## ლატვია პრაღაში დაჩეხეს

**ჩეხეთი–ლატვია 4:1**

გოლები: **1:0 ბედნარი (49), 2:0 ფენინი (54), 3:0 პოსპეხი (74), 4:0 ნეციდი (77), 4:1 ცაუნია (90)**

**ალექსანდრს სტარკოვსის** ლატვიის ნაკრები ჩეხებმა პრაღაში, 4:1 დაამარცხეს. ლატვიელებმა მრისხანე ჩეხებს პირველ ტაიმში კი გაუძლეს, მაგრამ შესვენების შემდეგ მასპინძლებმა სწრაფი გოლებით გატეხეს სტარკოვსის გუნდი. ოთხი გატანილი ბურთის შემდეგ ლატვიელთაგან პრესტიჟის გოლი მოედანზე შეცვლაზე შესულმა **ცაუნიამ** გაიტანა.

*„რა თქმა უნდა 1:4 წაგება საკმაოდ არასასიამოვნო შედეგია, მაგრამ აქაც შეიძლება პოზიტივის მოძებნა. ძლიერ გუნდს ვეთამაშეთ, რადგან შესარჩევ ციკლს მრისხანე ხორვატიასთან მატჩით ვიწყებთ. ვფიქრობ, ეს მატჩი ჩვენი გუნდის პროგრესს წაადგება. ახლა მთავარია მუშაობა გავაგრძელოთ და ხორვატიას მზად დავხვდეთ“,* - აღნიშნა ლატვიის ნაკრების თავკაცმა.

ლატვიამ ჩეხეთში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ვანინსი, კლავა, ივანოვსი, გორკსი, მიხადიუკი, ლაიზანსი, რაფალკისი (80. ფერტოვსი), პერეპლეტკინსი (74. სოლონიკინსი), რუბინსი (48. ჟიგაევი), ვერპაკოვსკისი (69. გრებისი), კარლსონსი (60. ცაუნია).**

## მალტამ მაკედონიასთან ფრე გაახერხა

**მალტა–მაკედონია 1:1**

გოლები: **0:1 ტრიჩკოვსკი (36), 1:1 მიფსუდი (47)**

ბოლოსთვის აუტსაიდერად მიჩნეულ მალტაზე ვთქვათ. კუნძულელებმა ამხანაგურ შეხვედრაში მაკედონიას უმასპინძლეს. ბალკანელებთან მალტა მინიმალურად აგებდა, მაგრამ **მიფსუდმა** წონასწორობა აღადგინა და მალტელებმა საბოლოოდ ფრე გაახერხეს.

მალტამ მაკედონიასთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ჰოგი, ქარუანა, მამო (46. ფაილა), სკიბერასი (65. რ. ფენეჩი), აგიუსი, ბაიადა (80. პ. ფენეჩი), ბრიფა (73. კოჰენი), მიფსუდი, ბოგდანოვიჩი, ჰერერა, პასე.**

ლეგიონერი



# კვირკველია სიბირში ითამაშებს

## დებიუტი ნალჩიკში თუ ჰოლანდიელებთან?

საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველმა **დავით კვირკველიამ** კიდევ ერთხელ შეიცვალა მისამართი. შეგახსენებთ, რომ 30 წლის მარცხენა მცველი კონტრაქტით რუსეთის ჩემპიონ ყაზანის „რუბინს“ ეკუთვნის. ყაზანელებმა ზამთარში ჩვენებური მახაჭყალის „ანჟიში“ გაანათხოვრეს. საიჯარო ხელშეკრულების ვადა 30 ივლისს ამოიწურა. „ანჟის“ კი უნდოდა კვირკველიას შენარჩუნება, მაგრამ „რუბინთან“ პირობებზე ვერ შეთანხმდა და გარიგებაც არ შედგა. მახაჭყალელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი **გაჯი გაჯიევი** დათოს ვერ ელეოდა, მაგრამ სხვა გზა აღარ ჰქონდა და მის ნაცვლად გუნდში მეორე ჩვენებური, **ოთარ ხიზანეიშვილი** აიყვანა. შესაბამისად, დათო ყაზანელთა რიგებში დაბრუნდა, სადაც მისი ადგილი დაკავებული იყო. კვირკველია უმალ მიხვდა, რომ „რუბინში“ სათანადო სათამაშო პრაქტიკა არ ექნებოდა და აგენტს სხვა გუნდის მოძებნა დაავალა. მსურველიც მალე გამოუჩნდა - რუსული პრემიერლიგის დებიუტანტი და თასის ფინალისტი ნოვოსიბირსკის „სიბირი“. როგორც გავიგეთ, „სიბირსა“ და „რუბინს“ შორის შეთანხმება უკვე მიღწეულია და მიმდინარე სეზონის ბოლომდე კვირკველია ნოვოსიბირსკელთა გუნდში ითამაშებს.

ცნობისათვის, კვირკველიას მახაჭყალაში სათამაშო პრაქტიკა არ აკლდა. მან ამ სეზონში 13 მატჩი ჩაატარა „ანჟის“ რიგებში. კვირკველია რუსეთში ცნობილი ფიგურაა, ზედიზედ ორჯერ 2008 და 2009 წელს, „რუბინთან“ ერთად გახდა ჩემპიონი.

რაც შეეხება კვირკველიას ახალ გუნდს, შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს, რომ „სიბირი“ მძიმე მდგომარეობაშია. **იგორ კრიუშჩენკოს** გუნდი რუსულ პრემიერლიგაში ბოლო ადგილზეა და ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის. ციმბირელებმა 16 მატჩში მხოლოდ 9 ქულის მოგროვება შეძლეს. ნოვოსიბირსკელებს დაცვაში უჭირთ, თორემ 16 თამაშში 35 გოლს არ გაუშვებდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ციმბირელებს ორ ფრონტზე უწევთ ბრძოლა - რუსეთი პირველობის გარდა, „სიბირი“ თასის ფინალისტის რანგში ევროპის ლიგის გათამაშებაში ასპარეზობას აგრძელებს. ციმბირელებმა კვიპროსულ „აპოლონს“ შინ 1:0 სძლიეს, ლიმასოლში 1:2 კი წააგეს, მაგრამ სტუმრად გატანილი გოლის წყალობით „აპოლონის“ ბარიერი გადალახეს და პლეი ოფში ჰოლანდიურ „პსვ ეინდჰოვენთან“ მოუწევთ დაპირისპირება.

„სიბირს“ პსვ-სთან პირველი მატჩი შინ 19 აგვისტოს აქვს. მანამდე კიდევ 6 დღეა დარჩენილი და წესით, ნოვოსიბირსკელებმა უეფასთვის წარდგენილ განაცხადში დავით კვირკველიას შეყვანაც უნდა მოასწრონ. ჰოლანდიელებამდე, „სიბირი“ რუსეთის პრემიერლიგის მორიგ ტურში, 14 აგვისტოს **გოგიტა გოგუასა** და **დავით სირაძის** ნალჩიკის „სპარტაკს“ სტუმრად ეთამაშება. ვნახოთ, სად შედგება კვირკველიას დებიუტი ახალ კლუბში, „სპარტაკთან“ თუ ჰოლანდიელებთან...

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარადიული ფავორიტი


კახა კაჭარავა

ნებისმიერ გუნდს ყველა ახალი სეზონის დაწყების წინ სხვადასხვა მიზანი აქვს, თუმცა ერთი გამონაკლისი შემთხვევა ყოველთვის არის ხოლმე; თბილისის „დინამოზე“ ვლაპარაკობთ, მუდამ ფავორიტის სტატუსი რომ ჰქონდა, აქვს და ექნება კიდეც!

ჰო, ასეა — „დინამო“ ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ არის; ამ გუნდისგან მუდამ განსაკუთრებულსა თუ განსხვავებულს მოითხოვენ; ამ გუნდის წინაალმდეგაც, ტრადიციულად, მუდამ განსაკუთრებული მოტივაციით თამაშობენ მეტოქეები; და საერთოდაც — ამ კლუბის წევრობა (მნიშვნელობა არა აქვს, ხელმძღვანელი იქნება, მწვრთნელი თუ ფეხბურთელი) „ჩვეულებრივი“ გუნდის წარმომადგენლობაზე მეტს ნიშნავს!

...„დინამოსგან“ მუდამ განსაკუთრებულს ითხოვენო, ზემოთ ვთქვით და ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, გადამეტებული არაფერია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ალბათ, დიდი დრო უნდა გავიდეს, საქართველოს ჩემპიონატში „დინამოს“ მიღწევები რომელიმე გუნდმა გააუმჯობესოს; ჰო, ნამდვილად არ არის პატარა ამბავი, როცა 21 სეზონის განმავლობაში გუნდი 13-ჯერ გახდება ქვეყნის ჩემპიონი და 9-ჯერ თასს დაეუფლება; ასეთი შედეგების „ფონზე“ კი, აბა, ის რაღა სახსენებელია, გუნდი ოთხოთხჯერ რომ დაეუფლა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს. ვერაფერს ვიტყვით, მართლაც თვალსაჩინო შემთხვევაა: 21 ჩემპიონატის განმავლობაში „დინამო“ პირველ სამეულს მიღმა არასდროს აღმოჩენილა! ეგ კი არა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში „დინამოს“ ევროპული მასშტაბის რეკორდიც ეკუთვნოდა: თავისი ქვეყნის ჩემპიონი ზედიზედ ათჯერ რომ გახდა!

... იცვლებოდნენ კლუბის ხელმძღვანელები, მწვრთნელების ხშირი ცვლაც უცხო არ იყო ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდისათვის, ფეხბურთელების გაუთავებელი „მიგრაცია-ემიგრაციაზე“ ხომ, საერთოდ, ზედმეტია ლაპარაკი; მაგრამ, ნებისმიერი სეზონის დაწყების წინ გუნდის წინაშე მხოლოდ და მხოლოდ მაქსიმალური მიზნები იდგა. თუმცა, ამქვეყნად მარადიული არაფერია და „დინამოს“ ეს ათწლიანი ჰეგემონიაც, ბოლოს და ბოლოს, დასრულდა; ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ამ ჰეგემონიის დამხობა „დინამოს“ ისტორიაში ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა და შემდგომ არანაკლებ ჩინებულმა მწვრთნელმა **დავით ყიფიანმა** მოახერხა, როდესაც ქუთაისის „ტორპედოს“ 1999-2000 წლების სეზონში ოქროს მედლები მოაპოვებინა. აქვე, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ სწორედ დავით ყიფიანი გახლავთ საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელი: ამ სპეციალისტის ხელმძღვანელობით „დინამომ“ ხუთჯერ მოიპოვა ოქროს მედალი და სამჯერ — საქართველოს თასი!

... იმ ათი ტრიუმფული სეზონის განმავლობაში მხოლოდ ერთი-ორჯერ იყო, „დინამოს“ სერიოზული კონკურენტი რომ გამოუჩნდებოდა-ხოლმე; დანარჩენ შემთხვევებში გუნდი უახლოეს მეტოქეებს, ხანდახან, ათი ან მეტი ქულის სხვაობით უსწრებდა; აღარაფერს ვამბობთ იმ პერიოდის (1990-1999 წლები) კიდევ ერთ „თავისებურებაზე“, როცა „დინამოსთვის“ მართლაც ჩვეულებრივი ამბავი იყო მოწინაალმდეგეთა კარში... 10, 11 თუ 12 ბურთის გატანა...

## მწვრთნელები და ფეხბურთელები

...პირველი ეროვნული ჩემპიონატის წინ გათამაშების უპირობო ფავორიტად, რაღა თქმა უნდა, „დინამო“ (მაშინდელი „იბერია“) მიიჩნეოდა. დავით ყიფიანის გუნდში, ფაქტობრივად, ყველა ის ფეხბურთელი დარჩა, წინა წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში რომ ასპარეზობდა: **გელა კეტაშვილი, სოსო ჭედია, კახა ცხადაძე, მალხაზ არზიანი, გოჩა ჩიქოვანი, გია ჯიშკარიანი, კახა გოგიჩაიშვილი, თემურ ქეცბაია, ზაზა რევიშვილი, გრიგოლ ცაავა, კახა კაჭარავა**, პლუს ერთწლიანი პაუზის შემდეგ „დინამოს“ **გია გურული** დაუბრუნდა. ერთადერთი დანაკლისი **ოთარ გაბელიას** წასვლა იყო — სახელოვანმა ქართველმა მეკარემ აქტიური კარიერის დასრულება გადაწყვიტა; თუმცა, მისმა შემცვლელმა **ზაურ ხაპოვმა** თავისი მაღალი კლასი I ჩემპიონატში არაერთხელ დაამტკიცა. აი, ასეთი შემადგენლობის მიუხედავად, „დინამოს“ მართლაც კოშმარული სტარტი ჰქონდა — ორ მატჩში 1 ქულა! თუმცა, მერე ყველაფერი გამოსწორდა და პირველი ჩემპიონატის გამარჯვებულიც (სრულიად დამსახურებულად) „დინამო“ გახდა, რომლის შემადგენლობაში ნელნელა ადგილს იმკვიდრებდნენ იმ დროისათვის 18-19 წლის ბიჭები: **გიორგი ნემსაძე, გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი.** პირველ ორ ჩემპიონატში „დინამოს“ კონკურენციას „გურია“ და „გორდა“ უწევდნენ. მომდევნო სამ სეზონში კი — „ცხუმი“, „შევარდენი“ და „კოლხეთი“. თუმცა, სინამდვილეში კონკურენცია... მეორე ადგილისათვის იყო, რადგან „დინამოს“ ყველა გუნდთან უდიდესი უპირატესობა ჰქონდა. მით უფრო, რომ გუნდში ახალ-ახალი ფეხბურთელები ჩნდებოდნენ: **მურთაზ შელია, ნიკა ჩხეიძე, ირაკლი ზოიძე, გელა ინალიშვილი, გოჩა ტყებუჩავა, დავით გვარამაძე, გიორგი ანჩაბაძე;** აღარაფერს ვამბობთ **რევაზ, შოთა** და **არჩილ არველაძეებსა** თუ **გიორგი ქინქლაძეზე...**

სხვათა შორის, პირველი ხუთი ჩემპიონატის განმავლობაში „დინამოში“ მხოლოდ ორჯერ შეიცვალა მთავარი მწვრთნელი: სამკურნალოდ წასული დავით ყიფიანის ნაცვლად **რევაზ ძოძუაშვილი** დაინიშნა, ეს უკანასკნელი კი შემდეგ **გივი ნოდიამ** შეცვალა. ამასობაში გუნდში თაობათა ცვლის პროცესი დაიწყო: ზემოთ დასახელებულ ფეხბურთელთა უმრავლესობა უცხოეთის სხვადასხვა გუნდში გადავიდა; თუმცა, „დინამოში“ მათ ნაცვლად ერთი-მეორეზე პერსპექტიული ახალგაზრდები მოდიოდნენ: **ალექსანდრე იაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, გიორგი კიკნაძე, კახა კალაძე, გივი დიდავა, გიორგი დემეტრაძე, დავით მუჯირი** პლუს მათზე ოდნავ უფროსი **ნუგზარ ლობჟანიძე.**

VI ეროვნულ ჩემპიონატში „დინამოს“ მართლაც სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა „სამტრედიის“ სახით; თუმცა, იმ სეზონში სხვა „განსაკუთრებული“ ფაქტიც მოხდა: ერთი სეზონის განმავლობაში „დინამოში“ ხუთმა მწვრთნელმა იმუშავა! სეზონი გივი ნოდიამ დაიწყო, რომელიც **სერგო კუტივაძემ** შეცვალა, შემდეგ ცოტ-ცოტა ხნით **თეიმურაზ ჩხაიძე** და **ვაჟა ჟვანია** მუშაობდნენ, მერე კი, კერძოდ, 1995 წლის მარტში კვიპროსიდან დავით ყიფიანი დაბრუნდა. ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით „დინამოს“ ჰეგემონია კვლავაც გაგრძელდა, თანაც გუნდში ჯერ **ლევან კობიაშვილი** გამოჩნდა, მერე — **რატი ალექსიძე;** ამასობაში მწვრთნელების ცვლაც დაიწყო: რუსულ „შინიკში“ გადასული ყიფიანი მცირე ხნით **ნოდარ აკობიამ** შეცვალა, „დინამოს“ მორიგი საჩემპიონო ტიტული კი **მურთაზ ხურცილავამ** მოუტანა. 1999 წლის გაზაფხულზე „დინამოში“ პირველი უცხოელი მწვრთნელიც გამოჩნდა — ჰოლანდიელი **იოჰან ბოსკამპი**, რომელმაც მეორე გუნდიდან ორი ნიჭიერი ჭაბუკი (**ზურაბ ხიზანიშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი**) დააწინაურა. სხვათა შორის, ამის შემდეგ „დინამოში“ იშვიათზე იშვიათი შემთხვევა იყო, როცა ერთსა და იმავე მწვრთნელს ერთი სეზონის ჩამთავრების საშუალებას აძლევდნენ. ალბათ, ამის გამოც იყო, რომ ზედიზედ სამი ჩემპიონატის განმავლობაში, ოქროს მედლებს უკვე სხვა გუნდი, ქუთაისის „ტორპედო“ ეუფლებოდა. **გია გეგუჩაძე, ოთარ კორღალიძე, ჯემალ ჩიმაკაძე**, რევაზ არველაძე, გოჩა ტყებუჩავა, გივი ნოდია, ივო შუშაკი, — აი, ეს მწვრთნელები მუშაობდნენ „დინამოში“ იმ პერიოდში, გუნდი ზედიზედ სამი სეზონი მხოლოდ და მხოლოდ ბრინჯაოს მედლებით რომ კმაყოფილდებოდა. არადა, სწორედ მაშინ გამოჩნდნენ გუნდში: **მიხეილ აშვეთია, გიორგი შაშიაშვილი, ლადო ბურდული, ვიტალი დარასელია, ალექსანდრე ამისულაშვილი, ვიტალი დარასელია-უმცროსი, ირაკლი ვაშაკიძე;** და აი, 2003 წელს ხორვატი **ივო შუშაკის** ხელმძღვანელობით „დინამო“ კვლავაც ჩემპიონი გახდა — სხვებთან ერთად ეს წარმატება ბრაზილიელი ლეგიონერის **კარლოსისა** და ინგლისიდან დაბრუნებული რატი ალექსიძის დამსახურებაც იყო. მომდევნო სეზონი გუნდმა მეორე ადგილზე დაასრულა (უფრო ზუსტად, მესამეზე, მაგრამ „სიონის“ დისკვალიფიკაციის გამო ვერცხლის მედლები დინამოელებს გადაეცათ), თუმცა მთავარი მაინც უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გასვლა იყო. ეს წარმატება კი გია გეგუჩაძის დამსახურება გახლდათ. ამასობაში „დინამოში“ ახალი სახეები ჩნდებოდნენ: **დავით კვირკველია, შოთა კაშია, ჯაბა კანკავა, ლევან ხმალაძე, ზურაბ მამალაძე, ლაშა სალუქვაძე, კახა ალადაშვილი, ლევან მელქაძე, ჯაბა დვალი, მიხეილ კაკალაძე, კახა მახარაძე.** მომდევნო სეზონიც გეგუჩაძემ დაიწყო, მაგრამ 2005 წლის გაზაფხულზე იგი **ხვიჩა ქასრაშვილმა** შეცვალა, ვინც „დინამოს“ მხოლოდ ორი მატჩი ხელმძღვანელობდა; სეზონი კი **კახა ცხადაძემ** დაასრულა, ვისი ხელმძღვანელობითაც „დინამო“ ჩემპიონი გახდა. **დავით ოდიკაძე, შოთა ბაბუნაშვილი, ლაშა ნოზაძე, სერგი ორბელაძე, ლაშა ჭელიძე, გიორგი ნავალოვსკი, ლადო დვალიშვილი, ლევან სილაგაძე, დავით გიგაური** — ამ ფეხბურთელებს მომავალი სეზონიდან როგორც გამოცდილები (**გიორგი მეგრელაძე, მიხეილ ბობოხიძე, რევაზ ქემოკლიძე**), ასევე ახალგაზრდებიც (**გიორგი მერებაშვილი, სანდრო იაშვილი, ირაკლი ჩირიკაშვილი, ნიკა ფირცხალავა, უჩა ლობჟანიძე**) დაემატნენ. თუმცა, „დინამოში“ უკვე დაწყებული იყო მწვრთნელთა გაუთავებელი ცვლა: ცხადაძე რუსმა **ანდრეი ჩერნიშოვმა** შეცვალა, ვის ნაცვლადაც მცირე ხნით **კახა კაჭარავამ** იმუშავა, შემდეგ სახელოვანი ჩეხი სპეციალისტი **დუშან უჰრინი** ჩამოვიყვანეთ, რომლის ხელმძღვანელობითაც „დინამომ“ თავისი მეცამეტე საჩემპიონო ტიტული მოიპოვა. უჰრინს გერმანელი **რაინერ ცობელი** მოჰყვა და 2009 წლის გაზაფხულიდან კი დღემდე „დინამოს“ კვლავაც კახა კაჭარავა ხელმძღვანელობს. ბოლო ოთხ წელიწადში „დინამოში“, ალბათ, ასზე მეტ (!) ფეხბურთელს მაინც უთამაშია, თუმცა ამ შემთხვევაში ყველას, რაღა თქმა უნდა, ვერ ჩამოვთვლით და მხოლოდ გამორჩეულებს ვახსენებთ: **გურამ კაშიას, მათე ვაწაძეს, გიორგი ნერგაძეს, გიორგი ლორიას, დავით დიღმელაშვილს, სანდრო კობახიძეს, გულვერდ თომაშვილს, მიხეილ ხუციშვილს, ლევან კაკუბავას, ალექსანდრე კოშკაძეს, თენგიზ ჩიკვილაძეს, გიორგი კახელიშვილს.** ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გუნდში რამდენიმე „მართლაც“ ლეგიონერი თამაშობდა: **მილოშ კრშკო, ნედ ზელიჩი, დიდიე ოვონო, ჯორჯ აკირემი;** თუმცა, იყო ყოვლად უცნაური ტრანსფერებიც: **ანგულო, ურტადო, დობეში, ჩარასი** თუ **ტომიჩი** (გნებავთ, **სპასოევიჩიც**) ქართველ ფეხბურთელებს კი ვერ სჯობდნენ; ბევრად ჩამოუვარდებოდნენ კიდეც. რაც შეეხება დღევანდელ ლეგიონერთა სამეულს (**ედნილსონი, რობერტინიო, ჯუისი**), ამათ კიდევ არა უშავთ...

## სატრანსფერო პოლიტიკა

აი, ამ შემთხვევაში კი სალაპარაკო ბევრი არც არაფერია: ახალი სეზონის დაწყების წინ ჩვენ ყველაზე ტიტულოვან კლუბს უცხოური შეკრება არ გაევლოს, ასეთ რამეს ვერც ვიხსენებთ! სატრანსფერო „აქტიურობაზე“ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: გუნდი ისე შეელია თავის ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელს შოთა კაშიას (მთელი კარიერა მხოლოდ „დინამოში“ რომ ჰქონდა გატარებული), ვითომც არაფერიო; კიდევ კარგი, რომ ისრაელიდან კვლავაც მშობლიურ გუნდში დაბრუნდა ლევან ხმალაძე და, რაც მთავარია, მინიმუმ ოთხი თვე ისევ „დინამოში“ ვიხილავთ გასული სეზონის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს გურამ კაშიას, თორემ, უმაღლეს ლიგაში ყველაზე ახალგაზრდული გუნდი „ვიტ ჯორჯია“ კი არა, სწორედ კახა კაჭარავას კრებული იქნებოდა. ისე, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელისა და ფეხბურთელების მიმართ ენა ვის უნდა მოუბრუნდეს: კაჭარავამ და მისმა შეგირდებმა, ბევრი ნამდვილად რომ არ მოელოდა, ისე ღირსეულად იასპარეზეს ევროპის ლიგის წლევანდელ გათამაშებაში. ჰო, ნამდვილად არ იყო პატარა საქმე, ამდენი საკადრო თუ ფინანსური პრობლემების მიუხედავად, „დინამომ“ ევროტურნირებზე ორი ეტაპი რომ გადალახა და, სხვათა შორის, არც მესამე ეტაპზე შერცხვენილა.

## ლელოს პროგნოზი

საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთადერთი „დინამოლა“ დარჩა, პირველიდან მოყოლებული, ყველა გათამაშებაში რომ მონაწილეობს; ეგ კი არა, გუნდი მესამე ადგილს ქვემოთაც არასდროს ჩამოსულა! აი, ახლა კი კახა კაჭარავასა და მის ახალგაზრდულ გუნდს ერთობ რთული სეზონი ელოდება — „დინამოსგან“ განსხვავებით, კონკურენტთა უმრავლესობა ხომ სოლიდურად გაძლიერდა (პლუს უმაღლეს ლიგას „ტორპედოც“ დაუბრუნდა); ამის მიუხედავად, მაინც გვჯერა, რომ „დინამო“ არც ამ სეზონში დაამყარებს საკუთარ ანტირეკორდს და ჩემპიონატსაც პირველ სამეულში დაამთავრებს. სხვანაირად კი ნამდვილად ვერ იქნება: ამ გუნდს ხომ მუდამ „მარადიული ფავორიტის“ სტატუსი აქვს...

**გია ტუხაშვილი**


გურამ კაშია


ლევან ხმალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რევოლუცია თუ ევოლუცია?



თემურ მახარაძე

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო (www.sport.gov.ge)

...ეროვნული ჩემპიონატი როცა ინყებოდა (1990 წლის გაზაფხულზე), მაშინვე ვვარაუდობდით, რომ, დროთა განმავლობაში, თბილისის „დინამოს" ჩემპიონობაში რამდენიმე გუნდი შეეცილებოდა. იმ გუნდებს ვგულისხმობდით, საკავშირო უმაღლეს, პირველ თუ მეორე ლიგაში ასპარეზობის საკმაო გამოცდილება რომ ჰქონდათ; თუმცა, აი, უკვე XXII ჩემპიონატი „მოგვადგა" და იმ ტრადიციული გუნდებიდან, მხოლოდ და მხოლოდ, ქუთაისის „ტორპედომ" შეძლო „დინამოსთვის" ღირსეული კონკურენციის გაწევა. სხვა გუნდები კი („გურია", „ბათუმი", „ცხუმი", „სამტრედია", „გორდა", „კოლხეთი") მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდნენ, ხანდახან მეორე თუ მესამე ადგილს რომ დაიკავებდნენ ხოლმე. ამხელა შესავალი კი იმიტომ დაგვჭირდა, რომ რუსთავის „ოლიმპის" მართლაც უნიკალური მიღწევის მნიშვნელობა შესაბამისად შევაფასოთ: ოთხი წლის ისტორიის მქონე საქართველოს ჩემპიონი ორჯერ გახდა! ჰო, მართლაც უცნაურია: ლაპარაკი გუნდზე, სადაც მწვრთნელ-ფეხბურთელები ყოველ ექვს თვეში ერთხელ (ან, უფრო ხშირად) იცვლებიან და ასეთი არასტაბილური გარემოს მიუხედავად, ყოველი სეზონის დაწყების წინ მაინც ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევა...

„ოლიმპი" უმაღლეს ლიგაში 2005 წელს გამოჩნდა, თუმცა მანამდე „თავისებური" ისტორია ჰქონდა; 2002 წელს ორი თბილისური გუნდი — „მერანი-91" და „ოლიმპი" გაერთიანდა და ასე „მივიღეთ" ახალი სახელწოდების მქონე „მერანი-ოლიმპი", მომდევნო სეზონიდან „თბილისი" რომ დაერქვა. აი, „თბილისი" კი მართლაც გამორჩეულ ფეხბურთს უჩვენებდა — ჯერ **ლუის ცაკარიასის**, შემდეგ ყველასათვის უცნობი და სრულიად ახალგაზრდა მწვრთნელის **გიორგი დევდარიანის** ხელმძღვანელობით. გუნდში ქართველი გულშემატკივრებისათვის ცნობილი ფეხბურთელებიც (**აკაკი დევაძე, სერგი ორბელაძე, დავით ოდიკაძე, გივი კვარაცხელია, რევაზ ქემოკლიძე**) თამაშობდნენ და ყველასათვის უცნობი ჭაბუკებიც (**გოგიტა გოგუა, გოჩა ხოჯავა, რეზო გეწაძე, გოგა ფიფია, რეზო ბარაბაძე, გიორგი ფოფხაძე, ზაალ ელიავა, გიორგი ჭელიძე**).

აქვე ის ორი პიროვნებაც უნდა ვახსენოთ, „თბილისის" ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი რომ მიუძღოდათ: **თემურ უგულავა** და **მამუკა გუგეშაშვილი.**

...გიორგი დევდარიანის ხელმძღვანელობით მოასპარეზე „თბილისს" ყველასგან გამორჩეული, აშკარად სანახაობაზე ორიენტირებული სათამაშო სტილი ჰქონდა; იმ დროისათვის გუნდი საშინაო შეხვედრებს ავლაბარში, სკა-ს სტადიონზე ატარებდა, სადაც ჩინებული მოედნის საფარი იყო დაგებული.

ზედიზედ ორი სეზონი „თბილისი" მესამე ადგილზე გადიოდა, მაგრამ 2005-06 წლების სეზონში გუნდში სამწვრთნელო ცვლილებები დაიწყო, შემადგენლობაც გვარიანად გადახალისდა და იმისათვის, რომ უმაღლეს ლიგაში ადგილი შეენარჩუნებინა, „თბილისს" პლეი-ოფის შეხვედრის ჩატარებამ მოუწია პირველი ლიგის წარმომადგენელ „მეშაქრესთან".

მომავალი სეზონიდან კი „თბილისმა" დისლოკაცია შეიცვალა — იმ დროისათვის პირველ ლიგაში მოასპარეზე „რუსთავთან" გაერთიანდა, სახელიც შეიცვალა („ოლიმპი" დაერქვა) და მეტალურგთა და ქიმიკოსთა ყოფილ ქალაქში, რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე გუნდი კვლავაც გამოჩნდა.

## მწვრთნელები და ფეხბურთელები

ეს, ფაქტობრივად, სრულიად ახლი გუნდი იყო: კლუბის ხელმძღვანელთა (მამუკა გუგეშაშვილი, **ზურაბ ჯაფარიძე, ბადრი ქარქაშაძე**) ინიციატივით —



დავით ბოლქვაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

წინა სეზონში „ბათუმში" მოასპარეზე ფეხბურთელთა მთელი ჯგუფი „ოლიმპში" ჩაირიცხა და მათ რამდენიმე გამოცდილი მოთამაშეც დაემატა, ერთი-ორი ახალგაზრდა „თბილისიდან" იყო და, საბოლოო ჯამში, მართლაც არცთუ ურიგო კოლექტივი ჩამოყალიბდა: **მიხეილ ალავიძე, როინ და გიორგი ონიანები, მიხეილ მახვილაძე, გელა ხუბუა, თორნიკე აფციაური, გიორგი სეთურიძე, ლადო დვალიშვილი, ლაშა ქებაძე, ირაკლი სირბილაძე, გიორგი კახელიშვილი, რევაზ გეწაძე.** გუნდის მთავარი მწვრთნელი **ნოდარ აკობია** უნდა ყოფილიყო, მაგრამ ზედ ჩემპიონატის დაწყების წინ გამოცდილმა სპეციალისტმა „ოლიმპის" გაძღოლაზე უარი თქვა. რუსთაული კლუბის ხელმძღვანელობამ, ცაიტნოტურ სიტუაციაში რომ აღმოჩნდა, ერთობ თამამი, მაგრამ სარისკო გადაწყვეტილებაც მიიღო: ამბიციური გუნდის გაძღოლა 30 წლის დებიუტანტ მწვრთნელებს, **გიორგი კიკნაძესა** და **ზაზა ზამთარაძეს** მიანდო. შედეგი მართლაც მოულოდნელი იყო: პირველი წრე გუნდმა ერთპიროვნული ლიდერის რანგში დაასრულა; თუმცა, ამის მიუხედავად, გუნდში სამწვრთნელო გადაადგილება მაინც მოხდა: მეორე ეტაპიდან „ოლიმპის" გაძღოლა საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ მწვრთნელს **რევაზ ძოძუაშვილს** დაევალა. აქედან გამომდინარე, არავისთვის იყო მოულოდნელი, რომ „ოლიმპში" ახალი ფეხბურთელები უნდა გამოჩენილიყვნენ და ასეც მოხდა. რუსთაველ ქომაგთა აზრით, ზოგიერთი ახალწვეული ამბიციური გუნდის მოთხოვნებს ნამდვილად ვერ აკმაყოფილებდა, მაგრამ ამას ვერავინ იტყოდა: **დავით ჭიჭვეიშვილზე, გიორგი ნავალოვსკიზე, მირზა მერლანსა** თუ **რევაზ გოცირიძეზე**. მართალია, პირველ ეტაპთან შედარებით, „ოლიმპის" თამაშის სტილი აშკარად შეიცვალა (სანახაობრივი მხარე პრაგმატიზმმა შეცვალა), მთავარი მაინც სასურველი შედეგი იყო; ანუ გუნდმა „არწასაგები" არ წააგო (უშუალო კონკურენტებთან), „მოსაგები" მოიგო და სადებიუტო სეზონშივე საქართველოს ჩემპიონი გახდა. სხვათა შორის, ამ მიღწევით რევაზ ძოძუაშვილი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი მწვრთნელია, სამ სხვადასხვა გუნდთან ოქროს მედლები რომ მოიპოვა.

ახალ სეზონს „ოლიმპი" კვლავაც ახალი მთავარი მწვრთნელით შეხვდა, თუმცა **ვარლამ კილასონიას** ჩემპიონთა ლიგაზე „ასტანას" ბარიერის ვერგადალახვა და საქართველოს ჩემპიონატის პირველ ტურში „დინამოსთან" საშინაო მატჩი არ აპატიეს და მის ნაცვლად უკრაინელი სპეციალისტი **ანატოლი პისკოვეცი** დაინიშნა. გუნდის შემადგენლობაც, სეზონის განმავლობაში ორჯერ შეიცვალა: **ლევან სილაგაძეს, რევაზ ჯიქიას, გიორგი ლომაიას, გრიგოლ იმედაძესა** და **ალექსანდრე კოშკაძესთან** ერთად „ოლიმპში" ახალგაზრდა ფეხბურთელებიც (**დავით დევდარიანი, გიორგი გაბედავა, გიორგი რეხვიაშვილი**) გამოჩნდნენ და ლეგიონერებიც; თუმცა, ამ უკანასკნელთაგან მეტ-ნაკლებად ნორმალურ შთაბეჭდილებას მხოლოდ **ერნესტ აკუასაგა** ტოვებდა. უმაღლეს ლიგაში თავისი მეორე სეზონი „ოლიმპმა" მეოთხე ადგილზე დაასრულა, ოღონდ, იმ ჩემპიონატში უკვე მესამე(!) მწვრთნელით — ზედიზედ რამდენიმე პრინციპული თამაშის წაგების შემდეგ პისკოვეცს ტკბილად დაემშვიდობნენ და გუნდის გაძღოლა **ხვიჩა ქასრაშვილს** მიენდვეს. 2008-09 წლები სეზონის დაწყების წინ „ოლიმპში" კვლავაც უამრავი ცვლილება მოხდა და გუნდში ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე არცთუ ურიგო ფეხბურთელები მივიდნენ: **გიორგი მეგრელაძე, შოთა ბაბუნაშვილი, დენის დობროვოლსკი, გიორი გაბიდაური, ნოდარ მაჭავარიანი, თეიმურაზ ღონღაძე, გიორგი დეკანოსიძე, თენგიზ ჩიკვილაძე, კოკა მიკუჩაძე, გაგა ჩხეტიანი, გიორგი ფეიქრიშვილი**; თუმცა, ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხილ „ოლიმპს" აშკარად ცუდი სტარტი გამოუვიდა: საწყის 5 ტურში გუნდმა ვერც ერთი მატჩი ვერ მოიგო! ჰოდა, მაშინვე სამწვრთნელო ცვლილება მოხდა და „ოლიმპი" კვლავაც... ვარლამ კილასონიას ჩააბარეს! საბოლოოდ, ის სეზონი გუნდმა მესამე ადგილზე დაასრულა, თასის ფინალში კი პენალტების სერიაში დამარცხდა „დინამოსთან"; თუმცა, მოგვიანებით, კერძოდ, შარშან ზაფხულში, როცა „ოლიმპმა" ევროპის ლიგაზე პოლონური „ლეგიას" ძლევა ვერ მოახერხა, კლუბში კვლავ დადგა მთავარი მწვრთნელის... შეცვლის საკითხი! მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, XXI ჩემპიონატი „ოლიმპმა" ახალი მთავარი მწვრთნელით დაიწყო — გუნდს სათავეში **ოთარ კორღალიძე** ჩაუდგა. შემადგენლობა კი, ტრადიციულად, თითქმის 80-90 პროცენტით გადახალისდა: ზოგი ისეთი ფეხბურთელი დაბრუნდა, „ოლიმპიდან" ნახევარი თუ ერთი წლის წინ რომ დაითხოვეს, თუმცა ძირითადი აქცენტი მაინც გამოცდილებზე (**გრიგოლ ჭანტურია, სევასტი თოდუა, ვალერი აბრამიძე, ოლეგ გველესიანი**) გაკეთდა; ამათ გარდა გუნდში ჯერ **დავით იმედაშვილი** გამოჩნდა, მერე — **გია კვარაცხელია** — ორივე ეს ფეხბურთელი ეროვნულ ჩემპიონატს გარკვეული პაუზის შემდეგ დაუბრუნდა და გასული სეზონი მართლაც ჩინებულად ჩაატარა. თუმცა, ამ შემთხვევაში მოვლენებს გავუსწარით და „ყველაზე მთავარი" არ გვითქვამს: „ოლიმპში" ხომ ერთდროულად 5 ბრაზილიელი ფეხბურთელი (**აკინო, ფრაგა, ჟონატასი, ჟერონიმო, ჩოკო**) ჩაირიცხა, მერე კიდევ ერთი თანამემამულე **სალესიც** რომ დაემატათ. თანაც, ვიცოდით, რომ ეს ბრაზილიელები თავისი ქვეყნის რომელიღაც საკურორტო ქალაქის... პლაჟიდან კი არ ჩამოიყვანეს, არამედ „ატლეტიკო პარანენსეს" ფეხბურთელები იყვნენ. ჩოკოსა და სალესზე, ალბათ, არც ღირს საუბარი — მართლაც არაფრით გამორჩეული ფეხბურთელები იყვნენ; ჟონატასი ცუდი ცენტრფორვარდი ნამდვილად არ იყო, ჟერონიმოც არ გამოიყურებოდა ურიგოდ ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე; აი, აკინომ და ფრაგამ კი „ოლიმპის" ტრიუმფში უდიდესი წვლილი შეიტანეს; თუმცა, ამ შემთხვევაშიც „წინ გავიქეცით" და გუნდში მომხდარ მორიგ... სამწვრთნელო ცვლილებაზე არაფერი გვითქვამს. ჰო, ჯერ კიდევ პირველ ეტაპზე — „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელად გამოცდილი **თემურ მახარაძე** დაინიშნა, რასაც გუნდის ხანგრძლივი წაუგებელი სერია მოჰყვა და საბოლოოდ, ყველაფერი ლოგიკურადაც დასრულდა. არც ის დაგვავიწყდეს, რომ მეორე ეტაპის წინ გუნდში კვლავაც გრანდიოზული ცვლილებები მოხდა: 11 ფეხბურთელი წავიდა და 10 ახალწვეული მოვიდა.

...წინა სეზონში „ოლიმპი" რამდენჯერმე მოხვდა ერთობ არასასიამოვნო სიტუაციაში. თუმცა, ჩვენი აზრით, საქართველოს ჩემპიონობას ყველაზე მეტად სწორედ ეს გუნდი იმსახურებდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მარათონული ტურნირის განმავლობაში „ოლიმპს" მხოლოდ ერთი ჩავარდნა ჰქონდა (პირველი წრეში „დინამოსთან"), დანარჩენ შემთხვევებში კი მეტოქეებს უპრობლემოდ უმკლავდებოდა.

დაბოლოს, კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზეც: „ოლიმპის" ტრიუმფში უდიდესი წვლილი შეიტანეს რუსთაველმა ქომაგებმაც; აღარაფერს ვამბობთ გუნდის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ გულშემატკივარზე, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულზე ქვემო ქართლში **დავით კირკიტაძეზე...**

## სატრანსფერო კამპანია

როცა „ოლიმპთან" დაკავშირებით ვინმეს განსხვავებული მოსაზრება გააჩნია, ამ კლუბის ზოგიერთ ხელმძღვანელს ყოველივე ეს მეტისმეტად არ სიამოვნებს; თუმცა, ამ შემთხვევაში „გავკადნიერდებით" და საკუთარ აზრს ვიტყვით გუნდში მომხდარ მორიგ „რევოლუციურ გარდაქმნებზე".

ჩვეულებრივი ამბავია და არც გაგვიკვირდებოდა, ევროტურნირების წინ „ოლიმპის" ხელმძღვანელობას ზოგიერთი პოზიციის გასაძლიერებლად სამიოთხი ახალწვეული რომ დაემატებინა; თუმცა, რეალურად ისეთი სურათი მივიღეთ, ანალოგი თანამედროვე ფეხბურთში, ალბათ, რომ არც იქნება. ევროტურნირების დაწყებამდე „ოლიმპიდან" ჯერ 13 (!) მოთამაშე წავიდა, მერე კიდევ 4 დაემატა! არ დაგვავიწყდეს, საქართველოს ჩემპიონზეა ლაპარაკი, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის წინ, უცხოურ შეკრებაზე წასვლა რომ ვერ მოახერხა. ჰოდა, შედეგად ის მივიღეთ, რომ ჩემპიონთა ლიგაზე მეორედ მოასპარეზე „ოლიმპი" ამ ტურნირს პირველივე ეტაპიდან გამოეთიშება (თანაც, ორჯერვე ყაზახურ გუნდებთან პაექრობისას); ან, რისი იმედი უნდა გვქონოდა? სხვადასხვა გუნდიდან „ოლიმპში" ჩარიცხული 10 (!) ახალწვეული ერთ თვეში შეთამაშებას მოასწრებდა თუ ჩინებულ ფიზიკურ კონდიციებში მყოფ მეტოქის ფეხბურთელებს რაიმე „სხვა" კომპონენტში ვაჯობებდით? ჰო, ნამდვილი კოშმარივით გვახსენდება „ოლიმპი"-„აქტობეს" მატჩის მეორე ტაიმი: გოლის გატანა ჩვენ გვჭირდებოდა, მეტოქემ კი, 45 წუთის განმავლობაში, ბურთი... აქეთ „დაგვიმალა" და, ფაქტობრივად, ერთადერთი ეპიზოდის გარდა, თავის ნახევარზე არ გადაგვიშვა და მართლაც „ცალკარა" გვეთამაშა...

## ლელოს პროგნოზი

„ოლიმპის" სატრანსფერო კამპანიას მკაცრი შეფასება კი მივეცით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალი სეზონის დაწყების წინ გუნდის შანსები პესიმისტურად შევაფასოთ. პირიქით — კი არ გვგონია, რატომღაც დარწმუნებული ვართ, რომ „ოლიმპი" კვლავაც ჩემპიონობისათვის იბრძოლებს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ახალწვეულთა აბსოლუტურ უმრავლესობას (**გრიგოლ ბედიაშვილი, ზურაბ ბათიაშვილი, ალექსანდრე კვახაძე, ლაშა ჯაფარიძე, რევაზ ქემოკლიძე, ლუკა რაზმაძე, გიორგი ჭელიძე, დავით ბოლქვაძე, რევაზ გეწაძე, ირაკლი მოდებაძე**) ჩვენი ჩემპიონატისათვის „საჭირო" ოსტატობა და გამოცდილება ნამდვილად აქვს; ამას გარდა, მწვრთნელის ფაქტორიც არ დავივიწყოთ: თემურ მახარაძე ხომ კვლავაც გუნდში მუშაობს!



რევაზ გეწაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი



## ესპანურ-ინგლისური გარიგება?

„ბარსელონა“ დიდ გარიგებას ამზადებს, რომლის განხორციელების შემთხვევაში **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი გახდება, ხოლო **რობინიო** კარიერას „კამპ ნოუზე“ გააგრძელებს. ბრაზილიელი, რომელმაც სამშაბათს უკაპიტნა ეროვნულ ნაკრებს, ისტლენდში თავს არაკომფორტულად გრძნობს და სხვა კლუბში გადასვლა სწადია. რობინიოს მომავალს რამდენიმე ევროპულ კლუბს უკავშირებდნენ, მაგრამ ჯერჯერობით ის ისევ „სიტიშია“.

კატალონიური „სპორტი“ მიიჩნევს, რომ „ბარსელონას“ პრეზიდენტი **სანდრო როსელი** მალე „სიტის“ ზლატან იბრაჰიმოვიჩის რობინიოში გაცვლას შესთავაზებს. ამას წინათ შვედმა ფორვარდმა განაცხადა, რომ პრემიერლიგაში თამაშზე უარს არ იტყვის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ხორკერამ ხელთათმანები ჩამოკიდა

ესპანელმა გოლკიპერმა **ალბერტ ხორკერამ**, რომელიც „ბარსელონაში“ თამაშიდან გვახსოვს, ფეხბურთს თავი დაანება. 31 წლის ხორკერამ განაცხადა, რომ მისი გადაწყვეტილება სულ სხვა მიზეზებს უკავშირდება, რომლებიც ფეხბურთთან კავშირში არაა. *„მინდა ვიყო მართალი ჩემს თავთან და კლუბთანაც. ჩემს ცხოვრებაში ცვლილებების დროა და მსურს, პროფესიულ პროექტებს მეტი დრო დავუთმო, რომლებთან ერთად ფეხბურთზე ფიქრი წარმოუდგენელია“*, - განაცხადა მან.

ბოლო დროს ხორკერა „ხირონაში“ თამაშობდა, უკვე გამოაცხადეს მისი შემცვლელი კლუბში - „ლას პალმასის“ ყოფილი მეკარე **რობერტო სანტამარია**. ხორკერა „ბარსელონას“ სკოლის აღზრდილია, სადაც მან 10 წელი გაატარა, მაგრამ არასოდეს გამხდარა უფრო მეტი, ვიდრე გუნდის მეორე მეკარე. ჯამში პირველ გუნდში ხორკერამ მხოლოდ 7 მატჩი ითამაშა პრიმერა დივიზიონში. შარშან მეკარე „ხირონაში“ გადავიდა, მშობლიური ქალაქის გუნდში და 33 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## რივალდო მალიორკაში?

„კადენა სერის“ ინფორმაციას თუ დავუჯერებთ, მალე პრიმერა დივიზიონში მოულოდნელ დაბრუნებას ვიხილავთ - „მალიორკას“ რიგები შეიძლება „ბარსელონას“ ყოფილმა ვარსკვლავმა **რივალდომ** შეავსოს, რომელიც 38 წლისაა და უზბეკურ „ბუნიოდკორში“ თამაშობს. თურმე ბრაზილიელი წინაპირობად სეზონში 2 მილიონ ევრო ხელფასს ითხოვს, რაზეც „მალიორკას“ ხელმძღვანელობა ყაბულს არაა, მაგრამ თუკი რივალდო სახელფასო მოთხოვნას დაუწევს, 1999 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელს რვაწლიანი განშორების შემდეგ ესპანეთის ჩემპიონატში ვიხილავთ. რივალდო ამჟამად პალმა დი მალიორკაში იმყოფება... არდადეგებზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტრანსფერი

## პოულსენი მასკერანოს შემცვლელად

ტურინის „იუვენტუსის“ ხელმძღვანელთა განცხადებით, ისინი დათანხმდნენ, 30 წლის დანიელი ნახევარმცველის **კრისტიან პოულსენი** „ლივერპულში“ 5,475 მილიონ ევროდ ტრანსფერს.



მერსისაიდელთა ახალი დამრიგებელი **როი ჰოჯსონი** ამ ტრანსფერის მეშვეობით გუნდის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ნაპრალის შევსებას აპირებს – მოგეხსენებათ, „ლივერპულის“ საყრდენი ნახევარმცველი **ხავიერ მასკერანო** გარემოს შეცვლას აპირებს, მით უფრო, რომ მას თვით „ბარსელონა“ ეპატიჟება. ასე რომ, ჰოჯსონის ჩანაფიქრით, სწორედ აგრესიული და ხშირად უხეში დანიელია ის კაცი, რომელიც მასკერანოს მეტ-ნაკლებად სრულფასოვნად შეცვლის.

რაც შეეხება „ბებერ ქალბატონს“, ტურინულმა გიგანტმა კრისტიან პოულსენი 2 წლის წინათ 9,75 მილიონ ევროდ „სევილიასგან“ იყიდა, ხოლო „ლივერპულთან“ ახლახან მიღწეული შეთანხმების თანახმად, დამატებით 1,2 მილიონ ევროს მიიღებს, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დანიელი შუახაზელი თავისი ახალი კლუბის შემადგენლობაში გარკვეული რაოდენობის მატჩებს ჩაატარებს.

**სლავა გასპაროვი**

ვეტერანი

## შოკი ტელევიზორიდან

**ფაბიო კაპელომ** დევიდ ბექჰემის სანაკრებო კარიერა ხელის ერთი უხეში მოსმით დაასრულა. ეს სატელევიზიო გადაცემაში მოხდა. მწვრთნელს ჰკითხეს, დაეყრდნობა თუ არა იგი ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრებში ინგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტანს. მან უპასუხა: *„მე ბექჰემს მსოფლიოს ჩემპიონატზე გაწეული დახმარებისთვის დიდ მადლობას ვუხდი, მაგრამ ვფიქრობ თამაშისთვის ის უკვე ბებერია“.*

აი, ასე დასრულდა ინგლისური და შესაძლოა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი კარიერა. არადა, 35 წლის ვარსკვლავი აქილევსის ნატკენ მყესს წარმატებით მკურნალობდა და მოედანზე დასაბრუნებლად ემზადებოდა. ყველაზე მეტად კი ხალხი იმან აღაშფოთა, რომ კაპელოს პასუხიდან ცოტა ხნის შემდეგ გაირკვა: მწვრთნელმა საჯარო განცხადება ისე გააკეთა, რომ ფეხბურთელისთვის არაფერი ჰქონდა ნათქვამი. სხვათა შორის, ეს ეჭვი ხელადვე გაუჩნდა გადაცემაში ექსპერტად მიწვეულ **ლეს ფერდინანდს**. დასრულდა თუ არა კაპელოს ინტერვიუ და ჩართეს თუ არა ეთერში ისევ სტუდია, ფერდინანდმა თქვა:

*„არ ვარ დარწმუნებული, რომ მას დევიდთან უკვე აქვს ნალაპარაკები. მზარავს იმის წარმოდგენა, რომ ბექჰემი ახლა ტელევიზორთან ზის და გაოგნებული ფიქრობს რომ მისი კარიერა დასრულებულია“.*

საინტერესო გახლდათ ფეხბურთელის წარმომადგენლის ოფიციალური განცხადება: *„სანაკრებო ფეხბურთისთვის თავის დანებებაზე არანაირი ლაპარაკი არ ყოფილა. დევიდი მზად არის როდესაც კი ფორმაში იქნება თავის ქვეყანას ემსახუროს და თუ ნაკრებში გამოიძახებენ დანიშნულ დღეს გამოცხადდება შეკრებაზე“.*

როგორც ინგლისური პრესა წერს, კრიტიკის მორიგი დიდი ტალღისგან იტალიელი მწვრთნელი უნგრეთის ნაკრებთან გამარჯვებამ იხსნა. თუმცა, როგორც ჩანს, კაპელომ მაინც იგრძნო, რომ ინგლისელთა საყვარელ ვარსკვლავს ცუდად მოექცა და თამაშის შემდეგ განაცხადა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „რეალის“ ყოფილ ფეხბურთელს, რომელიც ბოლო წლებში „ლოს ანჯელეს გელექსიში“ თამაშობს, თუმცა ორჯერ, გაზაფხულზე, „მილანშიც“ გახლდათ გაქირავებული (სწორედ იმიტომ, რომ ევროპაში ყოფილიყო და ნაკრების მწვრთნელის თვალწინ ეტრიალა) კიდევ ერთხელ მისცემს ინგლისური მაისურის ჩაცმის შანსს. კაპელოს ვერსიით ეს 17 ნოემბერს საფრანგეთის ნაკრებთან შეხვედრაში მოხდება.

*„ის გამოსამშვიდობებელ შეხვედრას გამართავს. ეს იქნება ამხანაგური თამაში“.*

შეგახსენებთ, რომ დევიდ ბექჰემმა ინგლისის ნაკრების მაისურა პირველად 1996 წლის სექტემბერში მოლდოვის წინააღმდეგ მოირგო, ჯერჯერობით ბოლო თამაში კი გასულ ოქტომბერს ბელარუსთან ჰქონდა. სულ ბექჰემს ნაკრებში 115 მატჩი აქვს ჩატარებული და რეკორდსმენ **პიტერ შილტონს** ათით ჩამორჩება. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ის ეროვნულ გუნდს კარგა ხნის განმავლობაში კაპიტნობდა. სწორედ ბექჰემს ეკუთვნა სამკლავური 2002 და 2006 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებსა და 2004 წლის ევროპის პირველობაზე. მან 1998 წლის მუნდიალზეც ითამაშა, მაგრამ მაშინ კაპიტანი **ალან შირერი** გახლდათ.

**ილია ბაბუნაშვილი**



სატრანსფერო ამბები



## ბებე ქუჩიდან

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** ამ ზაფხულს მესამე ფეხბურთელი იყიდა - ფერგიმ პორტუგალიელ თავდამსხმელ **ბებეში** 7,6 მილიონი ფუნტი ანუ 8,45 მილიონი ევრო გადაიხადა. ეს ბებე, რომლის ფოტოც პირველ დღეს ვერც ერთმა გამოცემამ ვერ მოიძია, 20 წლის გახლავთ, მაგრამ უკვე საოცარი ბიოგრაფიის კაცია. სანამ უპატრონო ბავშვთა სახლში მიიყვანდნენ, გარკვეული ხანი ქუჩაში ცხოვრობდა. იცოდით? თურმე, უსახლკაროთა მსოფლიოს ჩემპიონატიც ტარდება და ბებეს ამ შეჯიბრებაში აქვს მონაწილეობა მიღებული.

190 სანტიმეტრი სიმაღლის ფორვარდმა სულ ახლახან გააფორმა კონტრაქტი „ვიტორია გიმარაეშთან“, მაგრამ ფერგიუსონმა იყოჩაღა და ბებე გამოისყიდა. მანჩესტერელთა თავკაცს უსახლკარო ახალგაზრდის ყიდვა მისმა ყოფილმა ასისტენტმა, 2008 წლიდან პორტუგალიის ნაკრების თავკაცმა **კარლუშ კეირუშმა** ურჩია. ბებე, რომლის სრული სახელი **ტიაგო მანუელ დიას კორეირა** გახლავთ, მანჩესტერში ჯერ სამედიცინო შემოწმებას გაივლის და შემდეგ ხელშეკრულებასაც გააფორმებს.

ბებემდე ფერგიმ **კრის სმოლინგი** და **ხავიერ ერნანდესი** შეიძინა. ამ ორ ფეხბურთელში მანჩესტერელთა თავკაცს 22 მილიონ ევრომდე დაეხარჯა. „იუნაიტედის“ შეფმა შესაძოა გერმანელი **მესუთ იოზილის** ყიდვაც სცადოს.

**ილია ბაბუნაშვილი**

მანჩესტერ სიტი

## შარიანი კაცი, ბელამი

უელსელი თავდამსხმელი **კრეიგ ბელამი** „მანჩესტერ სიტიმ“ სერიოზულად დააჯარიმა. გარდა ამისა, საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, რომ მას ისტლენდელები ალარც ათამაშებენ - ევროლიგის განაცხადში არ შეიყვანეს. „ლელოს“ მკითხველისთვის გასაგებია რას მოჰყვა ყველაფერი: ორი დღის წინ ბელამიმ საჯაროდ განაცხადა, რომ „სიტის“ იტალიელი მწვრთნელი **რობერტო მანჩინი** მის გუნდიდან გაგდებას ცდილობს და დასძინა, თუ პრემიერლიგის 25-კაციან განაცხადშიც არ ვიქნები ფეხბურთის თამაშს თავს დავანებებო. როგორც ამბობენ, მწვრთნელის კრიტიკისთვის ბელამი ორი კვირის ხელფასს ვერ მიიღებს, ეს კი 160 ათასი ფუნტია.

ბელამიმ ოთხშაბათს, უელსისა და ლუქსემბურგის ნაკრებების ამხანაგური თამაშის შემდეგ (უელსმა 5:1 მოიგო, „სიტის“ ფორვარდმა კი მეხუთე გოლი გაიტანა) პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მზად არის კლუბის ნებისმიერ გადაწყვეტილებას შეებრძოლოს. საინტერესო რამ დასძინა - ვინაიდან კომენტარი ნაკრების ბანაკში გავაკეთე და არა „სიტიში“ ყოფნისას, ისტლენდელებს ჩემი დაჯარიმების უფლება არ აქვთო. ბელამის თქმით, მისმა აგენტმა „სიტის“ ხელმძღვანელებს უკვე გადასცა საკითხისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ.

ადრეც მოგახსენეთ, რომ ბელამის პრემიერლიგის განაცხადში მოხვედრის იმედი არ აქვს. ამასთან გაირკვა, რომ მანჩინიმ იგი მომავალ ხუთშაბათს, ევროლიგაზე, რუმინულ „ტიმიშოარასთან“ გამოძახებულთა სიაშიც არ ჩაწერა - როგორც ჩანს, კლუბს მობეზრდა კონფლიქტური ბუნების ფეხბურთელთან ურთიერთობა. ცნობილია, რომ ბელამის მანჩინისთან რამდენჯერმე მოუხდა დაპირისპირება. პირველად ეს მოხდა თებერვალში, როდესაც ფეხბურთელმა მწვრთნელს მის ერთ-ერთ იტალიელ თანაშემწესთან ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშზე უარი უთხრა. როგორც ამბობენ, სწორედ მაშინ უყვირა მანჩინიმ თავდამსხმელს, წადი და სამი თვე თვალით არ დამენახოო. შემდეგი ცნობილი ინციდენტი მარტში მოხდა: მანჩინი მოედნის კიდესთან „ევერტონის“ მწვრთნელ **დევიდ მოიესს** წაეკიდა. მერე თქვეს, გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში ბელამიმ მოიესის მხარი დაიჭირაო და „სიტიმ“ ამ ჭორის გადასამოწმებლად შიდასაკლუბო გამოძიება წამოიწყო. მაისში, როდესაც „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმზე“ ისტლენდელებს „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ აჯობა და ხელიდან ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება გამოლლიტა, ბელამიმ ლონდონელთა თავკაცს **ჰარი რედნაპს** დიდი სიხარულით მიულოცა, რაც მანჩესტერელებს არ ესიამოვნათ. სხვათა შორის, თუ ამ ზაფხულს ბელამი „სიტიდან“ წავა, მისი ყიდვის უპირველესი მსურველი სწორედ „სფურზი“ იქნება.

„ტიმიშოარასთან“ სათამაშოდ შეკრებილ ფეხბურთელთა შორის არ არის **სტივენ აირლენდიც**. ამბობენ, რომ „სიტისა“ და „ასტონ ვილას“ შორის კვლავ გრძელდება მოლაპარაკება, რომლის თანახმადაც ბირმინგემიდან მანჩესტერში შესაძლოა **ჯეიმს მილნერი** გადავიდეს, ხოლო ისტლენდელები მასში ფულს გადაიხდიან და ხურდაში აირლენდსაც მიაყოლებენ.

ძალიან უცნაური ცნობა: ხსენებულ განაცხადში შეყვანილია ბრაზილიელი **რობინიო**, რომელიც ქერინგტონის საწვრთნელ ცენტრში გუშინ უნდა მისულიყო.

„სიტის“ ამბებზე ლაპარაკი იმით დავასრულოთ, რომ ბოლო ცნობებით, კლუბს „მილანისგან“ კიდევ ერთი ბრაზილიელის **ტიაგო სილვას** ყიდვა უნდა. მას მილანელები 30 მილიონ ფუნტად ანუ 36,2 მილიონ ევროდ აფასებენ.

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარაუდო ტრანსფერები

# 40 მილიონი ტიაგო სილვას სანაცვლოდ



"მილანის" ბრაზილიელმა მცველმა **ტიაგო სილვამ** გასულ სეზონში შესანიშნავად იასპარეზა და ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ უკანახაზელად იქცა. შესაბამისად, მისი გადაბირება არაერთ გუნდს სურს, მათ შორის მადრიდის "რეალს" და როგორც გუშინ გახდა ცნობილი, "მანჩესტერ სიტის". სამეფო კლუბის მესვეურებმა მილანელ კოლეგებს სილვას სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო შესთავაზეს, რაზეც მტკიცე უარი მიიღეს. შემდეგ, ამ ოც მილიონს ერთი ფეხბურთელიც ნაუმატეს, თანაც **რაფაელ ვან დერ ვაარტი**, მაგრამ ვერც ამან გაჭრა. **ადრიანო გალიანიმ** მაშინ პირდაპირ განაცხადა, ტიაგო ჩვენი გუნდის მომავალია და მასთან განშორებას არ ვაპირებთო.

გუშინ გავრცელებული ცნობის თანახმად კი წინა პლანზე უკვე "მანჩესტერ სიტიმ" წამოიწია, რომელსაც, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ დაუსრულებია სატრანსფერო კამპანია. "კორიერე დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უახლოეს დღეებში ინგლისელები "მილანის" მესვეურებს შეეხმიანებიან და ტიაგო სილვას სანაცვლოდ 40 მილიონ ევროს შესთავაზებენ. ნამდვილად კოლოსალური თანხაა და ძნელი სათქმელია, გაუძლებს თუ არა ცდუნებას მილანური გრანდის ხელმძღვანელობა. გალიანის თქმით, მისთვის უცნობია, რა წინადადებას ამზადებენ "ქალაქელები": *"რა გითხრათ, მანჩესტერიდან ჯერ არავინ შეგვხმიანებია და თუ დაგვიკავშირდებიან, აუცილებლად გაგიმხელთ. ისე კი, ტიაგო სილვას გასხვისება ჩვენს გეგმებში არ შედის და ამის შესახებ ჯერ კიდევ სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე ვსაუბრობდი. ბევრი რამე მთავარი მწვრთნელის სიტყვაზეა დამოკიდებული, თუ მასიმილიანო ალეგრის გეგმებში ბრაზილიელი მცველი ჯდება და ვიცი, რომ ეს ასეა, მაშინ მისი სხვაგან გაშვება აბსურდული გადაწყვეტილება იქნებოდა".*

**ლაშა ნიკლაური**

სკუადრა აძურა

# 2010 წელს იტალიას არ მოუგია

## დე როსის პრანდელის იმედი აქვს

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – მსოფლიო ფეხბურთის აღიარებულ გრანდს და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს 2010 წელს ერთი შეხვედრაც კი არ მოუგია. დიახ, "სკუადრა აძურას" კატასტროფული შედეგები აქვს და სწორედ ამაზე საუბრობს ჟურნალისტებთან **დანიელე დე როსი:**

*"საშინელი წელია ჩვენი ნაკრებისთვის და ეს შედეგებიდან კარგად ჩანს. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ვერც ერთ ამხანაგურ შეხვედრაში ვერ გავიმარჯვეთ და რაც მთავარია, მუნდიალზე სრული ფიასკო განვიცადეთ. კიდევ ერთ პაექრობაში დავმარცხდით კოტ დ'ივუარის ეროვნულ გუნდთან და მრჩება შთაბეჭდილება, რომ უბრალოდ დანავსულები ვართ. მალე ახალი ორწლიანი ციკლი დაიწყება და ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ მდგომარეობა მალევე გამოვასწოროთ. შესარჩევი ეტაპის ცუდად დაწყება შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს და თავიდანვე მაქსიმალურად მობილიზებულნი უნდა ვიყოთ".*

როგორც უკვე გამცნეთ, დე როსი იტალიის ეროვნული გუნდის ახალი კაპიტანია. ჟურნალისტებთან სწორედ ამ საკითხზე ისაუბრა და შემდეგ, **ჩეზარე პრანდელიც** დაახასიათა: *"იყო ეროვნული ნარების კაპიტანი, უდიდესი პატივია და ამას გაცნობიერება სჭირდება. ამასთან, ეს დიდი დაფასებაა და ნამდვილად ვამაყობ, რომ არჩევანი ჩემზე შეჩერდა. ვეცდები, სამაგალითო ვიყო ფეხბურთელებისთვის და ნაკრებს წარმატებებისკენ გავუძღვე. რაც შეეხება ჩეზარე პრანდელის, ძალიან ძლიერი სპეციალისტი და შესანიშნავი ადამიანია. ფეხბურთელებს სათითაოდ ესაუბრება და თითოეულის სატკივარი გულთან ახლოს მიაქვს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან პრობლემას გადაჭრა სჭირდება და არა თავიდან მოშორება. ჩეზარეს სჯერა, რომ ამ ნაკრებს დიდი მიზნების მიღწევა შეუძლია და ამაში მას მეც ვეთანხმები".*

**ლაშა ნიკლაური**

# რომას ლეგროტალიე უნდა

## გობი თითქმის გაფორმდა

იტალიური სპორტული პრესა იუწყება, რომ უახლოეს დღეებში "რომა" კიდევ ერთ ფეხბურთელს დაიმატებს. ლაპარაკია **მასიმო გობიზე**, რომელიც ფლორენციის "ფიორენტინას" საკუთრებაა და ამპლუით ნახევარმცველი გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ სახელიანი ფეხბურთელია, "ვიოლას" ძირითად შემადგენლობაში იშვიათად უწევდა თამაში და კლუბის გამოცვლაც ამად განიზრახა. მისი გადაბირება "სამპდორიას" მესვეურებს სურდათ და მოლაპარაკებებიც დაიწყო, თუმცა შემდეგ რომაული ვარიანტი გამოჩნდა და ფეხბურთელსაც დედაქალაქისკენ გაუწია გულმა. ეს ბუნებრივიც არის, რადგან "ჯალოროსი" გაცილებით უფრო ამბიციური და სახელიანი გუნდია, რომელსაც გარანტირებული აქვს ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა.

ამასობაში, "რომასთან" დაკავშირებით კიდევ ერთი ინფორმაცია გავრცელდა – გამომდინარე იქიდან, რომ დიდია შანსი, დედაქალაქელებმა **ნიკოლას ბურდისოს** შენარჩუნება ვერ მოახერხონ, დღის წესრიგში ცენტრალური მცველის შეძენა დადგა და ამ მიმართულებით უკვე გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგა. "კორიერეს" ცნობით, რომაელები "იუვენტუსის" უკანახაზელის **ნიკოლა ლეგროტალიეს** გადაბირებას შეეცდებიან. ნიკოლა მაღალი კლასის მცველია და ეროვნული ნაკრების კანდიდატად ითვლება, თუმცა კლუბში მეტწილად სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა. გასულ სეზონში, **ფაბიო კანავაროს** და **ჯორჯო კიელინის** რეზერვისტი გახლდათ და ისეთი პირი უჩანს, რომ მდგომარეობა არც სამომავლოდ შეიცვლება. მართალია, კანავარომ ტურინი დატოვა, მაგრამ სამაგიეროდ, „იუვემ" **ლეონარდო ბონუჩი** დაიმატა, რომელიც უკვე ეროვნული ნაკრების ძირითად ფეხბურთელად მიიჩნევა და იქაც ჯორჯო კიელინის უმშვენებს გვერდს. ამიტომ, ლეგროტალიე კვლავ ოფსაიდში რჩება და ისლა დარჩენია, სხვა გუნდში გადასვლაზე იფიქროს. "რომას" გამოჩენაც დროულია და ვნახოთ, შედგება თუ არა ეს ტრანსფერი. როგორც "ჯალოროსის" სპორტული დირექტორი **ბრუნო კონტი** ამბობს, ლეგროტალიეს გადასაბირებლად ყველა ღონეს იხმარენ: *"ნიკოლა ძალიან ძლიერი მცველია და მისი გადაბირება ნამდვილად გვინდა. საამისოდ ყველა ღონეს ვიხმართ, მაგრამ გადამწყვეტი მაინც "იუვენტუსის" მესვეურთა პოზიცია იქნება. თუ ფეხბურთელის სანაცვლოდ არარეალური თანხა მოითხოვეს, მაშინ მოლაპარაკების გაგრძელებას აზრი არ ექნება. თუმცა მჯერა, რომ მოვლენები რადიკალურად განსხვავებული სცენარით წარიმართება".*

კონტი რაღაცას შიშობს და პრინციპში, ეს ბუნებრივიც არის. ტურინული გრანდი "ჯალოროსის" კონკურენტია და სულ რომ არ სჭირდებოდეს ლეგროტალიე, შესაძლოა მეტოქის გაძლიერებაზე თქვას უარი და მოლაპარაკება ჩიხში შეიყვანოს. ამასთან, როგორც უკვე არაერთხელ გამოჩნდა, რომაელებს ფინანსური პრობლემები აქვთ – თუ ნიკოლას ბურდისოში რვა მილიონი ევროს გადახდა ვერ მოახერხეს, გამოდის, რომ ასეთ თანხას ვერც ნიკოლასში გადაიხდიან. არადა, ლეგროტალიე სახელიანი ფეხბურთელია და "იუვენტუსი" მას ორ და სამ მილიონად ნამდვილად ვერ შეელევა. ერთი სიტყვით, ჯერ ძალიან ბევრი კითხვის ნიშანია და ისლა დაგვრჩენია, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.



**ლაშა ნიკლაური**

ამხანაგური მატჩი

# გერმანიის დუბლების დადებითი შედეგი

| დანია–გერმანია | 2:2 |
|---|---|

**დანია:** სორენსენი – იაკობსენი, კიაერი, აგერი, ს. პოულსენი (28. ტომსენი) – იენსენი (46. სილბერბაუერი), ერიქსენი, კვისტი (67. ლორენტცენი) – რომედალი, პედერსენი (55. იუნკერი), ენევოლდსენი (46. შიონე)

**გერმანია:** ვიზე – ბეკი (56. რიტერი), ბოატენგი (78. შულცი), ტასკი, მ. შეფერი – გენტნერი, ჰიტცლშპერგერი (66. ჰელმესი) – ტრეში, კროოსი, მარინი (56. ჰანტი) – გომესი

**გოლები:** 0:1 გომესი (19), 0:2 ჰელმესი (73), 1:2 რომედალი (74), 2:2 იუნკერი (87)

**მაყურებელი:** 16 100

კოპენჰაგენის "პარკენზე" **იოაჰიმ ლიოვმა** განახლებული ნაკრები გაიყვანა. გერმანიის ნაკრების თავკაცმა მუნდიალზე წაყვანილი ფეხბურთელების უმრავლესობა დაასვენა და გუნდის უახლოესი რეზერვი გამოცადა. გერმანელთა განაცხადში სულ 16 ფეხბურთელი იყო შეყვანილი და **მანუელ ნოიერის** გარდა, მატჩში მონაწილეობა ყველა მათგანმა მიიღო. როგორც წინასწარ იყო გამოცხადებული, **მიხაელ ბალაკისა** და **ფილიპ ლამის** არყოფნაში, გერმანელებს **თომას ჰიტცლშპერგერმა** უკაპიტნა. მეტოქისგან განსხვავებით, დანიელებმა ოპტიმალურთან მიახლოებული შემადგენლობით ითამაშეს.

შესუსტებული შემადგენლობის ფონზე, ბუნდესგუნდს ურიგოდ სულაც არ უთამაშია და გამარჯვებასთანაც ძალიან ახლოს იყო. **მარიო გომესმა** ანგარიში ჰიტცლშპერგერის გადაცემით გახსნა, რასაც დანიელთა გამოცოცხლება და მათ მიერ გაფუჭებული რამდენიმე რეალური საგოლე შესაძლებლობა მოჰყვა.

73-ე წუთზე **პატრიკ ჰელმესმა კრისტიან გენტნერის** პასით გაიტანა და ალბათ, გერმანელებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს, მაგრამ ერთ წუთში ვეტერანმა **დენის რომედალმა** თავისიანებს თამაშის გადარჩენის იმედი დაუბრუნა.

დარჩენილ დროში მასპინძლებმა მოწინააღმდეგის კართან ნამდვილი შტურმი მოაწყვეს და მიზანსაც მიაღწიეს. 15 მეტრიდან თავი **მადს იუნკერმა** გამოიჩინა, რომელიც, მართალია 29 წლისაა, მაგრამ მხოლოდ მეორე სანაკრებო მატჩს ატარებდა.

დანიელები ამ შეხვედრაში მარცხს ნამდვილად არ იმსახურებდნენ, კოპენჰაგენში ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



# ბალოტელი: ვიცი სად ვითამაშებ

**მარიო ბალოტელის** გარშემო მითქმა-მოთქმა არ წყდება: ხან "მანჩესტერ სიტიში" გადაჰყავთ, ხან ლონდონის "ჩელსიში" და ხანაც "ინტერში" რჩება. მოკლედ, დიდი გაუგებრობაა და როდის დაადგება მის საკითხს საშველი, დღეს ძალიან რთული სათქმელია. თვითონ მარიომ კი მოულოდნელი კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ უკვე იცის, სად გააგრძელებს კარიერას:

*"ერთი ხანობა დიდ გაუგებრობაში ვიყავი, მაგრამ დღეს უკვე კარგად ვიცი რას გავაკეთებ მომავალში და სად გავაგრძელებ კარიერას. მივდივარ თუ არა "ინტერიდან"? – ამაზე დღეს ვერ გაგცემთ პასუხს და უმჯობესია, რომ ცოტაც მოიცადოთ. რამდენჯერაც ჩემს სამომავლო გეგმებზე კომენტარი გავაკეთე, ჟურნალისტებმა ყველაფერს საკუთარი ინტერპრეტირება გაუკეთეს და აღარ მსურს, რომ კიდევ ერთი შეცდომა დავუშვა. ყველაფერს მალე მოეფინება ნათელი".*

ბალოტელი დამაინტრიგებლად ლაპარაკობს და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ უახლოეს დღეებში მისი სხვა გუნდში გადაბარგების შესახებ გახდება ცნობილია. სავარაუდოდ, „მანჩესტერ სიტიზეა" ლაპარაკი, თუმცა უმჯობესია, ნუ გავასწრებთ მოვლენებს. ამასობაში, ბალოტელის იტალიის ეროვნულ ნაკრებში ჰქონდა დებიუტი. მართალია, "სკუადრა აძურა" „კოტ დივუარის" ეროვნულ გუნდთან დამარცხდა, მაგრამ მარიო მაინც კარგ განწყობილებას ინარჩუნებს: *"შესანიშნავი განცდა იყო, რომელიც არასდროს დამავიწყდება. განსაკუთრებულად ემოციური ჰიმნის შესრულება იყო და ვიგრძენი, რომ ახალ სამყაროში მოვხვდი. მართალია, ჰიმნს ჯერ ვერ ვმღერი, მაგრამ გრძნობები ისეთივე მაქვს, როგორიც სხვა ნებისმიერ იტალიელ ფეხბურთელს. მიუხედავად იმისა, რომ დავმარცხდით, მთლიანობაში ნორმალურად ვიასპარეზეთ და ნათლად გამოჩნდა, რომ მომავალში დიდი მიზნების მიღწევა შეგვიძლია. რაც შეეხება ჩემს თამაშს, ათბალიანი სისტემით საკუთარ ასპარეზობას ხუთი ბალით შევაფასებდი – უკმაყოფილო დავრჩი, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში გაცილებით უკეთ წარმოვჩნდები".*

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩების მიმოხილვა

# დი მარიას ტრიუმფი ახალ ავივაზე

## ელ ჩეჩო დიეგოს სჯობსო...

**ირლანდია-არგენტინა 0:1**

**ირლანდია (4-4-2):** გივენი - მაკშეინი, ოში, დანი, კილბეინი (57. კანინგემი) - ფეჰეი (77. ტრესი), ენდრიუზი (67. გიბსონი), გრინი, დაფი - კინი, შერიდანი (56. კეო).

**არგენტინა (4-3-3):** რომერო - ბურდისო (46. საბალეტა), დემიკელისი, სამუელი (84. კოლოჩინი), ჰაინცე (72. ინსუა) - ბანეგა, მასკერანო, გაგო - მესი (58. ლავეცი), იგუაინი (46. დ. მილიტო), დი მარია (72. გუტიერესი).

**გოლი:** 0:1 დი მარია (20)

**მაყურებელი:** 49 500

2007 წელს ძველი „ლენდსდაუნროუდი“ დაანგრიეს და მის ადგილზე ახალთახალი, 50-ათასიანი სტადიონი წამოჭიმეს, რომელსაც 10 წლის განმავლობაში სპონსორის სახელი, „ავივა“ ერქმევა. სტადიონის გახსნა მარტში შედგა, თუმცა ირლანდიის ეროვნულმა ნაკრებმა პირველი საერთაშორისო შეხვედრა ოთხშაბათს ითამაშა ორგზის მსოფლიო ჩემპიონ არგენტინასთან და... 0:1 წააგო. **დიეგო მარადონასგან** დაობლებულ არგენტინას „რეალის“ ახალწვეულმა **ანხელ დი მარიამ** მოაგებინა.

ირლანდიელთა ლიდერი **რობი კინი** კარიერაში მე-100 მატჩს თამაშობდა ეროვნულ ნაკრებში და მონდომებულიც იყო, რომ ნაკრებში 44-ე გოლი გაეტანა, თან ახალი სტადიონის ისტორიაშიც პირველი საერთაშორისო გოლის ავტორი გამხდარიყო. კინი მხოლოდ მე-4 ირლანდიელი ფეხბურთელია, რომელმაც მეასე კეპი მოიხვეჭა. კაპიტანი მოედანზე თავის 15 თვის ვაჟ **რობი ჯუნიორთან** ერთად გამოვიდა და უხვად მიიღო გულშემატკივართა აპლოდისმენტები.

სხვადასხვა მიზეზის გამო ფეხბურთი ამ თამაშში მეორე პლანზე მოექცა. სტადიონის პირველ მატჩზე უკვე მოგახსენეთ, მეორე და მთავარი მიზეზი, ირლანდიელთა იტალიელი თავკაცის, **ჯოვანი ტრაპატონის** ავადმყოფობაა. 71 წლის მოხუცი გასულ კვირაში საშინლად მოიწამლა და საქმე იქამდეც მივიდა, რომ იტალიელს მუცლის ოპერაცია ორჯერ დასჭირდა. საბრალო ტრაპატონიმ მატჩს ჰოსპიტლის პალატიდან უყურა, მოედანზე კი ირლანდიის ნაკრები მისმა ასისტენტმა **მარკო ტარდელიმ** გამოიყვანა.

ზუსტად 40 დღის წინ არგენტინის ნაკრები მუნდიალზე 0:4 გაანადგურეს გერმანელებმა. მას შემდეგ ნაკრებმა მთავარი მწვრთნელიც დაკარგა. მარადონას ნაცვლად გუნდს **სერხიო ბატისტა** გაუძღვა, რომელიც მხოლოდ დროებით ასრულებს მოვალეობას. მოკლედ, ორივე ნაკრები მთავარი მწვრთნელის გარეშე ასპარეზობდა.

ბატისტას დიდად არ შეუცვლია ნაკრები - სასტარტოში მან მუნდიალის მონაწილე 8 ფეხბურთელი დააყენა, მათ შორის **ლეო მესი**. მე-20 წუთზე ანხელ დი მარიამ **იგუაინის** პასით გაიტანა გოლი, ირლანდიელები დიდხანს უშედეგოდ აპროტესტებდნენ თანამსაჯთან და თამაშგარე მდგომარეობის დაფიქსირებას მოითხოვდნენ.

სხვათა შორის, არგენტინულმა პრესამ („კლარინი“, „ოლე“, კრონიკა“) „ელ ჩეჩოს“ (ბატისტას მეტსახელია) გუნდი გაცილებით უფრო სოლიდურად და ორგანიზებულად მიიჩნია, ვიდრე მარადონას დროინდელი ნაკრები.

**სერხიო ბატისტა:** *„ამ ბიჭებმა დიდი დარტყმა მიიღეს მუნდიალზე და ახლა თავიანთი კარგი ფეხბურთელობის დამტკიცება სურდათ. პირველ ტაიმში ძალიან კარგად ვითამაშეთ. 10-ბალიანი სისტემით გუნდის თამაშს 8 ბალით შევაფასებდი. მეორე ტაიმში კი მათი ქმედება ლოგიკური იყო, გუნდს ძალიან უნდოდა ამ თამაშის მოგება“.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



გოლის ავტორს ლეო მესი ულოცავს






ჯერარდის საგოლე გასროლა

# ჯერარდი ბედის წინააღმდეგ

**ინგლისი - უნგრეთი 2:1**

**ინგლისი:** ჰარტი, ჯონსონი, იაგიელკა, ტერი (46. დოუსონი), ეშლი კოული (46. გიბსი), უილკოტი (46. იანგი), ჯონსონი, ჯერარდი (83. უილშერი), ლემპარდი (46. ზამორა), ბერი, რუნი (67. მილნერი)

**უნგრეთი:** კირაი, ლიპტაკი (55. კომლოში), ვანცაკი (46. ლაცკო), იუჰასი, სელეში, ვადოცი, ჯუჯაკი (46. კომანი), რუდოლფი (83. პრიშკინი), ელეკი (59. ტოტი), გერა, ჰუსტი (46. ჰაინალი)

**გოლები:** 0:1 იაგიელკა (62. ს.კ.), 1:1 ჯერარდი (69), 2:1 ჯერარდი (73)

**მაყურებელი:** 72 024

ინგლისში ამ ამხანაგურ შეხვედრას **ფაბიო კაპელოს** მორიგ გამოცდად უფრო აღიქვამდნენ, ვიდრე შესარჩევი შეჯიბრებისთვის მომზადებად. წარმოიდგინეთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩაფლავების შემდეგ კაპელოს სანახევროდ გამოცვლილი შემადგენლობით „უემბლიზე“ უნგრეთთან რომ წაეგო, რა მოხდებოდაო, წერენ გაზეთები და ერთხმად აღნიშნავენ, რომ იტალიელ თავკაცს **სტივენ ჯერარდმა** უშველა - კაპიტნის ორი საუცხოო გოლის წყალობით მასპინძლებმა აღმოსავლეთევროპელებს სძლიეს. თან, თავიდან უნგრელები იგებდნენ... შეხვედრის სამივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა.

მეტსაც წერენ ინგლისელი მიმომხილველები. მათი ვარაუდით კაპელოს გუნდს ამ მხოლოდ და მხოლოდ ამხანაგურ შეხვედრაში რომ წაეგო ან ფრედ ეთამაშა, ევრო 2012-ის შესარჩევი ეტაპის წინ დაითრგუნებოდა და შესაძლოა ჯგუფიდან ველარც გასულიყო. შეგახსენებთ, რომ ინგლისი ევრო 2008-ზე ვერ მოხვდა და ეს კოშმარი ქვეყანას, როგორც ჩანს, ჯერ არ დავიწყებია. და აი, ასეთ კოშმარებთან მებრძოლ ინგლისელებს 62-ე წუთზე უნგრეთმა გოლი გაუტანა. თან როგორ - მასპინძლებმა თავად შეაგდეს საკუთარ კარში. ეს ასე მოხდა: **მაიკლ დოუსონს** თავის ნახევარზე ფეხი დაუსხლტა, ბურთი „ფულჰემის“ უნგრელმა თავდამსხმელმა **ზოლტან გერამ** იხელთა, საჯარიმომდე მიირბინა და შეცვლაზე შესულ **ვლადიმირ კომანს** „გააყოლა“. კომანი კარს მახვილი კუთხით მიუახლოვდა და გამჭოლი პასის ჩაწოდება სცადა. სწორედ აქ არ გაუმართლა **ფილ იაგიელკას**. ბურთი მისი ფეხიდან აიჭრა და მართალია ზემოთ ნახსენებმა დოუსონმა თავ-პირის მტვრევით ჩაირბინა კარის ხაზამდე და ბურთი უკან გამოაგდო კიდეც, მსაჯის აზრით, გოლი გავიდა.

იყო გოლი? გადაკვეთა ბურთმა ხაზი? ინგლისელი კომენტატორები და მიმომხილველები ერთხმად ამტკიცებენ, რომ არა, თქვენ კი, ძვირფასო მკითხველო, თუ თამაში არ გინახავთ, ტელევიზიით „ჰაილაითების“ ცქერისას გთხოვთ დააკვირდეთ. დიდი შანსია, რომ იყო კიდეც. ისე კი, ამ კარის ხაზთან დაკავშირებით ინგლისელებს რა ღმერთი უწყრებათ, მართლა საინტერესოა - აქ, მსოფლიოს ჩემპიონატზე **ფრენკ ლემპარდის** გატანილი გოლის ამბავს აღარ გავიმეორებთ.

ასე იყო თუ ისე, ბედმა კაპელოს კვლავ აქცია ზურგი, თუმცა ჯერარდმა ბედისგან რადიკალურად განსხვავებული პოზიცია დაიკავა. აღფრთოვანებით ვიმეორებთ: მან ორი საოცარი გოლი გაიტანა. პირველი უნგრელების წარმატებიდან 7 წუთში შეაგდო - სწრაფი შეტევისას მეტოქის ნახევარზე, მოედნის შუაში მიიღო ბურთი, მოწინააღმდეგის საჯარიმოს მეტ-ნაკლებად მიუახლოვდა და საბჭოურად რომ ვთქვათ, ცხრიანში დაარტყა. მეორე გოლი კი ამ ამბიდან ოთხი წუთის შემდეგ სულ სხვა გემოვნების მაყურებელთა გასახარად გაიტანა: **ეშლი იანგისგან** ბურთი უნგრელთა საჯარიმოში, სამი მცველის გარემოცვაში მიიღო, გააჩერა, ფინტით შემობზრიალდა, სამივე მეურვე ჩამოიტოვა და მარცხენა ფეხით შეაგდო. არა, ამასაც ნახვა უნდა!

ამ შეხვედრაში ერთი-ორი სხვა მომენტიც იყო, მაგრამ მათი აღწერით თავს აღარ მოგაბეზრებთ, ჯერარდის მატჩის შემდგომ ციტატებს კი შემოგთავაზებთ:

*„ბოლო ხანს ჩვენ, ფეხბურთელები ძალიან გვაკრიტიკეს. ამ კრიტიკის ნაწილი სამართლიანი იყო, ნაწილი უსამართლო. უსამართლო ის ნაწილი გახლდათ, სადაც ჩვენზე ამბობდნენ, რომ ინგლისის სახელით თამაში არად მიგვაჩნია. მგონი დღეს პირველი გოლი ისე ვიზეიმე, რომ ეჭვი აღარავის დავუტოვე.*

*...საერთოდ, ასეთ შეხვედრებში, როდესაც მეტოქე მთელი გუნდით იცავს თავს, გოლს რაც უფრო მალე გაიტან მით უკეთესია. როგორც ნახეთ, დღეს არ გაგვიმართლა. მეტიც, ანგარიში უნგრელებმა გახსნეს, რის მერეც ჩვენი ამოცანა ორმაგად გართულდა, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაგვიყრია და როგორც ნახეთ, მაინც გავიმარჯვეთ“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

# საიმედო მარცხი... ვითომ?

## სხვა საფრანგეთი ულევაალზე

**ნორვეგია-საფრანგეთი 2:1**

**ნორვეგია (4-1-4-1):** კნუდსენი - ჰოგლი, ვაელერი (46. დემიდოვი), ჰანგელანდი, ი. რიისე - ჰაუგერი (90. იენსენი) - ჰუსეკლეპი, ბ. რიისე (67. სკიელბრედი), გრინდჰეიმი (62. სოლი), პედერსენი - აბდელაუე (46. რუუდი).

**საფრანგეთი (4-3-1-2):** რუფიე - ფანი, რამი, მექსე, სისოხო - სისოკო (46. ლ. დიარა), მვილა (74. კაბაიე), ნზოგბია (46. ბენ არფა) - ნასრი (79. ბრიანი) - რემი (46. მენეზი), ოარო (61. ბენზემა).

**გოლები:** 0:1 ბენ არფა (48), 1:1 ჰუსეკლეპი (50), 2:1 ჰუსეკლეპი (72)

**მაყურებელი:** 15 000

„საიმედო მარცხი“ - ასე მონათლეს მოკლედ საფრანგეთის ნაკრების წაგება ოსლოში ნორვეგიის გუნდთან - 1:2. **ლორან ბლანის** დებიუტი „სამფეროვანთა“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე მარცხიანი იყო, მაგრამ თავად მწვრთნელი, ფეხბურთელები, ფედერაციის ხელმძღვანელობა და პრესის ნაწილიც წაგების მიუხედავად იმედიანადაა. რამდენადაა მათი ოპტიმიზმი საფუძვლიანი, მომავალი გვიჩვენებს. ჩვენ კი, ცოტა არ იყოს, ეჭვი გვეპარება...

აუცილებლად უნდა შეგახსენოთ, რომ ოსლოში არ უთამაშია მუნდიალის მონაწილე 23 კაცს, რომელსაც ფედერაციამ აფრიკაში სამარცხვინო გამოსვლის გამო ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა. მოკლედ, ნორვეგიაში სხვა საფრანგეთი ვიხილეთ, მწვრთნელიან-ფეხბურთელიანად, „ლე ბლეს“ სანაკრებო ფორმაც კი ახალთახალი ჰქონდა.



ნორვეგიელი მოჰამედ აბდულაუესა და ფრანგი ადილ რამის დაპირისპირება

ფრანგები მიიჩნევენ, რომ მათმა ნაკრებმა ძალიან კარგი, შემტევი ფეხბურთი ითამაშა, ხოლო მოედნის შუახაზში ბადალი არ ჰყავდა **იან მვილას**. „რენის“ 20 წლის ნახევარმცველმა მართლაც

>> მე-9 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩების მიმოხილვა

« მე-8 გვერდიდან

დაუღალავად, უშეცდომოდ ითამაშა და მომავალ სანაკრებო კარიერაზეც სერიოზული განაცხადი გააკეთა. ლორან ბლანმა გუნდი 87-იანების თაობის ბირთვით დააკომპლექტა (**ოარო, სისოკო, რემი, ბენ არფა, მენეზი**), რომელთაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ანგარიში მეორე ტაიმის დასაწყისში ჰატემ ბენ არფამ ძლიერი დარტყმით გახსნა, მაგრამ შემდეგ დაცვაში ორი შეცდომის გამო საფრანგეთის ნაკრებმა მარცხი იგემა. ჯერ ოარომ ითამაშა დაბნეულად და კონტრშეტევაზე **ერიკ ჰუსეკლეპმა** გაიტანა. 72-ე წუთზე კი „რეალის“ ნახევარმცველმა **ლასანა დიარამ** უაზროდ დაკარგა ბურთი მოედნის შუაში და კვლავ ჰუსეკლეპმა შეძლო „მონაკოს“ მეკარე **სტეფან რუფიეს** დამწუხრება.

**ლორან ბლანი:** *„ჩვენი თამაშით კმაყოფილი ვარ. მხოლოდ შედეგია სამწუხარო. მომეწონა, თუ როგორ აკონტროლებდნენ ბიჭები ბურთს, როგორ ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს. მათ ვუთხარი კიდეც, რომ ასეთი თამაშით უკეთესი შედეგისთვის უნდა მიეღწიათ. კარგად გამოჩნდა სხვაობა ფიზიკურ მზადებაში, ვისთვისაც სეზონი უკვე დაიწყო, ისინი უკეთ არიან მომზადებული თამაშისთვის. ევრო-2012-ის შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე სამი კვირა კიდევ დარჩა და ბევრი თამაშის ნახვას მოვასწრებ, ბევრს დავაკვირდები. გეტყვით, რომ 3 სექტემბერს დღევანდელი მატჩის რამდენიმე მონაწილე იქნება ნაკრებში“.*

**იან მვილა:** *„სამწუხაროა, რომ მოსამზადებლად ბევრი დრო არ გვქონდა. ხეირიანად ერთმანეთიც კი არ გაგვიცნია. მე მცველების წინ თამაში მევალებოდა და არ გამჭირვებია, რაც ლასანა დიარა გამოვიდა მოედანზე, კიდევ უფრო გამიადვილდა თამაში. როცა ბენ არფამ გაიტანა, გვეგონა, რომ საქმის მთავარი ნაწილი გავაკეთეთ, მოვეშვით და აკი დავისაჯეთ კიდეც. მწვრთნელმა თამაშის შემდეგ შეგვაქო“.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# საიუბილეო ფრე აცტეკაზე

## იუნაიტედი იქით, სიტი აქეთ

**მექსიკა-ესპანეთი 1:1**

**მექსიკა (4-2-3-1):** ოჩოა (55. კორონა) - ხუარესი, როდრიგესი, მორენო (65. ლოპესი), სალსიდო - მარკესი (56. აგილარი), ტორადო - ჯოვ. დოს სანტოსი (64. ე. ერნანდესი), ველა (55. ესკედა), გუარდადო (69. პინტო) - ხ. ერნანდესი (46. ბარერა).

**ესპანეთი (4-2-3-1):** კასილიასი (46. ვალდესი) - არბელოა, პუიოლი (46. ნავასი), მარჩენა (65. პიკე), მონრეალი - ბრუნო (71. პედრო), ბუსკეტსი (61. ჩავი) - კასორლა, ფაბრეგასი (46. ჩაბი ალონსო), მატა (46. სილვა) - ლორენტე (46. ს. რამოსი).

**გოლები:** 1:0 ხ. ერნანდესი (12), 1:1 სილვა (91)

**მაყურებელი:** 105 000

„მანჩესტერ სიტის“ ახალწვეულმა **დავიდ სილვამ** ესპანეთის ნაკრები, რომელიც პირველად ასპარეზობდა მსოფლიოს ჩემპიონის რანგში, მექსიკური მარცხისგან იხსნა. გადაჭედილ „აცტეკაზე“ სილვამ უკვე მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე გაათანაბრა - 1:1.

მასპინძლები უკეთ და სწრაფად თამაშობდნენ, ამიტომაც სავსებით დამსახურებულად დაწინაურდნენ, თუმცა **ხავიერ ერნანდესის** გოლი საჭოჭმანო სიტუაციაში გავიდა: მე-12 წუთზე დეპორტივოელმა **ანდრეს გუარდადომ** ესპანელ მცველთა ზურგს უკან მახვილგონივრული პასი გააკეთა, მაგრამ **კარლოს ველა** აშკარად თამაშგარე მდგომარეობაში იყო, ველა მიხვდა და ბურთს არ შეეხო და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალწვეულ ხავიერ „ჩიკარიტო“ ერნანდესს კომბინაციის დასრულების საშუალება მისცა.

თავიდან მართლაც დიდი იყო მექსიკელთა უპირატესობა, **კარლოს მარჩენას** ორჯერ რომ არ ეყოჩაღა, **ჯოვანი დოს სანტოსი** და „ჩიკარიტო“ გოლებს მიითვლიდნენ, მაგრამ, რაც დრო გავიდა, ევროპელებმა ბურთის კონტროლს უმატეს და თამაშიც გაათანაბრეს. **ფერნანდო ლორენტეს** გატანაც მართებდა, მაგრამ ბურთს ფეხი ხეირიანად ვერ მოუქნია, ხოლო **სანტი კასორლას** დარტყმული ხარიხას მოხვდა. მოედნის მეორე მხარეს კაპიტანთა დუელში **იკერ კასილიასმა** აჯობა **რაფა მარკესს**.

პირველ ტაიმში მატჩი ამხანაგურ შეხვედრას ნაკლებად ჰგავდა, ტემპიც მაღალი იყო და დაძაბულობაც მოედანზე, მაგრამ შესვენებაზე განხორციელებულმა ცვლილებებმა თამაშის ხარისხზე უარყოფითად იმოქმედა. თამაშის ბოლოსკენ „როხამ“ მთავარი რეზერვი აამოქმედა - მოედანზე გამოვიდნენ მუნდიალის გმირები, რათა მატჩი გადაერჩინათ და ეს მათ შეძლეს კიდეც. 91-ე წუთზე სილვამ **ჩავის** პასით მეკარე **კორონას** აჯობა და მარცხენა კუთხეში გაიტანა - 1:1. „ფურია როხამ“ იდეალურისგან ძალიან შორი თამაში გვაჩვენა, მაგრამ 105 ათასი მაყურებლის თვალწინ არ წააგო.

**ვისენტე დელ ბოსკე:** *„ფრე ნაღდად სამართლიანი შედეგი იყო, იმის გათვალისწინებით, თუ რა ფორმაში არიან ჩემი ფეხბურთელები. მატჩის დიდ ნაწილს ჩვენ ვაკონტროლებდით, მაგრამ წინ თამამად ვერ მივდიოდით. ბიჭებმა დღეს გაიღეს ყველაფერი, რაც შეეძლოთ, მათ მონდომებას 10-ბალიანი სისტემით 10-იანს დავუწერდი“.*

საიტი „გოლი“ მექსიკელთა გუნდიდან ხავიერ ერნანდესს გამოყოფს, რომელსაც 8 ბალი დაუწერეს (მატჩის საუკეთესო შეფასება): „უყურეთ მას პრემიერლიგაში! „ჩიკარიტო“ იყო ფანტასტიკური, მან გოლი გაიტანა და პირველ ნახევარში (როცა ითამაშა) *საერთოდ დაჩაგრა მსოფლიო ჩემპიონი კარლეს პუიოლი“.* ესპანელთაგან კი საუკეთესო შეფასება ნაკრებში დაბრუნებულმა სანტი კასორლამ მიიღო - 7,5.


ჯოვანი დოს სანტოსისა და კარლოს მარჩენას დუელი

ან უკვე „ვილიარეალის“ მცველი კარლოს მარჩენა კი „ლა როხას“ თილისმად ჩამოყალიბდა - სილვას გოლმა მარჩენას უნიკალური რეკორდი იხსნა, 2003 წლის 7 ივნისის (საბერძნეთის ნაკრებთან) შემდეგ ესპანეთის ნაკრებს არ წაუგია კარლოს მარჩენასთან ერთად, ეს კი, არც მეტი და არც ნაკლები, 56 თამაშია! ამ თამაშებიდან 46-ში ესპანეთის ნაკრებმა გაიმარჯვა, 10 კი ფრედ ითამაშა. *„ჩვენ ვიხსენით ჩემი რეკორდი, სილვას გოლის შემდეგ ყველა მე მილოცავდა და არა გოლის ავტორს“,* - ხუმრობის ხასიათზე იყო თამაშის შემდეგ ყოფილი ვალენსიელი.

„ვილიარეალის“ ნახევარმცველი **ბრუნო სორიანო** მე-16 ფეხბურთელია, რომელმაც ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში პირველად ითამაშა ვისენტე დელ ბოსკეს მეთაურობით.

ცოტა რამ მატჩის სტატისტიკიდან: ესპანეთის ნაკრები თამაშის 63%-ს აკონტროლებდა, მეტოქეებმა კარში სულ 2-2-ჯერ დაარტყეს ზუსტად, ესპანელები მხოლოდ 9-ჯერ დაჯარიმდნენ მატჩის განმავლობაში, მექსიკელები კი - 15-ჯერ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ტყვიის სროლა

ინტერვიუ ნინო სალუქვაძესთან

# მსროლელები უპრეზიდენტოდ დარჩნენ

**ჩვენი მსროლელები ძალზე ცუდად გამოვიდნენ ამ დღეებში მიუნხენში დამთავრებულ მსოფლიოს 50-ე ჩემპიონატში. თუმცა ყველაზე ძნელად წარმოსადგენი ოლიმპიური, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ ნინო სალუქვაძის წარუმატებლობაა. ჩვენებური პნევმატური იარაღით სროლაში 47-ე იყო, სპორტულით კი უფრო ცუდად ისროლა და 54-ზე გავიდა.**

**არადა, ამ ჩემპიონატზე მედლების გარდა ლონდონის ოლიმპიადის ხუთ-ხუთი საგზური თამაშდებოდა და ვიმედოვნებდით, რომ სალუქვაძე შეძლებდა მის მოპოვებას. მით უფრო, კარგადაც იყო მომზადებული, რამდენიმე ტურნირშიც გამოვიდა, ალუშტასა და მოსკოვში შეკრებებიც გაიარა... ახლა მას ლიცენზიებისთვის ბრძოლა გაისად მოუწევს. თუ ვერც ამჯერად მოინადირა, მაშინ - ოლიმპიადის წელსაც. ორივე სეზონში ხუთ-ხუთი სალიცენზიო ტურნირია დარჩენილი - მსოფლიოს თასის ოთხ-ოთხი ეტაპი და ევროპის თითო პირველობა, ოღონდ კონტინენტის ჩემპიონატები პირველ წელს ერთ სახეობაში გაიმართება, მეორე სეზონზე - მეორეში. თასებზე მხოლოდ თითო საგზური გაიცემა, ევროპის პირველობებზე - სამ-სამი. თუმცა ამ კვოტებში უკვე ლიცენზირებულთა მოხვედრის შემთხვევაში ადგილმონაცვლეობის პრინციპი იმოქმედებს, ანუ საგზური მის მომდევნოს გადაეცემა. მიუნხენში მსოფლიოს პირველობაზე ლიცენზიები ისეთებმა მოიპოვეს, ნაკლებად სავარაუდოა, ისინი სტაბილურად მოხვდნენ მოწინავეებში ან სულაც გაიმარჯვონ, მაგრამ მაინც... ძალზე მოულოდნელია მსოფლიოს ჩემპიონატზე სერბი ზორანა არუნოვიჩის და რუსი კირა კლიმოვას გამარჯვებაც - აქამდე მათ სერიოზული რანგის ტურნირი არ მოუგიათ.**



**ნინო სალუქვაძეს გუშინ შევეხმიანეთ და ცუდი გამოსვლის მიზეზებზე დავეკითხეთ. როგორც იმ ტურნირების მიმოხილვებში ვივარაუდეთ, ტექნიკური მიზეზებიც ყოფილა, მაგრამ სპორტსმენი უკვე მხედველობის პრობლემაზეც ალაპარაკდა, რაც ადრეც აწუხებდა, მაგრამ არა ამდენად... თავად ფედერაციას კი არანაკლები სადარდელი გაუჩნდა - პრეზიდენტი დავით ქარსელაძე თანამდებობიდან წავიდა და მსროლელებს ახალი პრეზიდენტის ძებნა უწევთ.**

**- რითი ახსნით თქვენს ასეთ სუსტ გამოსვლას მსოფლიოს ჩემპიონატზე?**

- პნევმატურ იარაღში კარგ ფორმაში ვიყავი და სამწუხაროა ასეთი ცუდი გამოსვლა. არადა, შეკრებებიც გავიარე, იქაც კარგად ვისროლე და ნორმალურად ვიყავი მომზადებული. არ ვიცი, რისი ბრალია - დაძაბულობის თუ სხვა რამის. სულ ცხრიანები რომ მიეწყო, კინაღამ გადავირიე. არა და არ ხვდებოდა ათიანში...

**- რატომ, ფიზიკურად ვერ გაუძელით თუ რას მიიჩნევთ მიზეზად?**

- გადაღლილი ნამდვილად არ ვყოფილვარ. ალბათ, უფრო მხედველობის პრობლემაა. ბოლო სერიაში ლინზა შევცვალე და ცოტა უკეთესი შედეგი მქონდა. პირველ სამ სერიაში არც ერთი საკონტროლო ათიანი არ მქონია, ბოლოში კი ცხრა მქონდა. ადრეც სხვა ლინზას ვხმარობდი და ცოტა უკეთ ვისროდი. აქ კი ვმკურნალობ, მაგრამ მაინც არაა სასურველი შედეგი. ფაქტია, რომ ფოკუსს ვერ ვიჭერ დიდხანს, ნახევარი წუთი მაინც ხომ უნდა გაუძლოს თვალმა?!

**- უცხოეთში რომ გეცადათ მკურნალობა?**

- როგორ, რანაირად? თუმცა ჯერ არც მიცდია, რაკილა აქაურ კლინიკებსაც აქებენ და მათ ვენდობი. მაგრამ ფაქტია, რალაც მართლაც უნდა შევცვალო. აქამდე თუ მოვედი და გავუძელი ამ პრობლემას, მხოლოდ სპეციალური ვარჯიშებით, მაგრამ ეს უკვე არაა საკმარისი.

**- მეორე დისციპლინაში რა მოხდა, იქაც ეს პრობლემა იყო?**

- იქ უფრო იარაღს ვაბრალებ, იმან მიმტყუნა. ჩვენთან წესები შეცვალეს - თუ ადრე ორ შეცდომას გაპატიებდნენ, ახლა - მხოლოდ ერთს. თან ოდენ შვიდი წამი გაქვს დრო, მეტი არა, სიჩქარეში კი შეცდომის დაშვების მეტი ალბათობაა. ახლაც ასე მოხდა - თავისით გაისროლა ავტომატმა, მაგრამ მე ცდაში კი ჩამეთვალა! მათ არ აინტერესებთ, თავისით ისროლა თუ როგორ.

ახლა ვფიქრობ, ეს იარაღი ხომ არ შევცვალო, რადგან სულ ასეთი უცნაურობები ემართება - ოლიმპიადაზე „შტირი" გამოვარდა, საიდან, როგორ, დღემდე არ ვიცი, ახლა კი ავტომატმა გაისროლა... ვერ გავიგე, რა სჭირს... მანამდე ორი შეკრება გავიარე, ამდენი შეჯიბრება, მაგრამ არც ერთი თავისით გასროლა არ ჰქონია და რალა მაინცდამაინც ახლა გააკეთა?! ეს ისევ ძველი მოდელია, თუმცა იარაღი სამჯერ გამოვცვალე უკვე. მათ შორის - ოლიმპიადის მერეც, რადგან ლულაში ჰქონდა ხარვეზი. მიზეზი რომ ვიკითხე, კოროზიააო, მითხრეს. საიდან - წყალში და სინესტეში ეს არ აგდია და ჩემ გარდა ამით არავინ ისვრის-მეთქი... შემოდგომაზე ისევ გამოვცვალე, მაგრამ ამას „შტირი" უვარდება - ხან ხელით ვასწორებ და ხან - როგორ! თუმცა ამას კიდევ მოევლება, მაგრამ იმას რას ვუზამ, ავტომატით რომ გაისროლა... მით უფრო, ახლა ერთის მეტს არავინ გაპატიებს. რამე თუ გაუფუჭდება, გამოცვლის უფლებას გაძლევენ და 15 წუთით გიშვებენ, მაგრამ აქ დაზიანება არაფერი იყო, მხოლოდ თავისით გაისროლა.

**- თქვენი თანაგუნდელების გამოსვლაზე რას იტყვით?**

- ნინო ფანჩულიძე პირველად იყო ამ დონის ტურნირზე და ვერ გამოვიდა კარგად. ქადაგიძემ 50-მეტრზე კარგად ისროლა - 551 ქულა არც ისე იოლი გასაკეთებელია. თან მოუგო ევროპის წინა ჩემპიონს, იტალიელ მაურო ბადარაჩის და ფრანგ ოლიმპიურ ჩემპიონ ფრენკ დუმოლინს. აი, პნევმატურში ვერ ისროლა კარგად, თუმცა მათ აკლიათ შეკრებები. ქადაგიძემ ეს შედეგი ორი შეკრების ხარჯზე გააკეთა. თან ისიც გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში ამ ტიპის ტირი საერთოდ არ გვაქვს. ამის მიუხედავად, მაინც კარგი შედეგი აჩვენა. მისი გამოსვლით კმაყოფილიო ვარ, ჩემი და ფანჩულიძისა - არა.

**- თავად ჩემპიონატიც ძალიან უცნაური გამოდგა - ყველა ლიდერმა მძიმე მარცხი იწვნია და სრულიად ახლებმა გაიმარჯვეს.**

- მართლაც ძალიან უცნაური შედეგები დაფიქსირდა. ფინალებში ვერც ერთი ფავორიტი ვერ მოხვდა - სერბი იასნა სეკარიჩი, ბულგარელი მარია გროზდევა, უკრაინელი ოლენა კოსტევიჩი, ამ დროს კი სრულიად უცხო ხალხმა მოიგო. თან რა დაბალი შედეგებით - სპორტულში რუსმა კირა კლიმოვამ მხოლოდ 584 ქულა გააკეთა, პნევმატურში სერბმა ზორანა არუნოვიჩმა - 385. ამაზე ბევრად მეტს მსოფლიოს თასებზე ვაკეთებთ. მაგალითად, მე წლეულს ერთ-ერთ ტურნირზე პნევმატურში 384 ქულით ფინალშიც ვერ შევედი.

არუნოვიჩს საკმაოდ კარგად ვიცნობ. წლეულს ამერიკაში თითქოს ცუდად არ გამოსულა, მაგრამ მისი გამარჯვება მაინც ძალზე მოულოდნელი იყო. სტაბილური სპორტსმენი არაა და ხვალ რას იზამს, კაცმა არ იცის. კლიმოვას შარშან და წლეულს არა უშავს, ცოტა წამოიწია. მიუნხენში მან ფინალის ხარჯზე მოიგო - ოთხი ქულა ამოუქაჩა არუნოვიჩს. მგონი, რუსების ნაკრებს უფრო წაადგა ჩემთან ვარჯიში, ვიდრე მე - მათთან.

თვითონ ჩემპიონატიც რალაც არაორგანიზებულად ჩაატარეს. ლამის ორი კვირა გრძელდებოდა, მაგრამ ჩვენი სროლები რატომლაც ბოლოსკენ მოიტოვეს და ისიც მიყოლებით ორ დღეში, მანამდე კი არცერთხელ გვავარჯიშეს. პნევმატური რომ ვისროლეთ, იმ სალამოსვე იყო ოფიციალური ვარჯიში სპორტულისთვის! როგორია - ჯერ მთელი დღე ეს ისროლე, მერე, სალამოს ფინალია, ბოლოს კი ისევ ივარჯიშე! არადა, ტირები ცარიელი იყო. როცა სტარტი 11 საათზე მქონდა, ოფიციალური ვარჯიში რატომ უნდა გვქონოდა დილის რვა საათზე? ნამდვილად არ იყო ტირების პრობლემა, თორემ რას ვიტყოდი. ყველა უკმაყოფილო იყო ასეთი ორგანიზაციით.

**- როგორც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, მესტენდურების გამოსვლას როგორ შეაფასებთ?**

- დავით ქვათაძე შეკეთებული იარაღით ისროდა და კიდევ კარგად გამოვიდა. შენგელიამ უფრო უკეთ ისროლა. ლაკიაც თავისთვის ვარჯიშობს... არა აქვთ მათ სათანადო პირობები და რა უნდა მოსთხოვო?! ერთი თვის ნავარჯიშები ვერც ერთი შეჯიბრებისთვის ვერ მოემზადები ისე, მედალი მოიპოვო. ხალხი დილიდან სალამომდე ვარჯიშობს, თავს იკლავენ, რა პირობები აქვთ, ჩვენ კი ბაზაც არ გვაქვს.

**- წლეულს უცხოური ტურნირებიდან მხოლოდ მსოფლიოს სუპერთასია თუ კიდევ გექნებათ სხვა შეჯიბრებები?**

- უცხოურებიდან მხოლოდ სუპერთასი, რომელიც შემოდგომაზე ისევ მიუნხენში ტარდება, საზღვარგარეთ სხვა არ გვექნება. შიდა შეჯიბრებების გამართვა კი გვინდა, მაგრამ ფედერაცია პრეზიდენტის გარეშე დარჩა - ქარსელაძემ განცხადება დაწერა წასვლაზე. ახალი არჩევნების ჩატარება სექტემბერში გვინდა, თუ მოვძებნეთ მანამდე საპრეზიდენტო კანდიდატურა.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო



პრაღის ტურნირის კვარცხლბეკი, მარცხნიდან მეორე ლაშა შავდათუაშვილი

# ოქროთი გაქვითული ხარჯი

ამას წინათ პრაღაში გამართულ ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიოს თასზე 18 წლის გორელმა ფალავანმა **ლაშა შავდათუაშვილმა** (66 კგ) უძლიერესის ტიტული მოიპოვა. ეს ტურნირი მოახლოებული ევროპის ჩემპიონატისთვის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობის დასადგენად ერთ-ერთი საკვანძო შეჯიბრება იყო და ვინაიდან საქართველოს ნაკრებში წონით კატეგორიაში ორ ფალავანზე მეტის დაფინანსება ვერ ხერხდებოდა, შავდათუაშვილი კი ქვეყნის ჩემპიონატზე მესამე პრიზიორი გახდა, გუნდს საკუთარი ხარჯით გაჰყვა. საერთოდ, სპეციალისტები მას პერსპექტიულ ფალავნად მიიჩნევენ და საქართველოს ჩემპიონატზეც გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ. ეროვნულ ჩემპიონატში ნახევარფინალამდე წარმატებით გადალახა ყველა ბარიერი. შემდეგ კი **ფრიდონ გიგანთან** დაუდევრობით დამარცხდა. „არბიტრის შეცდომა აშკარა იყო, თუმცა ლაშაც საბედისწეროდ შეცდა, როდესაც მსაჯის რეაგირების მოლოდინში შეწყვიტა პაექრობა. სამწუხაროდ, მაშინ იმდენად დაძაბული, ემოციური ფონი იყო (მსაჯობაზე სხვადასხვაგვარი რეაგირების მიზეზით დარბაზში რამდენჯერმე ჩხუბიც ატყდა), რომ ვითარების გართულებას მოვერიდეთ და შავდათუაშვილის მარცხს იძულებით შევურიგდით", — იხსენებს მისი პირადი მწვრთნელი **ნიკოლოზ ბიბილაშვილი**. საბოლოოდ, ამ წონაში კიდევ ერთი გორელი, **ლაშა ლომიძე** გახდა ჩემპიონი, მეორე ადგილზე გიგანი გავიდა, შავდათუაშვილს კი მესამე ადგილი ერგო.

პრაღაში მისი უშუალო კონკურენტები, ლომიძე და გიგანიც ჭიდაობდნენ. ლომიძემ მხოლოდ ერთი შეხვედრა მოიგო, გიგანმა - ორი. შავდათუაშვილმა ჯერ შვეიცარიელი **იანიკ ალემანი** გააკრა ბეჭებზე, შემდეგ - იტალიელი **ენრიკო პარლატი** და სლოვენიელი **ანდრაზ იერები,** ნახევარფინალში პოლონელ **გჟეგოჟ ლევნსკის,** ფინალში კი ებრაელ **გოლან პოლაცკის** სძლია.

„გული მწყდებოდა, რომ საქართველოს ჩემპიონატზე რაც შემეძლო, ის შედეგი ვერ მივიღე. მას შემდეგ იმ ხელმოცარვის გასაბათილებლად მიწევს ბრძოლა. საერთაშორისო არენაზე დამაჯერებლად კი გამოვედი, მაგრამ ევროპის ჩემპიონატისთვის ნაკრებში ადგილის მოსაპოვებლად ეს არ კმაროდა. ჩეხეთის ტურნირი გაცილებით მნიშვნელოვანი ეტაპი უნდა ყოფილიყო. ამიტომ მადლობლი ვარ ბატონი სოსო ლიპარტელიანის, რომელმაც მომცა შესაძლებლობა, პრაღაში მეჭიდავა. იქ გარკვეულწილად ორმაგი ფსიქოლოგიური წნეხის დაძლევაც მომიხდა — გამარჯვების გარდა, ნებისმიერი შედეგის შემთხვევაში ჩემი ამბიცია უსარგებლო ტრაბახს დაემსგავსებოდა და... გაჭირვებით ნაშოვნი ფულიც წყალში ჩამეყრებოდა. ამიტომ ორმაგად გავიხარე გამარჯვებით", — გვითხრა ლაშამ.

ნაკრების მთავარ მწვრთნელ სოსო ლიპარტელიანს, მართალია, ჯერ არ გადაუწყვეტია 66 კილოში საევროპო (ბულგარეთი) მონაწილის ვინაობა, მაგრამ არც იმას მალავს, რომ გამოკვეთილი ფავორიტი სწორედ შავდათუაშვილია.

„ლაშა პერსპექტიული ფალავანია და მასზე სამომავლოდაც დიდ იმედებს ვამყარებთ. ტექნიკურად ჭიდაობს, ფიზიკურადაც კარგადაა მომზადებული, თუმცა მის დადებით მხარედ დისციპლინას უფრო აღვნიშნავდი. შრომისმოყვარეობის გამოა, რომ ვარჯიშზე მაქსიმალურად იხარჯება და შემდეგაც ხშირად რჩება სავარჯიშოდ. იმედი მაქვს, შანსის მიცემის შემთხვევაში სოსო ლიპარტელიანს იგი გაუმართლებს კიდეც", — დასძინა გორის ჭიდაობის კომპლექსური სკოლის ხელმძღვანელმა **ანზორ თენაძემ**.

**ვასილ ბალახაძე**

ჩოგბურთი

# ქვაცაბაია ყოჩაღობს

ამ კვირაში ქართველებმა ერთგვარი პაუზა აილეს - მხოლოდ 22 წლის **სოფიო ქვაცაბაია** (394) ასპარეზობს სტამბოლის (თურქეთი, 10 ათასი დოლარი) მცირე საერთაშორისო ტურნირში, სადაც ის მე-2 ნომრად განთესეს. ბუნებრივია, ეს ტურნირი ბევრს ვერაფერს შეჰმატებს სოფიოს (თუ ჩემპიონი გახდა, სულ რალაც 12 ქულას მიიღებს), მაგრამ შარშან ამ დროს ქვაცაბაია არსად თამაშობდა, ამიტომაც სტამბოლური წარმატება მას აუცილებლად დააწინაურებს რეიტინგში.

ქვაცაბაიამ უკვე ორი ეტაპი დაძლია (4 სარეიტინგო ქულა გაინაღდა), მერვედფინალში მან იტალიელ **კონსტანცა მეკის** მოუგო - 6:3, 6:2. მეოთხედფინალში მე-6 ნომრად განთესილ ავსტრალიელ **დანიელა სკივეტის** (490) ეთამაშება. სოფიო წყვილთა ბადეში მასპინძელ **პემრა ოზგენთან** (486) ერთად უკვე ნახევარფინალშია. პირველ ნომრად განთესილი ქართულ-თურქული დუეტი ნახევარფინალში ბულგარულ-თურქულს (**შინიკოვა, ერაიდინი**) ეთამაშება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პლაჟბურთი

მსოფლიო ტური

# საქა-რთველო მეთოთხმეტეა

ნორვეგიის ქალაქ კრისტიანსანდში მსოფლიო თასის მორიგ ეტაპზე **საქა-რთველომ** მე-14 ადგილი დაიკავა. ქალთა შეჯიბრების პირველი დღე ჩვენმა ფრენბურთელებმა, რომლებიც ტურნირზე მე-12 ნომრად იყვნენ განთესილნი, მარცხით დაიწყეს. საქა-რთველო 21-ე ნომრად განთესილ ჩინურ წყვილ **იუან-იუესთან** სამ სეტში დამარცხდა - 21:14, 19:21, 13:15.

მერე კი ჩვენმა ბრაზილიელებმა 28-ე ნომრად განთესილ მასპინძლებს **ბერგეტ-ჰანსენს** მოუგეს - 21:5, 21:17.

ტურნირის მეორე დღეს საქა-რთველომ მე-11 ნომრად განთესილ მექსიკურ წყვილ **კანდელას-გარსიას** მოუგო - 21:13, 25:23. თუმცა მერე უმძიმეს ბრძოლაში დამარცხდა მე-14 ნომრად განთესილ კანადურ დუეტ **მარტინ-ლაზარდთან** - 31:33, 16:21.

საბოლოოდ, როგორც უკვე ვთქვით, საქა-რთველო მე-14 ადგილზე გავიდა და 180 სარეიტინგო ქულა ერგო.

გუშინ ჩაება ვაჟთა შეჯიბრებაში **გეორ-გია.** ჩვენებმა, რომლებიც მე-17 ნომრად არიან განთესილი, პირველ მატჩში მე-16 ნომრად განთესილ რუსებს, **ბელოვ-დაინოვს** სძლიეს - 21:17, 21:16.

გეორ-გიას მორიგი მეტოქე მსოფლიოს პირველი ნომერი ამერიკული დუეტი **როჯერს-დალჰაუზერია.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

წყალბურთი

# ფარდის დაშვების წინ

საქართველოს 1993 წელს დაბადებულ წყალბურთელთა ნაკრებმა (**გიორგი ცანკაშვილი, ირაკლი ფავლენიშვილი, ნიკოლოზ შუბლაძე, მერაბ გელაშვილი, ვაკო დავითური, ლევან ჩიქვინიძე, გივი სულაძე, დავით კაკულია, თორნიკე სხილაძე, ალექსანდრე ურუშაძე, სანდრო ხუციშვილი, გიორგი ქართველიშვილი, ზურაბ გოჩიტაშვილი**) **რევაზ ჩომახიძისა** და **ნოდარ ჩხარტიშვილის** ხელმძღვანელობით წლეულს ევროპის პირველობის საკვალიფიკაციო ტურნირზე ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა. დასკვნით ორთაბრძოლებს ხუთი დღეა, გერმანული შტუტგარტი მასპინძლობს. ჩვენმა ბიჭებმა, როგორც გაუწყეთ, ქვეჯგუფში სამივე შეხვედრა წააგეს: გერმანიასთან -7:11, თურქეთთან - 2:11, ხორვატიასთან - 2:24. გუშინ თურქეთთან კიდევ ერთხელ დამარცხდნენ 4:10 (4:1, 3:0, 2:0, 1:3). მეორე-მესამე ეტაპების ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: საბერძნეთი-სლოვაკეთი 8:6, ესპანეთი-რუსეთი 8:6, ჩერნოგორია-გერმანია 12:7, თურქეთი-საფრანგეთი 6:12; გერმანია-ბულგარეთი 13:9, საბერძნეთი-უნგრეთი 11:2, იტალია-ესპანეთი13:7, რუსეთი-ჰოლანდია 11:8, სლოვაკეთი-სლოვენია 14:10, ხორვატია-ჩერნოგორია 16:4. მედლების ბედი ასპარეზობის ბოლო დღეს გადაწყდება.

კრივი



მარცხნიდან: კობა ფხაკაძე, ზურაბ ტიბუა, ზაალ ჯავახაძე

# ლიგის გზა სტამბოლიდან დაიწყება

წლეულს თებერვალში საერთაშორისო კრივის ასოციაციამ (AIBA) და საერთაშორისო მარკეტინგულმა სააგენტომ დააფუძნეს პროფესიულ ლიგა WSB (World Series Of Boxing) რომლის მთავარი მიზანია ოლიმპიურ და პროფესიულ კრივს შორის ხიდის გადება.

აგვისტოს მიწურულიდან 3 სექტემბრის ჩათვლით სტამბოლში WSB -ს ტესტ-სემინარები გაიმართება. გამოცდების ჩაბარების შემდეგ სამი საკონტინენტო ზონიდან შეირჩევა 30 საუკეთესო მსაჯი, რომლებთანაც პროფესიული ლიგა ხელშეკრულებებს გააფორმებს. განსაზღვრულია რეზერვში 12 არბიტრის აყვანაც. სტამბოლის ტესტ-სემინარებზე მიწვეულია ქართველი სამვარსკვლავიანი საერთაშორისო მსაჯი **ზურაბ ტიბუა,** რომელსაც კრივის საერთაშორისო ასოციაციის სიახლეებზე ვესაუბრეთ:

— პროფესიული ლიგის რეგულარული სეზონი 2010 წლის 19 ნოემბერს დაიწყება და 2011 წლის მარტამდე გასტანს. გუნდები ამერიკის, აზიისა და ევროპის სამ საკონტინენტო ზონად დაიყო. სულ 12 ქალაქი მიიღებს მონაწილეობას. ახალი პროექტით ორთაბრძოლები 5 წონით კატეგორიაში (54, 61, 73, 85 და +91 კგ) გაიმართება. თითოეული პაექრობა ხუთი სამწუთიანი რაუნდისგან შედგება. მოკრივეები რინგზე უჩაფხუტოდ გავლენ.

WSB-მ რეგულარული სეზონის ორთაბრძოლებისთვის მსოფლიოს 100-ზე მეტი ახალგაზრდა მოკრივე შეარჩია. მათგან 4 ქართველია. **კობა ფხაკაძე** (61) და **ბექა ლობჟანიძე** (+91) ბაქოს წარმომადგენლებმა შეიგულეს, **გიორგი კილანავა** (54) პარიზის ღირსებას დაიცავს, **კახაბერ ჟვანია** (73) სტამბოლის გუნდის რეზერვშია ჩარიცხული, საგულისხმოა, რომ WSB-მ ცალკე გაუფორმა კონტრაქტი **ნიკა იზორიას.** მართალია მას ტრავმების გამო ორი წელიწადია, არ უასპარეზია, მაგრამ AIBA-ს მონაცემებით საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს. იგი კობა ფხაკაძესთან ერთად 61 კილოში გამოვა. სხვათა შორის, კობამ უკვე მოასწრო ერთი საჩვენებელი ბრძოლის ჩატარება. სამწუხაროდ, იგი უკრაინელ მეტოქესთან დამარცხდა.

პროფესიული ლიგის შექმნასთან დაკავშირებით ალსანიშნავია ისიც, რომ რეგულარული სეზონის ორთაბრძოლებით მოკრივეებს გაეზრდებათ ფინანსური შემოსავლის წყარო, ხოლო WSB-ს სეზონის განმავლობაში გამოვლენილი საუკეთესო მოკრივე 2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიას მიიღებს.

— **წლის ბოლომდე ოთხ თვეზე მეტია დარჩენილი. ჩვენი მოკრივეები რომელ შეჯიბრებებში იასპარეზებენ?**

— ბარბადოსის ქალაქ ბრიჯთაუნში 5-19 სექტემბერს ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. ქართული კრივის ისტორიაში პირველად ოკეანის გაღმა შეჯიბრებაში მონაწილეობის მისალებად გაემგზავრება ბათუმელი მარიკა ხორავა (57-61 კგ) მსაჯ ტარიელ გოგოჭურთან ერთად. ასპარეზობამდე მარიკა და მისი მწვრთნელი გოჩა აბაშიძე AIBA-ს პროგრამით (Road To Barbados) მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად საწვრთნელ შეკრებას გაივლიან.

ოქტომბერში მონღოლეთის დედაქალაქი ულანბატორი სტუდენტ მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს, სადაც ქართველებიც მოსინჯავენ ძალებს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ორი თვის შემდეგ ყაზახეთის ქალაქ ალმათიში AIBA-ს კონგრესი გაიმართება — კრივის საერთაშორისო ფედერაციისა და სხვადასხვა კონფედერაციის პრეზიდენტებს აირჩევენ. ახალი ვადით AIBA-ს თავკაცის პოსტის შენარჩუნების რეალური შანსი აქვს ჩინგ-კიუ ვუს, რომელიც საქართველოსადმი სიმპათიებითაა განწყობილი. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი პეტრე ცისკარიშვილი და გენერალური მდივანი ვლადიმერ ახალკაცი, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ საქართველოში კრივის ტრადიციების აღდგენისა და განვითარებისთვის. კონგრესზე ბატონი ვლადიმერი საერთაშორისო ფედერაციის ერთ-ერთი კომისიის წევრად არჩევის კანდიდატია, რაც მას თავად ვუმ შესთავაზა სპორტის ამ სახეობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. ჩვენი გენერალური მდივანი ხომ კრივის სამყაროში ავტორიტეტითა და დიდი პატივისცემით სარგებლობს.

ჭადრაკი

# მარცხისგან ბარმენმა იხსნა

ავტორის ფოტო



თორნიკე სანიკიძე (მარცხნივ) ვალიკო ურიდია და დავით ბარამიძე

ეს მოხდა გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს: მთელმა ოჯახმა პოლიტიკური თავშესაფარი უცხოეთში ჰპოვა. მას შემდეგ **დავით ბარამიძე** გერმანიაში ცხოვრობს და შეჯიბრებებზე ალემანთა სპორტულ ღირსებას იცავს.

ჭადრაკის თამაში 6 წლისამ ისწავლა. ყმაწვილის განსაკუთრებული დაინტერესება რომ შეამჩნიეს, მშობლებმა იგი საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ **ვალიკო ურიდიასთან** მიიყვანეს. ოსტატისა და შეგირდის მონდომებამ შედეგიც მალე გამოიღო: 1996-1997 წლებში დათომ ათწლიანთა საქართველოს პირველობა მოიგო. ამავე ასაკში ევროპის პირველობებზე ვერცხლის მედლები დაიმსახურა. ქართველ ჭაბუკს ოსტატობის სრულყოფა უცხოეთშიც არ შეუწყვეტია. მშობლების ინიციატივით, ბატონი ვალიკო 6 წლის განმავლობაში სამ-სამი თვით ჩადიოდა გერმანიაში და შეგირდს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დახვეწაში ეხმარებოდა. დათოსაც არ გაუწბილებია მოძღვარი: თერთმეტი წლისამ გერმანიის 14-წლიანთა ჩემპიონატი მოიგო აბსოლუტური შედეგით — 9 შესაძლებლიდან 9 ქულა მოაგროვა, 2004 წელს 16-წლიანთა მსოფლიოს პირველობაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.

— ამ წლებში თავდავიწყებით ვიყავი ჩაბმული საჭადრაკო საქმიანობაში, — მითხრა დათომ, რომელიც ამ დღეებში ეწვია თბილისს. — 2002 წელს დორტმუნდის ტურნირის მსვლელობისას სახელოვან სერბ მოჭადრაკე ქალბატონს — ალისა მარიჩს მოვუგე — 4,5:3,5, მომდევნო წელს კი ვლადიმირ კრამნიკის მწვრთნელ ვლადიმირ ბელიკოვთან დავმარცხდი 3:5. 2004 წელს გერმანიის ერთ-ერთ წრიულ ტურნირში დიდოსტატის ნორმატივი შევასრულე. ძალიან გამახარა ამ წოდების მონიჭებამ — მე ხომ მაშინ მხოლოდ 16 წლისა ვიყავი.

დავით ბარამიძემ მორიგ წარმატებას 2006 წლის ევროპის ჩემპიონატზე მიაღწია: ძირითადი ტურნირის დამთავრების შემდეგ მესამე-მეათე ადგილები გაინაწილა. ტაიბრეიკებში ბულგარელ გამოცდილ დიდოსტატს **კირილ გეორგიევს** დაუპირისპირდა. 25-წუთიანი და ბლიცპარტიები ყაიმით დასრულდა. არმაგედონში თეთრი ფერის ფიგურები ერგო. მოსაგებ პოზიციაში მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და მეტოქეს პარტიის გადარჩენის შანსი მისცა, რითაც ბრინჯაოსთვის ბრძოლას გამოეთიშა.

— მართალია, საბოლოოდ მე-10 ადგილი დავიკავე, მაგრამ შედეგით კმაყოფილი ვიყავი, რადგან მსოფლიოს თასზე თამაშის უფლება მოვიპოვე. ამ წარმატებაში ვალიკო ურიდიასთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის ზვიად იზორიას, რომელიც მთელი ტურნირის განმავლობაში მეხმარებოდა. ხანტი-მანსიისკში მეტოქედ ინგლისელი ნაიჯელ შორტი მერგო. „კლასიკური" პარტიები ყაიმით დავამთავრეთ. მეორე დღის შეხვედრის შემდეგ შინ დაბრუნებისას ავტობუსში ერთმანეთის გვერდიგვერდ აღმოვჩნდით. „კარგია, რომ მთავარი ორთაბრძოლა ფრედ დამთავრდა, რადგან სწრაფ ჭადრაკში წაგებულს მეტი ფული ერგება, ამიტომ უფრო იხეირებო", — ერთგვარი ირონიით ჩამჩურჩულა შორტმა. მეწყინა, მაგრამ არაფერი შემიმჩნევია.

ევროპულ დროსთან დიდი განსხვავების გამო ხანტი-მანსიისკში დღე და ღამე არეული მქონდა. ძილის წინ გერმანელ იან გუსტაფსონს ვთხოვე, დილით რომ ადგები, შემეხმიანე, შეჯიბრებაზე არ დამაგვიანდეს-მეთქი. ორივეს დაგვძინებია. კიდევ კარგი, ბარმენმა გამაღვიძა, — ხომ არაფერი გჭირდებაო. საათს დავხედე შეჯიბრება უკვე დაწყებული იყო. როგორ ჩავიცვი და გავვარდი ქუჩაში, არც მახსოვს. ბედად ტაქსიც გამოჩნდა და ჭადრაკის სასახლეს მივაშურე. დარბაზში რომ შევედი, ცხადია, საათი ჩართული დამხვდა, პირველ 25-წუთიან პარტიას თეთრებით შორტი თამაშობდა. სულ 50 წამი მქონდა დარჩენილი, ცხადია, ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით. სწრაფად ვთამაშობდი. ეტყობა, ამან წონასწორობიდან გამოიყვანა ინგლისელი დიდოსტატი, მალევე უხეში შეცდომა დაუშვა და დამარცხდა. მეორეში თეთრებით ყაიმს მივაღწიე და მომდევნო წრეში გავედი, სადაც კუბელმა ლენიერ დომინგესმა მაჯობა.

— **ორი წლის წინათ დრეზდენის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე იასპარეზე. გერმანიის ნაკრებში როგორ აღმოჩნდი?**

— ოლიმპიურ გუნდში მოსახვედრად იქ ტურნირები არ იმართება, ნაკრების წევრებს მთავარი მწვრთნელი არჩევს. იმ დროისათვის ჩემმა რეიტინგმა 2600-ს მიაღწია. ეტყობა, უვე ბენშმა 2006-2007 წლების შედეგები გაითვალისწინა და ნაკრებში სათადარიგოდ მიმიწვია. არც დამილალატებია — 7 შეხვედრიდან 5 ქულა მოვაგროვე. თუმცა, ჩემი შედეგი რა მოსატანია იმ წარმატებასთან, რასაც ქართველმა ქალბატონებმა მიაღწიეს — 12-წლიანი შესვენების შემდეგ ჩემპიონობა დაიბრუნეს. ყველას მივულოცე გამარჯვება, განსაკუთრებით კი მათს ახალგაზრდა მწვრთნელ თორნიკე სანიკიძეს, რომელთანაც ბავშვობიდან ვმეგობრობ. ორივენი ხომ დღემდე ბატონ ვალიკო ურიდიასთან ვვარჯიშობთ. მახსოვს, 1997 წელს 10-წლიანთა საქართველოს პირველობის ბოლო ტურში თორნიკეს ვძლიე და ჩემპიონობა შევინარჩუნე. მას შემდეგ ოფიციალურ ტურნირებში არც შევხვედრივართ ერთმანეთს. მეგობრულად კი ბევრჯერ გვითამაშია, უფრო — ბლიცები.

— **საქართველოს ნაკრებში მოხვედრაზე თუ გიფიქრია?**

— უწინ, ჰო, ახლა ეს გამორიცხულია, რადგან ჭადრაკზე მეტ დროს სწავლას ვანდომებ. საქართველოში კი ისეთი დიდოსტატები წამოიზარდნენ, რომ მათთან გამკლავებას სერიოზული მომზადება დასჭირდება. საამისოდ კი ვერ მოვიცლი, ღამის სკოლაში ვსწავლობ და ორ წელიწადში უნდა დავამთავრო.

— **ვერც ხანტი-მანსიისკში გიხილავთ საჭადრაკო ოლიმპიადაზე?**

— გერმანიაში ჭადრაკს მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ ექცევა. სახელმწიფო და სპონსორები ნაკლებად ზრუნავენ მის განვითარებაზე. ცხადია, დორტმუნდის მსგავსი კომერციული ტურნირების გამართვას არ ვგულისხმობ. ქვეყნის ნაკრების წევრებმა — არკადი ნაიდიჩმა, იგორ ხენკინმა, იან გუსტაფსონმა და დანიელ ფრიდმანმა დაფინანსების გაზრდა მოითხოვეს, რასაც სახელმწიფო არ დათანხმდა, დიდოსტატებმაც ხანტი-მანსიისკში თამაშზე უარი თქვეს. გერმანიის ჭადრაკის ფედერაციამ ოლიმპიადაზე ახალგაზრდული გუნდის გაგზავნა გადაწყვიტა. მე კი სკოლა არ გამათავისუფლებს დიდი ხნით, ამიტომ შეჯიბრებაზე ჩემი გამგზავრებაც გამოირიცხა.

— **საქართველოში რამდენ ხანს დარჩები?**

— სამწუხაროდ, მოსაცდელად არ მცალია რადგან სექტემბერში სწავლა მეწყება. სამაგიეროდ, აქ ჩემი და მარიამი დარჩება, რომელიც წლეულს თბილისის კონსერვატორიის სტუდენტი გახდა.

# ლიდერობა განიმტკიცეს

ქალთაშორის მსოფლიოს საჭადრაკო რეიტინგში სლოვენიელი, უფრო სწორად, უკრაინელი **ანა მუზიჩუკი** 2527 პუნქტით მერვეა, რაც 20 წლის (იგი 1990 წელს არის დაბადებული) დიდოსტატის მაღალ კლასზე მეტყველებს. წლეულს მან



საქართველოს დედაქალაქში თბილისის მერიის თასი მოიპოვა და ბევრი ჩვენებური დატოვა განბილებული. ამ დღეებში ანა მუზიჩუკი პოლონურ ხოტოვ-გზარნაში 20-წლიანთა მსოფლიოს პირველობაში მონაწილეობს. 8 ტურის შემდეგ მას 7 ქულა ჰქონდა და ერთპიროვნულად მეწინავეობდა. გუშინ იგი ქართველ დიდოსტატ **სოფიკო გურამიშვილს** დაუპირისპირდა თეთრი ფიგურებით. 59-ე სვლაზე წარმატებას მიაღწია და 8 ქულით ლიდერობა შეინარჩუნა.

ამერიკელმა **ალისა მელიოხინამ** 37-ე სვლაზე მეორე ადგილზე მყოფი უზბეკი **ნაფისა მუმინოვა** დაამარცხა, რუსმა **ოლგა გირიამ** ინდოელი **პრადიპ ბჰაქთის** აჯობა, **როუთ რადმინიმ** (ინდოეთი)-**ანია ქორკე** (ინგლისი). სამწუხაროდ, დამარცხდა მეორე ქართველი მოჭადრაკე **ნანი უნაფქოშვილი** — იგი პოლონელ **საბინა იაბლონსკას** დანებდა.

გუშინ ვერც **დავით ლომსაძემ** გაგვახარა — ინდოელ **შვაპნილთან** წააგო. სამაგიეროდ, მუზიჩუკის მსგავსად, პოზიციები განიმტკიცა რუსმა **დმიტრი ანდრეიკინმა**, რომელმაც თეთრებით ინდოელ **ნეგის** გააჩერებინა საათი და 7,5 ქულით კვლავ გათამაშების ცხრილის სათავეშია. ლომსაძეს 4 ქულა აქვს, გურამიშვილს — 6,5, უნაფქოშვილს — 3.

დღეს მე-10 ტურის პარტიები გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა დანელიამ**



**ნიკა ცქიტიშვილი** ესპანურ „ლაგუნ აროში“ რომ ითამაშებს, ჩვენი გაზეთის მკითხველმა უკვე იცის. როცა ეს ამბავი გამცნეთ, საბოლოოდ გაცხადებული არ იყო კონტრაქტის დეტალები და მისი ხანგრძლივობა. საკონტრაქტო ნიუანსები არც ახლა გამოქვეყნებულა, თუმცა ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საინტერესო სიახლეები ცქიტოსგან შევიტყვეთ.

● ინტერვიუ ნიკა ცქიტიშვილთან

# ბულგარეთიდან ბასკეთამდე

- სან სებასტიანის „ლაგუნ აროსთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. პირობები მისაღებია. მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულება აგვისტოში გავაფორმე და საქართველოს ნაკრების მატჩების დასრულების შემდეგ გუნდს დროულად შევუერთდები. ოთხი წელიწადია, ევროპაში ვთამაშობ და ყველაზე კარგი პირობები სწორედ „ლაგუნ არომ“ შემომთავაზა.

**- გასულ თვეში თქვი - „ფუენლაბრადაში“ აღარ დავბრუნდები, გუნდს ფინანსურად ყველაფერი წესრიგში არ აქვსო...**

- ამ მხრივ სან სებასტიანის გუნდში ნორმალური სიტუაციაა. არც ფინანსური პრობლემებია და, როგორც შევატყვე, საქმესაც ცოდნით უდგებიან. იმედი მაქვს, ეს ესპანეთის პირველობაზე ნაჩვენებ შედეგშიც აისახება.

**- ქართველისთვის ბასკეთში ცხოვრება ძალიან საინტერესოა...**

- იქაურობა მეც მაინტერესებს. იმედია, ქართულ-ბასკურ პარალელებზე მეტს შევიტყობ...

**- ახლა საქართველოს ნაკრებზე ვთქვათ. დავიწყოთ ბელგიური დაპირისპირებით.**

- ჩვენთვის ყველა მატჩი გადამწყვეტია. მნიშვნელობა არ აქვს, სტუმრად ვთამაშობთ თუ შინ. ყოველთვის მოსაგებად ვიბრძვით. პირველი გასვლითი შეხვედრა ბელგიაში ჩავატარეთ. გამარჯვებასთან ახლოსაც ვიყავით, მაგრამ...

**- პორტუგალიასთან არანაკლებ რთული მატჩი გამოდგა.**

- თავიდან ძალიან გაგვიჭირდა. რთული იყო საკუთარი თამაშის პოვნა, თუმცა მეორე პერიოდში მდგომარეობა გამოვასწორეთ, ხოლო მესამეში 16-ქულიან უპირატესობასაც მივაღწიეთ. ასეთ დროს სხვაობის გაზრდის ნაცვლად მეტოქის შეჩერებაზე მოგვიწია ზრუნვამ და პორტუგალიელებმა ჩამორჩენა გააბათილეს. ჩვენი მეტოქე ამოუცნობი გუნდია - ყველა თითქმის ერთი სიმაღლისაა და პერიმეტრიდან ერთნაირი სიზუსტით ისვრის. საბოლოოდ, კლასის ხარჯზე მეტოქე მაინც გავტეხეთ.

**- უახლოესი ორი მატჩის სტუმრად ჩატარება გიწევთ.**

- ბულგარეთი ჯგუფის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. მისი სოფიაში დამარცხება გაგვიჭირდება, მაგრამ იმედი მაქვს, რომ წარმატებას მაინც მივაღწევთ.

**- გემახსოვრება ბულგარეთთან 2001 წელს ჩატარებული მატჩი...**

- ბულგარეთში რამდენიმე კალათბურთელი მოვიწამლეთ, ხოლო მატჩის დასაწყისშივე ჩვენს მეფარეებს ჯარიმები ჩამოურიგეს... ასევე მახსოვს ბულგარელთა მხურვალე ქომაგობა. მათ ჩვენგან განსხვავებით მცირე ტევადობის დარბაზები აქვთ, თუმცა ბოლომდე ივსება და დიდი ხმაურია. არც ის დამავიწყდება, ბულგარეთიდან ბელარუსამდე როგორ ვიმგზავრეთ. მატარებლით, გემით, ავტობუსით, სამარშრუტო ტაქსით, მხოლოდ ურემზე არ ვმჯდარვართ...

**- ორ საუკეთესოში მოსახვედრად ორი საგარეო მატჩის მოგება კარგი იქნება...**

- ეს აუცილებელია. ბელგიაში ნაგებაზე ძალიან მწყდება გული. ანტვერპენში გამარჯვება დიდი საქმე იქნებოდა. ბულგარეთ-პოლონეთში შემართებით და იმედიანად მივემგზავრებით...

ევრობასკეტი-2011. შესარჩევი ტურნირი

# ყოჩაღ ფინეთს

**A ჯგუფი**

ჩერნოგორია-იტალია 71:62
15:14, 17:20, 18:12, 21:16

ფინეთი-ისრაელი 84:83
18:22, 26:26, 23:18, 17:17

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩერნოგორია | 3 | 3 | 0 | 241/188 | 6 |
| 2. ისრაელი | 3 | 2 | 1 | 272/243 | 5 |
| 3. იტალია | 4 | 1 | 3 | 283/292 | 5 |
| 4. ფინეთი | 3 | 1 | 2 | 217/239 | 4 |
| 5. ლატვია | 3 | 1 | 2 | 223/274 | 4 |

**14 აგვისტო**

ლატვია-ფინეთი
ისრაელი-ჩერნოგორია

**B ჯგუფი**

უკრაინა-უნგრეთი 80:71
20:21, 20:19, 24:18, 16:13

ბოსნია-დიდი ბრიტანეთი 80:84
24:24, 24:17, 16:23, 16:20

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. დ. ბრიტანეთი | 3 | 3 | 0 | 279/258 | 6 |
| 2. მაკედონია | 3 | 2 | 1 | 245/206 | 5 |
| 3. უნგრეთი | 4 | 1 | 3 | 271/319 | 5 |
| 4. ბოსნია | 3 | 1 | 2 | 236/234 | 4 |
| 5. უკრაინა | 3 | 1 | 2 | 214/228 | 4 |

**14 აგვისტო**

დ\ბრიტანეთი-უკრაინა,
მაკედონია-ბოსნია

**C ჯგუფი**

საქართველო-პორტუგალია 73:57
12:16, 19:9, 15:13, 27:19

ბელგია-ბულგარეთი 74:69
26:20, 22:17, 16:17, 10:15

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბელგია | 3 | 3 | 0 | 226/202 | 6 |
| 2. საქართველო | 3 | 2 | 1 | 221/196 | 5 |
| 3. ბულგარეთი | 3 | 2 | 1 | 210/203 | 5 |
| 4. პოლონეთი | 3 | 1 | 2 | 221/222 | 4 |
| 5. პორტუგალია | 4 | 0 | 4 | 249/304 | 4 |

**14 აგვისტო**

ბულგარეთი-საქართველო
პოლონეთი-ბელგია

11 აგვისტოს ქართველთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა. მის დასრულებას კიდევ ერთი საინტერესო თამაში მოჰყვა - ბელგიაში ადგილობრივმა „ლომებმა“ ბულგარეთს უმასპინძლეს... ეს C ჯგუფის შეხვედრები იყო, ჩვენთვის არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა დანარჩენი ორი ჯგუფის მატჩებსაც...

ბულგარეთმა ბელგიაში 69:74 წააგო. ჩვენს ჯგუფში პორტუგალიის გარდა საშინაო მატჩი არავის წაუგია. თუ ასე გაგრძელდა და რომელიმემ შინ არ წაიფორხილა, საქართველოს, ბელგიას, პოლონეთსა და ბულგარეთს შორის პირველ-მეორეადგილოსნების ვინაობის გარკვევა მიღებულ-ჩაგდებულ ქულათა ბალანსით გადაწყდება. პირველადგილოსანი ავტომატურად გავა ევროპის ჩემპიონატზე, ხოლო მეორე ადგილზე გასული გუნდის შედეგები დანარჩენი ორი ჯგუფის მეორეების მაჩვენებლებს „დაეტოლება“ და ევრობასკეტის საგზურს საუკეთესო ორი მეორეადგილოსანი მიიღებს. პოლონელებს, ბულგარელებს, ბელგიელებსა და ქართველებს ძალიან გვსურს, ჩვენი ჯგუფის მეორეადგილოსანმა სხვებს აჯობოს და ევროპის ჩემპიონატის საგზური მიიღოს. თუმცა ასეთ თანაბარ გუნდებს შორის ქულათა დაკარგვის ალბათობა დიდია...

სწორედ ამიტომ, ყურადღებით უნდა მივადევნოთ თვალი სხვა ჯგუფების მატჩებს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საუკეთესო მეორეადგილოსანი B ჯგუფიდან იქნება. თავად განსაჯეთ: ოთხი ტურის შემდეგ მაკედონია და დიდი ბრიტანეთი გამოკვეთილი ფავორიტები არიან. მათ უკვე არაერთი გასვლითი შეხვედრა მოიგეს და ალბათ, ასევე განაგრძობენ. მაკედონია დაიკავებს პირველ ადგილს თუ ბრიტანეთი, ამას დიდი მნიშვნელობა არ ექნება, წესით, მათ A და C ჯგუფელ მეორეადგილოსნებზე მეტი ქულა უნდა მოაგროვონ.

ჩვენსა და იტალიის ჯგუფს ერთი გამსვლელი მეორე ადგილი გვრჩება. 11 აგვისტომდე A ჯგუფში ორი დაუმარცხებელი ნაკრები იყო - ჩერნოგორია და ისრაელი. ბოლო ტურში ექსიუგოსლავიელებმა იტალიის ნაკრებს უმასპინძლეს და მესამედაც მოიგეს, რაც ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებისკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯია. მეორე პოზიციისთვის კი ყველაზე რეალური პრეტენდენტი ისრაელია, რომელმაც პირველ ტურში იტალიას სძლია. მომდევნო მატჩებში რაც მეტს წააგებს ისრაელი, მით უფრო გაიზრდება ჩვენი ჯგუფიდან მეორეადგილოსნის გასვლის შანსი. სწორედ ამიტომ, ქართველთათვის მისაღები შედეგი დაფიქსირდა ფინეთში - ისრაელმა დაძაბულ ბრძოლაში 83:84 დათმო.

14 აგვისტოს ისრაელს უძლეველი ჩერნოგორია სტუმრობს. თუ **ნიკოლა პეკოვიჩის** გუნდმა ეს მატჩიც მოიგო, სატურნირო ცხრილში პირველობას კიდევ უფრო განიმტკიცებს, ხოლო ისრაელს საქმეს საგრძნობლად გაურთულებს. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ დარჩენილ მატჩებში ამ ჯგუფის სხვა რომელიმე გუნდმა ამოყვინთოს.

როგორც ხედავთ, ჯგუფში მეორეობა ევრობასკეტის საგზურის წელსვე მოპოვებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. სწორედ ამიტომ უნდა ვიბრძოლოთ პირველი ადგილისთვის. ჩვენს ჯგუფში ისეთი სიტუაციაა, რომ თუ ერთი გუნდი თუნდაც ორ გასვლით შეხვედრას მოიგებს (შინ კი არ წააგებს), პირველ ადგილზეც, ალბათ, ის გავა. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ 11 აგვისტოს ქართველებს ბელგიაში მასპინძლების (ბულგარეთთან) გამარჯვება უფრო გვაწყობდა.

...14 და 17 აგვისტოს საქართველოს ნაკრებს ორი გასვლითი შეხვედრა ელის, ჯერ ბულგარეთში, შემდეგ პოლონეთში.

სამი ჯგუფის ექვსი გუნდი კი (უარესი მაჩვენებლის მქონე მეორეადგილოსანი, სამი მესამე და ორი მეოთხე) 2011 წლის აგვისტოში დამატებით საკვალიფიკაციო ტურნირში სექტემბერში გასამართი ევრობასკეტის ერთ საგზურს გაითამაშებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 აგვისტო: | | საქართველო-პოლონეთი | 84:65 |
| | | პორტუგალია-ბულგარეთი | 59:67 |
| 5 აგვისტო: | 22:15 | ბელგია-საქართველო | 74:64 |
| | 20:00 | პოლონეთი-პორტუგალია | 86:64 |
| 8 აგვისტო: | 20:00 | ბულგარეთი-პოლონეთი | 74:70 |
| | 23:30 | პორტუგალია-ბელგია | 69:78 |
| 11 აგვისტო: | 19:00 | საქართველო-პორტუგალია | 73:57 |
| | 22:00 | ბელგია-ბულგარეთი | 74:69 |
| 14 აგვისტო: | 19:00 | ბულგარეთი-საქართველო (სოფია) | |
| | 20:00 | პოლონეთი-ბელგია (ლოძი) | |
| 17 აგვისტო: | 20:00 | პოლონეთი-საქართველო (ლოძი) | |
| | 20:00 | ბულგარეთი-პორტუგალია (სოფია) | |
| 20 აგვისტო: | 19:00 | საქართველო-ბელგია (თბილისი) | |
| | 23:30 | პორტუგალია-პოლონეთი (კოიმბრა) | |
| 23 აგვისტო: | 20:00 | პოლონეთი-ბულგარეთი (კატოვიცე) | |
| | 22:00 | ბელგია-პორტუგალია (ანტვერპენი) | |
| 26 აგვისტო: | 23:30 | პორტუგ.-საქართველო (ალბუფეირა) | |
| | 20:00 | ბულგარეთი-ბელგია (სოფია) | |
| 29 აგვისტო: | 19:00 | საქართველო-ბულგარეთი (თბილისი) | |
| | 22:00 | ბელგია-პოლონეთი (ანტვერპენი) | |

● U 16. B დივიზიონი



# დიდი მოლოდინი და იმედგაცრუება

**12 აგვისტო, ბალინი (ესტონეთი)**

**საქართველო-ჰოლანდია 72:85**
22:23, 23:25, 10:15, 17:22

**საქართველო:** გოგბაიძე (11 წთ), რამიშვილი (28 წთ, 4ქ, 4პ, 3ჩ), ბურჯანაძე (37 წთ, 19ქ, 11მ, 3ჩ), გრძელიძე (6 წთ), ლოლიშვილი (35 წთ, 27ქ, 7მ), მიქელაძე (40 წთ, 14ქ, 7პ, 3მ), კვანტალიანი (4 წთ, 2ქ), ცირეკიძე (24 წთ, 1ქ, 9მ), ნადირაძე (14 წთ, 5ქ, 5მ)

**ჰოლანდია:** შილდერი (14ქ, 6პ, 4ჩ), ჰამინკი (19ქ, 12მ), ვეენსტრა (17ქ, 5მ)...

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სლოვენია | 3 | 2 | 1 | 213/181 | 5 |
| 2. ჰოლანდია | 3 | 2 | 1 | 209/195 | 5 |
| 3. საქართველო | 3 | 2 | 1 | 225/210 | 5 |
| 4. უნგრეთი | 3 | 0 | 3 | 149/210 | 3 |

**V-VIII ადგილები**

**14 აგვისტო**

**17:45 საქართველო-შვეიცარია**

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების ეპოპეა დასრულდა - ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია ჩვენმა კადეტებმა ჰოლანდიასთან შეწყვიტეს და ევროპის ჩემპიონატის საგზურისთვის ბრძოლა დაასრულეს. ამ მარცხის შემდეგ **გია კაზანჯიანის** გუნდს 2 მოგების წილ ერთი წაგება მოუგროვდა. ასეთივე შედეგი აღმოაჩნდათ სლოვენიასა და ჰოლანდიას. ნახევარფინალისტთა გამოსავლენად საჭირო გახდა ურთიერთშეხვედრებში ჩაგდებული და მიღებული ქულების შეფარდების დათვლა. სლოვენიას +16 აღმოაჩნდა, ჰოლანდიას -3, ხოლო საქართველოს -13.

ჩვენმა ნაკრებმა ჰოლანდიასთან დაპირისპირებამდე იმდენად დამაჯერებლად იასპარეზა, რომ რატომღაც დარწმუნებულნი ვიყავით, ნახევარფინალში ვიხილავდით. სწორედ დიდ მოლოდინს დაერთო დიდი იმედგაცრუება. თუმცა ნიდერლანდელებთან წაგების მიუხედავად ქართველი კადეტებისადმი სასაყვედურო არ გვაქვს. ისინი B დივიზიონში ერთ-ერთი საუკეთესოები არიან.

ქართველები ბოლო პერიოდამდე თანაბრად ებრძოდნენ ჰოლანდიელებს, თუმცა მეოთხე რაუნდში ნარინჯისფერებმა გაქცევა მოახერხეს და იმ სხვაობით გაიმარჯვეს, რამაც ისინი ნახევარფინალში გაიყვანა - 85:72.

ქართველებმა მეტოქეს პერიმეტრიდან ტყორცნებში აჯობეს - 14 სამქულიანი გამოიყენეს (10-ის საპასუხოდ). შორი მანძილიდან შესანიშნავად ისროლა **ლევან ლოლიშვილმა** - 10-დან 7 სამქულიანი ჩააგდო.

ჩვენმა გუნდმა ჰოლანდიელებს მოხსნებშიც აჯობა - 42:37. არც საჯარიმო ტყორცნებში დაფიქსირებულა დიდი სხვაობა. გადამწყვეტი ორქულიანების რეალიზების დაბალი მაჩვენებელი გამოდგა. გია კაზანჯიანის გუნდმა 35-დან 9 ორქულიანი ჩააგდო (25.7 პროცენტი), ხოლო ნიდერლანდელებმა - 38-დან 18 (47.4 პროცენტი).

ასე და ამგვარად, ქართველ კადეტებს ფინალის საგზურის ნაცვლად მეხუთე ადგილისთვის მოუწევთ ბრძოლა. ისინი ჯერ შვეიცარიას დაუპირისპირდებიან (მეორე ჯგუფის მეოთხეადგილოსანს), ხოლო წარმატების შემთხვევაში სლოვაკეთსა და უნგრეთს შორის გამარჯვებულს ეთამაშება. სწორედ ამ ოთხ გუნდს შორის განაწილდება მეხუთე-მერვე ადგილები.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტოქეები



სტივენ ბორტვიკი (მარცხნივ)

# ჯონსონი ბორტვიკს შანსს აძლევს

საქართველოს ნაკრების მეტოქე 2011 წლის მსოფლიო თასის ჯგუფურ ტურნირში, ინგლისის ეროვნული გუნდი ახალ ზელანდიაში საჩემპიონო ამბიციებით გამგზავრებას აპირებს. „პომების“ თავკაცმა **მარტინ ჯონსონმა** ნაკრების კანდიდატები ოთხდღიან შეკრებაზე იხმო და მომავალი ბატალიებისთვის ამზადებს.

საწვრთნელ ბანაკში იმყოფება ნაკრების ყოფილი კაპიტანი **სტივენ ბორტვიკიც**. ჯონსონმა მას ნაკრების კარი გაუღო და ეროვნულ გუნდში დაბრუნების შანსი მისცა.

შეგახსენებთ, რომ ბორტვიკმა ჯონსონის ხელმძღვანელობით „პომებს“ 20 მატჩში უკაპიტნა. ერთი თვის წინ ინგლისელთა თავკაცმა იმ 32 მორაგბის სია გამოაცხადა, ვისაც 2011 წლის მსოფლიო თასზე ნაკრების შემადგენლობაში მოიაზრებდა. ბორტვიკისთვის ადგილი ამ სიაში არ აღმოჩნდა. ის ავტომატურად ინგლისის A ნაკრებში გადაიყვანეს.

აღსანიშნავია, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტანს ტრავმის გამო გაუცდა ივნისის ტესტები, რომელზეც „პომებმა“ წარმატებით იასპარეზეს. ინგლისელებმა სიდნეიში ავსტრალიის ნაკრები დაამარცხეს. ჯონსონმა გადაწყვიტა, რომ გუნდს ხელს ჭირვეული კაპიტანი უშლის და სამკლავური **ლუის მუდის** გადასცა.

„მე ვერაფრით ვანდობ გუნდის კაპიტნობას ადამიანს, რომელიც საშინლად ჭირვეულია. გუნდში საკმაოდ სერიოზული კონკურენციაა და მისი შემცვლელის მოძებნა ძნელი არ არის.

ბიჭებს მხოლოდ ერთი კითხვა აწუხებთ, რა გავაკეთოთ, რათა მსოფლიო თასს რაც შეიძლება კარგ ფორმაში შევხვდეთ. ისინი ძალიან მონდომებულნი, მოტივირებულნი არიან.

ბორტვიკთან არცთუ სასიამოვნო საუბარი მქონდა, თუმცა ჩვენმა დიალოგმა გარკვეული პოზიტივი დამანახვა. ბორტვიკმა პირდაპირ მითხრა, დაგიმტკიცებთ, რომ უსამართლოდ მექცევითო. ძალიან კარგი. სტივენს არ უწუწუნია, არ უხვნეშია დანანებით. ის მზადაა, იბრძოლოს, ივარჯიშოს და დაამტკიცოს, რომ ნაკრებში თამაშის და კაპიტნობის ღირსია. ჩვენც ეს გვინდა.

მე ვუთხარი ბიჭებს, რომ ეროვნულ გუნდში ადგილი გარანტირებული არავის აქვს. საკმარისია, ვინმემ A ნაკრებში თავი გამოიჩინოს, დამანახოს, რომ მის პოზიციაზე ეგრეთ წოდებულ პირველ ნომერს სჯობია და წამითაც არ დავფიქრდები, ისე ავიყვან ძირითად გუნდში. ყველაფერი მხოლოდ მათ მონდომებაზეა დამოკიდებული. ბორტვიკმაც იცის, რომ მისთვის ნაკრების კარი დაკეტილი არაა“ - თქვა მარტინ ჯონსონმა.

ივნისის ტესტებისას ავსტრალიასთან გამარჯვებამ „პომების“ თავკაცს იმედი ჩაუსახა, რომ მსოფლიო თასზე პირველობისთვის ბრძოლა შეიძლება. ინგლისის ნაკრები მსოფლიო თასის პირველ შეხვედრას ქრაისთჩერჩში 2011 წლის 10 სექტემბერს გამართავს არგენტინის ნაკრებთან.

მსოფლიო თასისთვის მზადების დასკვნით ეტაპზე „პომები“ გაისად სამ ტესტს გამართავენ. 6 აგვისტოს უელსის ნაკრებს უმასპინძლებენ, კვირისთავზე კი იქით ესტუმრებიან. ბოლო საკონტროლო მატჩს ჯონსონის სამწყსო 27 აგვისტოს დუბლინში, ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს. მანამდე კი, ნოემბერში ახალი ზელანდიის, ავსტრალიის, სამოასა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებებს უმასპინძლებენ.

ჯონსონი ირწმუნება, რომ მისი გუნდი, ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრებისგან განსხვავებით, დაღლილობისგან დატანჯულს არ დაემსგავსება:

„მართალია, დასვენებისთვის დრო ცოტა გვექნება, მაგრამ ვეცდებით, თუნდაც მცირედი შანსი რაციონალურად გამოვიყენოთ. სეზონის განმავლობაშიც საკმაოდ ბევრი კვირაა ისეთი, მორაგბეებს თამაში რომ არ უწევთ. ერთი სიტყვით, ყველაფერი უნდა ვილონოთ, რათა მსოფლიო თასისთვის მოთამაშეები სათანადო ფიზიკურ კონდიციებში იყვნენ. თუ შევამჩნევთ, რომ მორაგბე გადაღლილია, ცხადია, ის არ ითამაშებს. ითამაშებს ის, ვინც იმ დროისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება.

მორაგბეების განწყობა ძალიან მომწონს. ჩვენ მუდმივად იმაზე ვფიქრობთ, ვსაუბრობთ, როგორ მივაღწიოთ პროგრესს თამაშში. ფანტასტიკური, საქმიანი ატმოსფეროა და იმედი მაქვს, ახალ ზელანდიაში წარმატებას მივაღწევთ“,- თქვა პომების თავკაცმა.

# ნარჩევები დელისთვის ემზადებიან

2011 წლის მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქის, შოტლანდიის ნაკრების უკანა ხაზი იასპარეზებს თანამეგობრობის თამაშებზე შვიდკაცა რაგბის ტურნირში, რომელიც 11-12 ოქტომბერს დელიში გაიმართება.

„თანამეგობრობის თამაშები მსოფლიო სპორტის ერთ-ერთი უდიდესი მოვლენაა და ჩვენთვის საამაყოა, რომ მასში მონაწილეობის პატივი გვერგო. ამ შეჯიბრებისთვის მალე დავიწყებთ სერიოზულად მზადებას“ - თქვა შოტლანდიის შვიდკაცა რაგბის ნაკრების მწვრთნელმა **სტივენ ჯემელმა**.

მან ნაკრებში 12 მორაგბე უხმო, რომელთაგან შვიდმა წლეულს შვიდკაცა რაგბის მსოფლიო სერიის ედინბურგის ეტაპზე ითამაშა და ეროვნული ნაკრების კანდიდატები არიან.

შოტლანდიის შვიდკაცა ნაკრები:



ენდრიუ ტერნბული

**მაიკ ადამსონი (ჰოუქსი), ალექს ბლერი, ჯონ ჰიუსტონი, ლი ჯოუნზი, სტიუარტ მაკნელი, სკოტ ნევლენდსი, ენდრიუ ტერნბული (ყველა-ედინბურგი), კრის ფუზარო, ჰეფინ ოჰარი, კოლინ შოუ (სამივე-გლაზგო), სკოტ ფორესტი (აირი), დევიდ კალემი (უგუნდო).**

ლეგიონერები

# ფედერალებმაც დაიწყეს

საფრანგეთის ელიტური დივიზიონების გუნდების კვალდაკვალ საკონტროლო შეხვედრების გამართვა დაიწყეს ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე ქართველ მორაგეთა გუნდებმა. **ლაშა მალაღურაძისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „ბეზიემ“ ელიტურ, მეორე დივიზიონში აღზევებულ „კარკასონს“ უმასპინძლა და 9:7 დაამარცხა.

მალაღურაძემ, რომელმაც სრულად ითამაშა, 62-ე წუთზე ერთი საჯარიმო გაიტანა, რითაც ლანგედოკელებს გამარჯვება მოუტანა. მჭედლიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს. „ბეზიეს“ ახალწვეულ **ენდრიუ მერთენსს** არ უთამაშია.

ფედერალ 1 დივიზიონში წლეულს გადაბარგებულ „ფიჟაკს“, სადაც აქამდე სამი ქართველი **მერაბ კვირიკაშვილი, ბადრი ურჯუკაშვილი** და **ლევან დათუნაშვილი** ირიცხებოდა, კიდევ ორი ჩვენებური დაემატა. გუნდთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს პირველხაზელმა **დავით ბალანჩივაძემ** და შუამარბმა **რეზო გიგაურმა**.



ლაშა მალაღურაძე

ფიჟაკელები ხვალ პირველ საკონტროლო მატჩს გამართავენ მეორედივიზიონელ „ორიაკთან“. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრების მეორეხაზელი ლევან დათუნაშვილი „ორიაკის“ საკუთრებაა და „ფიჟაკში“ ათი თვითაა განათხოვრებული.

შვიდკაცა რაგბი | საქართველოს ჩემპიონატი

# ჩემპიონობისთვის მებრძოლი ათეული გაირკვა

საქართველოს ჩემპიონატი შვიდკაცა რაგბიში წლეულს სამ ეტაპად თამაშდება. ორი ეტაპის შეხვედრები უკვე გაიმართა. ამ ტურნირებზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით ის საუკეთესო ათი გუნდი გამოვლინდა, ბოლო, მესამე ეტაპზე ჩემპიონობისთვის რომ იბრძოლებს.

ორი ეტაპზე ყველაზე მეტი ქულა „ბათუმი XV“-მა და თბილისის „ვისოლი\ყოჩებმა“დააგროვეს - 36-36. მესამე ადგილზე ქუთაისის „აიაა“ - 32. მხოლოდ ერთ ეტაპზე იასპარეზეს, მაგრამ ფინალურ სტადიაზე მაინც მოხვდნენ საქართველოს თასის გათამაშების წლევანდელი ფინალისტები, „ლელო“ და „ლოკომოტივი“. „ლელომ“ 10 ქულა დააგროვა, „ლოკომოტივმა“ კი - 14.

ამრიგად, ფინალურ სტადიაზე, რომელიც შემოდგომაზე გაიმართება, იასპარეზებენ : „ბათუმი XV“, თბილისის „ვისოლი\ყოჩები“, ქუთაისის „აია“, თბილისის „აკადემია“, ქუთაისის „ბაგრატი“, თბილისის „ხულიგანა“, თბილისის „ლოკომოტივი“, რუსთავის „ხარები“, თბილისის „ლელო“ და ფოთის „რაინდები“.

ორი ეტაპის ჯამი: **1. ბათუმი XV - 36 ქულა, 2. ვისოლი\ყოჩები - 36, 3. აია -32, 4. აკადემია - 28, 5. ბაგრატი - 24, 6. ხულიგანა - 24, 7. ლოკომოტივი - 16, 8. ხარები - 14, 9. ლელო - 10, 10. რაინდები - 10,** 11. არწივები - 10, 12. ივერია - 10, 13. დევები - 10, 14. თსუ\ლომები - 6, 15. თიბისი - 4.

სამი ერი

# პორტ ელიზაბეტს რაგბი უბრუნდება

სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირმა გადაწყვიტა, რომ მომავალი წლის სამი ერის გათამაშების მატჩი ახალი ზელანდიის ნაკრებთან პორტ ელიზაბეტში, „ნელსონ მანდელა ბეის“ სტადიონზე გამართოს.

ეს გადაწყვეტილება SARU-მ რეგიონში რაგბის პოპულარიზაციის მიზნით მიიღო. სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირს ვალდებულება აქვს აღებული სამხრეთ რეგიონში რაც შეიძლება მეტი მაღალი დონის საერთაშორისო მატჩი გამართოს. ამ რეგიონში სამი ერის გუნდებიდან ბოლოს ახალი ზელანდიის ნაკრებმა 40 წლის წინ, 1970 წელს ითამაშა.

„რეგიონში ზეპური რაგბის შიმშილია. პორტ ელიზაბეტს ახლა შესანიშნავი სტადიონი აქვს, სადაც უმაღლესი რანგის თამაშების გამართვა შეიძლება. ჩვენი გადაწყვეტილება, გაისად ახალი ზელანდიის ნაკრებს „ნელსონ მანდელა ბეიზე“ დავუხვდეთ, ჩვენივე ვალდებულების, რაგბის პოპულარიზაციაზე ზრუნვის ნათელი დადასტურებაა“, - თქვა სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **ორეგონ ჰოსკინსმა.**

გადაწყვეტილია, რომ „ბოკე“ სამი ერის საგაისო მატჩში ავსტრალიის ნაკრებს დურბანში დაუხვდება.

შეგახსენებთ, რომ 2011 წელს ახალ ზელანდიაში გასამართავი მსოფლიო თასის გამო სამი ერის გათამაშება წლევანდლისგან განსხვავებული ფორმატით, ორ წრედ ჩატარდება.

# ბოკეში ფრანსუა სტეინის დაბრუნება საეჭვოა

სამხრეთ აფრიკის ნაკრებს სამი ერის გათამაშების მორიგ მატჩში, 21 აგვისტოს „ოლ ბლექსთან“ შესაძლოა **ფრანსუა სტეინი** ვერ დაეხმაროს. ამის მიზეზი ტრავმასთან ერთად სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის მენეჯმენტის არადამაკმაყოფილებელი მუშაობაა.

სტეინის ფრანგულმა კლუბმა, პარიზულმა „მეტრო რასინგმა“ გამოაქვეყნა კომუნიკე, სადაც ნათქვამია, რომ ფრანსუა სტეინმა ტრავმა ვერ მოირჩინა და საფრანგეთის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩში „ბრივთან“ ვერ ითამაშებს.

„ფრანსუა სტეინი, ანდრეა მასი, ქარიმ გეზელი და სკოტ ზიმერმანი ჯერ კიდევ არ გამოჯანმრთელებულან და, შესაბამისად, „მეტრო რასინგის“ მწვრთნელმა პიერ ბერბიზიემ სტეინი მატჩის განაცხადში არ შეიყვანა“.

სტეინი ვარჯიშს, სავარაუდოდ, მომავალი კვირის ოთხშაბათიდან შეუდგება. თუმცა „მეტრო რასინგი“ სამხრეთ აფრიკაში მის გაშვებას ამ შემთხვევაშიც არ აპირებს. ამის მიზეზი სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის მიერ სტეინის ნაკრებში გამოძახების დაგვიანებაა.

საფრანგეთის რაგბის ნაციონალური ლიგის (LNR) მოთხოვნით, კლუბს ამა თუ იმ მოთამაშის თავისი ქვეყნის ნაკრებში გამოძახების მიწვევა მატჩამდე ორი კვირით ადრე უნდა მიუვიდეს. ეს წესი სამხრეთაფრიკელებმა დაარღვიეს და „მეტრო რასინგს“ სრული უფლება აქვს, ფრანსუა სტეინი სამხრეთ აფრიკის ნაკრებში სათამაშოდ არ გაუშვას.

მიუხედავად ასეთი არგუმენტებისა, „ბოკეს“ ხელმძღვანელობა დაჟინებით მოითხოვს სტეინის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**





ფრანსუა სტეინი

www.sport.gov.ge

კალათბურთი

# ჰორნეტსი ძლიერდება

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ორი საინტერესო ტრეიდი განხორციელდა. განსაკუთრებით იაქტიურა „ნიუ ორლეან ჰორნეტსმა“, რომელმაც ორი ძლიერი კალათბურთელით შეავსო შემადგენლობა. ალბათ, გახსოვთ, ამ გუნდის ლიდერმა **კრის პოლმა** ხელმძღვანელობას ულტიმატუმი წაუყენა - თუ ისინი შემადგენლობის გაძლიერებაზე არ იზრუნებდნენ, სხვა კლუბში გადაბარგებას მოითხოვდა. შეფობა ვარსკვლავს დაჰპირდა, რომ ამ ზაფხულსვე იმუშავებდა ძლიერი კალათბურთელების დამატებაზე და როგორც ჩანს, სიტყვის ასრულებას შეუდგა.

პირველი ტრეიდი საკმაოდ მასშტაბური გამოვიდა. მასში ოთხმა კლუბმა („ნიუ ორლეანი“, „ჰიუსტონი“, „ინდიანა“ და „ნიუ ჯერსი“) და ხუთმა კალათბურთელმა მიიღო მონაწილეობა.



ტრევორ არიზა

„ჰიუსტონიდან“ „ნიუ ორლეანში“ გადავიდა მცველი **ტრევორ არიზა**, „ჰორნეტსმა“, თავის მხრივ, **დარენ კოლისონი** და **ჯეიმს პოუსი** „ინდიანაში“ გაუშვა, „პეისერსმა“ „ნიუ ჯერსის“ დაუთმო **ტროი მერფი**, ხოლო **კორტნი ლი** „ნეტსიდან“ „ჰიუსტონში“ გადავიდა.

ამ გაცვლის თანახმად, „ნიუ ორლეანმა“ კრის პოლის მთავარი შემცვლელი - კოლისონი დაკარგა, მაგრამ ძლიერი შევსება მიიღო არიზას სახით, რომელმაც შარშან 6-წლიანი კონტრაქტი (35 მილიონი) გააფორმა „ჰიუსტონთან“.

„ინდიანას“, როგორც იქნა, პერსპექტიული გამთამაშებელი (კოლისონი) ჰყავს და ახლა ამ გუნდის ახალგაზრდა შემადგენლობა საკმაოდ საიმედოდ გამოიყურება.

„ჰიუსტონმა“ პერსპექტიული კორტნი ლი დაიმატა და რაც მთავარია, არიზას გაშვებით სახელფასო ბიუჯეტი განტვირთა. ლის ხელფასი 1.3 მილიონი დოლარია, არიზასთვის კი „რაკეტებს“ 6.4 მილიონი უნდა გადაეხადათ.

■ ■ ■

იმავე საღამოს „ნიუ ორლეანი“ „ტორონტო რეპტორზსაც“ გაურიგდა. მომავალი სეზონიდან მცველი **ჯულიან რაიტი** კანადურ კლუბში ითამაშებს, „ჰორნეტსის“ რიგებს კი იტალიელი ლეგიონერი **მარკო ბელინელი** შეავსებს.

ამ გაცვლით „ნიუ ორლეანი“ უფრო მოგებული დარჩება. ბელინელის ხელფასი 2.3 მილიონს შეადგენს, რაიტისა - 2.8 მილიონს. გარდა ამისა, შარშან იტალიელის საშუალო შედეგიანობა 7.1 ქულას შეადგენდა, რაიტის - 3.8 ქულას.

# მხოლოდ ჯინობილის გარეშე

მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე კიდევ ორმა გუნდმა გამოაცხადა საბოლოო შემადგენლობა. ერთ-ერთი მათგანია არგენტინის ნაკრები, რომლის მთავარმა მწვრთნელმა **სერხიო ერნანდესმა მანუ ჯინობილის** გარდა, პრაქტიკულად, ქვეყნის ყველა უძლიერეს კალათბურთელს მოუყარა თავი:

**ცენტრები:** ფაბრისიო ობერტო („ვაშინგტონი“, NBA), ხუან პედრო გუტიერესი („გრანადა“, ესპანეთი), რომან გონსალესი („პენიაროლი“);

**ფორვარდები:** ლუის სკოლა („ჰიუსტონი“, NBA), ანდრეს ნოჩიონი („ფილადელფია“, NBA), კარლოს დელფინო („მილუოკი“, NBA), ლეონარდო გუტიერესი („პენიაროლი“), ფედერიკო კამერიჩი („რეგატას კორიენტესი“), ერნან ხასენი („ესტუდიანტესი“, ესპანეთი);

**მცველები:** პაბლო პრიჯონი („რეალი“, ესპანეთი), პაბლო კინტეროსი („სარაგოსა“, ესპანეთი), ხუან კანტერო („დეპორტივო“).

არგენტინა დღეს გაემგზავრება ევროპაში, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატამდე რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს. პირველი მატჩი 15 აგვისტოს გაიმართება.

■ ■ ■

NBA-ის სამი კალათბურთელი ჰყავს განაცხადში პუერტო რიკოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ **მანოლო სინტრონს**. გარდა ამისა, ამ გუნდის შემადგენლობა ორი ევროპელი ლეგიონერით არის გაძლიერებული.

**ცენტრები:** პიტერ ჯონ რამოსი („კებრადილიასი“), დანიელ სანტიაგო („არესიბო“);

**ფორვარდები:** რენალდო ბალკმენი („დენვერი“, NBA), კარმელო ლი („ბაიამონი“), რიკი სანჩესი („სანტურჩე“), ნათან პივი („კვაკენბრიუკი“, გერმანია);

**მცველები:** ლარი აიუსო ( „არესიბო“), ხუან ხოსე ბარეა („დალასი“ NBA), კარლოს აროიო („მაიამი“, NBA), ფილიბერტო რივერა („გალიტოსი“), კრისტიან დალმაუ („ბაიამონი“), ანხეს ვასაიო („ვილერბანი“, საფრანგეთი).


ლუის სკოლა

ინტერვიუ კევინ დურანტთან

# ეგოისტი, რომელიც სათადარიგო სკამზეც თანახმაა

**„ოკლაჰომა სიტის“ კალათბურთელი კევინ დურანტი მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე ამერიკის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იქნება. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ახალგაზრდა ვარსკვლავი ორი წლის წინ, პეკინის ოლიმპიადისთვისაც ემზადებოდა, მაგრამ მაშინ საბოლოო განაცხადში ვერ მოხვდა. ახლა კი ამერიკელები სწორედ კევინზე ამყარებენ მთავარ იმედებს. დურანტი ჟურნალ Slam-ის კორესპონდენტს უყვება იმის შესახებ, თუ რა შეიცვალა მის ცხოვრებასა და კარიერაში ამ ორი წლის განმავლობაში.**



კევინ დურანტი

**- რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა თქვენი გვარი დაინახეთ ეროვნული ნაკრების მაისურზე?**

- ენით აუწერელი გრძნობაა. მაისურის სახლში წაღება მომინდა, მაგრამ სამწუხაროდ, ნება არ დამრთეს. ყოველთვის ვოცნებობდი ნაკრებში თამაშზე და ბედს მადლობას ვწირავ, რომ ასეთი შესაძლებლობა მომეცა. ეს იმას ნიშნავს, რომ მაღალი მიზნების მისაღწევად ჩემს შრომას შედეგი მოაქვს.

**- სანაკრებო შეკრებაზე რომელ საკალათბურთო ელემენტებს ანიჭებთ განსაკუთრებულ ყურადღებას?**

- ყოველდღე ვმუშაობ სროლაზე, რადგან ეს ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, რომლის წყალობითაც დავიმკვიდრე ადგილი NBA-ში. ასევე დიდ დროს ვატარებ სატრენაჟორო დარბაზში. შეიძლება ეს ნაკლებად ჩანს, მაგრამ უფრო დავიკუნთე და ფიზიკურად ძლიერი გავხდი. საერთოდ, მხოლოდ ერთი მიმართულებით მუშაობა არ მჩვევია, ვცდილობ ყოველმხრივ განვვითარდე.

**- ბავშვობაში რა ტიპის კალათბურთის თამაში გიზიდავდათ?**

- ერთი-ერთზე თამაში. ხშირად თავს მაიკლ ჯორდანად ან ვინს კარტერად წარმოვიდგენდი. ვფიქრობ, ეს ძალიან დამეხმარა. მე მათ მატჩებს ვუყურებდი და მეორე დღეს ქუჩაში ნანახი ილეთების გამეორებას ვცდილობდი. ნელა, მაგრამ მეთოდურად ვეუფლებოდი ამ კალათბურთელების თამაშის მანერას. მათი სტილის გადმოღებით კი საკუთარ შესაძლებლობებს ვავითარებდი.

**- რა გამოცდილება შეგძინათ პლეი ოფის პირველ წრეში „ლეიკერსთან“ წაგებამ?**

- რამდენად ცუდადაც უნდა ისროდე და რამდენ შეცდომასაც უნდა უშვებდე, თამაში ბოლომდე უნდა გააგრძელო. თუ შენი გუნდი 20, 10 ან 5 ქულას აგებს, მაინც თითოეული მომენტიდან ან ბურთის ფლობიდან მაქსიმუმი უნდა მიიღო და ყურადღება არ უნდა მიაქციო სტატისტიკას და სხვა ფაქტორებს. მთავარი გამარჯვებაა და მნიშვნელობა არა აქვს, ამას ეფექტურ სტილში მიაღწევ თუ არა.

**- ერთხელ უკვე იყავით ნაკრების საწვრთნელ შეკრებაზე...**

- ეს სამი წლის წინ იყო, სანამ NBA-ში ჩემი პირველი სეზონი დაიწყებოდა. საბოლოოდ, მე და ნიკ კოლისონი უკანასკნელ მომენტში დაგვითხოვეს გუნდიდან. ამის შემდეგ მიმძიმდა ნაკრების თამაშის ყურება. სულ იმაზე ვფიქრობდი, რომ შევძლებდი საუკეთესო შთაბეჭდილების მოხდენას. მაგრამ მოგვიანებით მივხვდი - ჩემი დრო ჯერ არ დამდგარა.

**- ადასტურებთ იმ ფაქტს, რომ პეკინის ოლიმპიადის გუნდი დღევანდელზე უკეთესი იყო?**

- სულაც არა. იმის გამო, რომ მაშინ ოლიმპიადაზე ვერ მოვხვდი, უფრო მეტად მომინდა დამემტკიცებინა, რომ იმათზე უარესი კალათბურთელი არ ვარ, ვინც პეკინში გაემგზავრა. და დამიჯერეთ, დღევანდელ ნაკრებში ჩემნაირად სხვებიც ფიქრობენ. წარუმატებლობა უფრო მეტ ძალას მაძლევს, მიყვარს გამოწვევის მიღება. მაშინდელი გუნდის ცქერისას განრისხებული ვიყავი. არ ვიცი რატომ, მაგრამ სინამდვილეში სწორედ ასე იყო.

**- იქნებ იმიტომ, რომ გრძნობდით - თქვენი ადგილი იქ, ნაკრების მოთამაშეთა შორის იყო?**

- დიახ, თქვენ მართალი ხართ. რაღაც დოზით ყოველთვის ვატყობდი ჩემს თავს ეგოიზმს. მინდა ყოველთვის ის მოთამაშე ვიყო, რომელიც თავის გუნდს მოგებაში დაეხმარება, სულერთია კლუბი იქნება ეს თუ ნაკრები. მაგრამ ყველაფერი შენს სურვილზე არ არის დამოკიდებული.

**- 2008 წელს ნაკრებიდან დათხოვნისას აგიხსნეს თამაშის რომელი კომპონენტის გაუმჯობესებაზე უნდა გემუშავათ?**

- არა, მითხრეს, რომ უნდა გავზრდილიყავი. სათამაშო თვისებები ეჭვს არ იწვევდა. უბრალოდ, ჩემს დროს უნდა დავლოდებოდი. და აი, ჩემი დროც მოვიდა.

**- რას გრძნობთ მოახლოებული ჩემპიონატის წინ?**

- ერთი სული მაქვს, როდის დაასახელებენ საბოლოო შემადგენლობას. ამ ბიჭებთან ერთად პროგრესის მიღწევა მინდა. 2012 წლის ოლიმპიადაზეც ვფიქრობ, სადაც, იმედია, ამჯერად მაინც მოვხვდები. გარდა ამისა, ჩემს პარტნიორებზე დაკვირვებისას ყოველთვის რაღაც ახალს ვსწავლობ. ეს ეხება ლამარ ოდომს, ანდრე იგუოდალას, რუდი გეის, ანუ იმ მოთამაშეებს, რომლებიც ჩემზე ადრე მოვიდნენ კალათბურთში.

**- ევროპულ წესებში არის რამე, რასაც ჯერ ვერ შეეჩვიეთ?**

- მთავარია, ყველა წესი ზუსტად შეისწავლო. თუ ამას გავაკეთებ, პრობლემა არ იქნება.

**- გახსოვთ, პირველად როდის ნახეთ საქმეში ამერიკის ნაკრები?**

- არ მახსოვს რომელი წელი იყო. მაშინ გუნდში კევინ გარნეტი, ვინს კარტერი და სხვები თამაშობდნენ. ეს ის ტურნირია, რომელშიც ვინსი რომელიღაც მოწინააღმდეგეს თავზე გადაახტა (საფრანგეთის ნაკრების ცენტრ ფრედერიკ ვეისს). ეს ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი იყო.

**- როდის მიხვდით, რომ აუცილებლად გინდათ ნაკრებში მოხვედრა?**

- როცა მატჩებს ვუყურებდი, ნაკრების შესახებ ჟურნალებში ვკითხულობდი. მომინდა ამ ერთგვარი საძმოს წევრი გავმხდარიყავი. აღფრთოვანებული ვიყავი იმით, რა დათმობებზე მიდიოდა ხალხი ამ გუნდში მოსახვედრად: იცვლიდნენ დამოკიდებულებას კალათბურთის მიმართ, მოედანზე სულ სხვა ფუნქციებს ასრულებდნენ, ვიდრე კლუბში... ისინი ივიწყებდნენ ვარსკვლავის სტატუსს, მთლიანად გუნდზე მუშაობდნენ და ეს ყველაზე მეტად მომწონს.

**- თქვენ შეურიგდებოდით სათადარიგო მოთამაშის როლს?**

- რა თქმა უნდა, ამაზეც თანახმა ვარ. მოუთმენლად ველოდები ჩემპიონატს. ვიქნები ის, რასაც მთავარი მწვრთნელი მოინდომებს. ერთადერთი რაც მინდა - ჩემპიონატის მოგებაა. გამარჯვების შემთხვევაში, ეს ჩემი პირველი დიდი ჯილდო იქნება კარიერაში.

**- როგორ აისახება ნაკრებში გამოძახება „ოკლაჰომაში“ თქვენს კარიერაზე?**

- ჩემს ვებგვერდზე გამოხმაურებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბევრმა ჯერ კიდევ არ იცის, რას წარმოადგენს ოკლაჰომის შტატი. ამიტომაც ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემი კლუბი და ქალაქი ყველამ სერიოზულად აღიქვას. საქმე ისიცაა, რომ „ოკლაჰომასიტის“ მატჩებს ცენტრალური ტელევიზით ხშირად არ აჩვენებენ, მაგრამ მომავალი სეზონიდან ყველაფერი შეიცვლება. ეს მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც გასულ სეზონში პლეი ოფში გასვლა მოვახერხეთ. „ოკლაჰომაში“ თამაში მეამაყება და იმედი მაქვს, ნაკრებში გამოძახების შემდეგ გუნდის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გაიზრდება.

**- თქვენს ბავშვობაში ინტერნეტში სოციალური ქსელები არ არსებობდა. საშუალება რომ გქონოდათ, NBA-ის რომელ მოთამაშეს გაუგზავნიდით შეტყობინებას?**

- ყველას - სკოტ პოლარდიდან დაწყებული, მაიკლ ჯორდანით დამთავრებული. ყოველთვის მაინტერესებდა, როგორია კალათბურთელი მოედნის მიღმა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი

ტურნირების მიმოხილვა

# კლაისტერსი მზად არის


კიმ კლაისტერსი

ამერიკულ კორტებზე ძალას იკრებს ქალებსა და კაცებს შორის უმაღლესი კატეგორიის ტურნირები. გუშინ, ცინცინატისა და ტორონტოში მერვედფინალისტთა შემადგენლობები დაკომპლექტდა. კაცებში დღემ კვლავ სენსაციების გარეშე ჩაიარა, ქალებში კი ისევ ვიხილეთ რამდენიმე მოულოდნელი შედეგი.

რა თქმა უნდა, პირველ რიგში, აღსანიშნავია ტურნირის მესამე ნომრის - **ელენა დემენტიევას** სრული კრახი. ოლიმპიური ჩემპიონი აშკარად მოუმზადებელი შეხვდა ცინცინატის ტურნირს, რაზედაც მისი პირველი მატჩის ანგარიში მეტყველებს - დემენტიევამ რუსულ დერბიში მხოლოდ ოთხი გეიმი აართვა **ანასტასია პავლიუჩენკოვას** - 1:6, 3:6. ასეთი ნაადრევი ეტაპიდან გამოვარდნის გამო ელენა ბევრ სარეიტინგო ქულას დაკარგავს, თუმცა ჯერ შეინარჩუნებს ადგილს WTA-ის კლასიფიკაციის საუკეთესო ათეულში.

დღის ცენტრალურ მატჩში კი კიდევ ერთი რუსი მონაწილეობდა. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **დინარა საფინა** ჯერ ვერ ახერხებს კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლას. რუსს სერიოზული მეტოქე ჰყავდა - აშშ-ის ღია პირველობის გამარჯვებული, ბელგიელი **კიმ კლაისტერსი**. ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ რუსი მოახერხებდა ამ მატჩის მოგებას.

ეს ჩოგბურთელები ბოლოს სწორედ ცინცინატის ტურნირზე შეხვდნენ ერთმანეთს. კლაისტერსისთვის ეს იყო დიდ ჩოგბურთში დაბრუნების შემდეგ პირველი მატჩი, საფინა კი მაშინ მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახლდათ. რუსმა ორ სეტში შეძლო ბელგიელის დამარცხება. იქედან მოყოლებული, ბევრი რამ შეიცვალა - კლაისტერსი ამერიკის ღიას გამარჯვებული გახდა, საფინას კი ჩავარდნის პერიოდი დაეწყო და ის დღემდე არ გამოსულა კრიზისიდან. დინარას ცინცინატიში შარშანდელ ფინალში გასვლისთვის მიღებული ქულების დაცვა უწევდა, რათა კიდევ უფრო დაქვეითებულიყო რეიტინგში.

საფინამ ეს ამოცანა ვერ შეასრულა. ჩოგბურთელებმა სამი გეიმის თამაში მოასწრეს, რის შემდეგაც წვიმა წამოვიდა და მატჩი ნახევარი საათით შეწყდა. კორტზე დაბრუნების შემდეგ, უფრო სწრაფად თამაშში საფინა შევიდა, რომელიც ბრეიკით დაწინაურდა. კიმმა ძალიან მალე აღადგინა თანაფარდობა, მე-12 გეიმში კი გადამწყვეტი ბრეიკი შეასრულა - 7:5. მეორე სეტში რუსმა ისევ პირველმა აილო მეტოქის მოწოდება, მაგრამ 2:0-ის შემდეგ ზედიზედ ექვსი გეიმი და მასთან ერთად მატჩი წააგო - 2:6. ახლა საფინა 500 სარეიტინგო ქულას დაკარგავს და რეიტინგში დაახლოებით 70-ე ადგილამდე ჩამოქვეითდება.

საფინასგან განსხვავებით, აშკარად პროგრესის გზაზეა **მარია შარაპოვა**, რომელმაც პირველ წრეში **სვეტლანა კუზნეცოვასთან** სამსეტიანი მატჩის შემდეგ, იოლად მოუგო პერსპექტიულ გერმანელ **ანდრეა პეტკოვიჩს**. რუსს საათ-ნახევარი დასჭირდა 39-ე ჩოგანის დასამარცხებლად - 6:3, 6:1 და მერვედფინალში პოლონელ **აგნიეშკა რადვანსკასთან** მოუწევს შეხვედრა. რადვანსკა ზედიზედ მესამე კვირაა შეუსვენებლად თამაშობს, მაგრამ ძალები საკმარისად აქვს. ყოველ შემთხვევაში, პოლონელმა ძალიან დამაჯერებლად მოუგო რუს **ალისა კლეიბანოვას** - 6:4, 6:2.

■ ■ ■

ტორონტოს მასტერსის ფავორიტებს მცირე სირთულეები შეექმნათ მეორე წრის ბარიერის გადალახვისას, თუმცა ყველა მათგანმა ორ სეტში გადაწყვიტა ამოცანა. სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ორი პარტია ერთნაირი ანგარიშით - 7.5 მოუგო ფრანგ **ჟულიან ბენეტოს**. ბელგიელი **ქსავიერ მალისე** პირველ პარტიაში სეტზე აწვდიდა **ენდი მიურეისთან**, მაგრამ შანსი ხელიდან გაუშვა. მოქმედ ჩემპიონს მეტოქისთვის მეტი საჩუქარი არ გაუკეთებია - 7:5, 6:2. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა რაფაელ ნადალმა მარათონული პირველი სეტი ითამაშა შვეიცარიელ **სტანისლას ვავრინკასთან**. პარტია 90 წუთი გაგრძელდა, თუმცა ესპანელი ჩოგბურთელისთვის ასეთი ხასიათის მატჩები ჩვეულებრივი ამბავია - 7:6(14:12), 6:3.

**ATP**

**Rogers Cup**

ტორონტო (კანადა). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 430 000 დოლარი

**II წრე**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც) 7:6(12), 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-ჟულიან ბენეტო (საფ) 7:5, 7:5; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ქსავიე მალისე (ბელ) 7:5, 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 6)**-ფაბიო ფონინი (იტა) 7:5, 6:1; **ჟერემი შარდი (საფ)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 9) 6:7(7), 7:6(5), 6:2; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 12) 1:6, 7:6(4), 7:5; **მიკაელ ლოდრა (საფ)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 14) 7:6(5), 6:2; **გაელ მონფილსი (საფ, 15)**-ტიემო დე ბაკერი (ჰოლ) 7:5, 6:3; **კევინ ანდერსონი (ს. აფრ)**-სემ კუერი (აშშ, 16) 7:6(4), 4:6, 6:4; **ვიქტორ ჰანესკუ (რუმ)**-პიტერ პოლანსკი (კან) 6:4, 7:6(4); **დავიდ ნალბანდიანი (არგ)**-ტომი რობრედო (ესპ) 6:3, 6:0; **იენ-ჰსუნ ლუ (ტაივ)**-პოლ ანრი მატიო (საფ) 3:6, 7:6(3), 7:6(5); **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ) 6:4, 3:6, 6:0.

**WTA**

**Women's Open**

ცინცინატი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 000 000 დოლარი

**II წრე**

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 2)**-სიბილ ბამერი (ავსტრია) 6:0, 6:2; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს)**-ელენა დემენტიევა (რუს, 3) 6:1, 6:3; **კიმ კლაისტერსი (ბელ, 4)**-დინარა საფინა (რუს) 7:5, 6:2; **ელენა ვესნინა (რუს)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 5) 6:4, 6:4; **ვერა ზვონარევა (რუს, 6)**-მარია კირილენკო (რუს) 7:5, 2:6, 7:6(2); **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 7)**-ალისა კლეიბანოვა (რუს) 6:4, 6:2; **ნა ლი (ჩინ, 8)**-სარა ერანი (იტა) 6:2, 6:2; **მარია შარაპოვა (რუს, 10)**-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) 6:3, 6:1; **ფლავია პენეტა (იტა, 11)**-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 6:0, 6:1; **იანინა ვიკმაიერი (ბელ, 12)**-ხისელა დულკო (არგ) 7:6(3), 6:2; **შაარ პეერი (ისრ, 13)**-ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ) 6:3, 6:2; **ანა ივანოვიჩი (სერ)**-იაროსლავა შვედოვა (ყაზ) 6:1, 7:5; **კრისტინა მაკჰეილი (აშშ)**-აიუმი მორიტა (იაპ) 6:2, 6:4.

ცურვა

ევროპის ჩემპიონატი

# ჩემპიონის რევანში


პოლ იონსენი

ისევე როგორც წინადღეს, ოთხშაბათსაც ბუდაპეშტის აუზში მედლების ხუთი კომპლექტი გათამაშდა. ყველაზე დიდი ინტერესი გერმანელი **პაულ ბიდერმანის** გამოსვლამ გამოიწვია. შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატზე **მაიკლ ფელპსის** მძლეველმა წლევანდელი პირველობა სუსტად დაიწყო - 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ოქროს მედალი დაკარგა და ორჯერ ნაკლებ დისტანციაზე რევანშისთვის იყო განწყობილი. მას ორი რუსი კონკურენტი ჰყავდა - ამ ჩემპიონატზე 4x100 მეტრზე ესტაფეტის გამარჯვებულები - **ლობინცევი და იზოტოვი**.

გერმანელმა მშვიდი სტარტი აიღო და პირველი 100 მეტრის შემდეგ მეექვსე იყო, მაგრამ შემდეგ მკვეთრად უმატა ტემპს და იოლად დაამარცხა ყველა კონკურენტი. ვერცხლი და ბრინჯაო თითქოს რუს მოცურავეებს უნდა მოეგოთ, მაგრამ მათ ბრძოლაში მოულოდნელად ჰოლანდიელი **სებასტიან ვერშურენი** ჩაერია და ცოტა დააკლდა მეორე ადგილზე გასასვლელად. ლობინცევმა ბოლო მომენტში გაუსწრო ჰოლანდიელს, რომელიც ბრინჯაოთი დაკმაყოფილდა.

1500 მეტრზე მარათონული დისტანცია ისტორიული შედეგით დასრულდა. პირველად ასეთი დონის ტურნირზე მედალი ერგო ფარერების კუნძულების წარმომადგენელს. აქამდე ყველასთვის უცნობმა **პოლ იონსენმა** სენსაციურად მოიგო ვერცხლის მედალი. რაც მთავარია, კუნძულელი ბოლო მომენტამდე ებრძოდა ფრანგ **სებასტიან რუოს** და მხოლოდ დისტანციის უკანასკნელ მეტრებზე დამარცხდა მომავალ ჩემპიონთან. ბრინჯაოს მედალი იტალიელი **სამუელ პიცეტის** საკუთრება გახდა.

ქალებს შორის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ხელი მოეცარა მთავარ ფავორიტს - 16 წლის შვედს **სარა სიოსტრიომს**. მან ამ ჩემპიონატზე უკვე მეორე დისციპლინაში მიიღო მონაწილეობა და კვლავ მეოთხე მივიდა ფინიშთან. ყველაზე სწრაფი ბრიტანელი **ფრანჩესკა ჰოლსალი** აღმოჩნდა. პირველი მედალი მოიგო ჩემპიონატზე ბელარუსის ნაკრებმა - მეორე ადგილი დაიკავა გამოცდილმა **ალექსანდრა გერასიმენიამ**.

ბოლო ფინალმა ადგილობრივი მაყურებლები გაახარა. **ლასლო ჩეხს** ევროპის ბოლო ორ ჩემპიონატზე ორი ოქრო ჰქონდა მოგებული 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში და მისგან ამ სერიის გაგრძელებას ითხოვდნენ. უნგრეთმა გაამართლა ადგილობრივი პუბლიკის მოლოდინი. მართალია, ჩეხს ბოლოს ავსტრიელი **მარკუს როგანი** წამოეწია, მაგრამ მასპინძელმა შეტევებს გაუძლო და მეშვიდე ოქრო მოიპოვა კონტინენტის პირველობებზე.

| | |
|---|---|
| **კაცები** | |
| **200 მ. თავისუფალი** | |
| 1. პაულ ბიდერმანი (გერ) | 1.46,06 |
| 2. ნიკიტა ლობინცევი (რუს) | 1.46,51 |
| 3. სებასტიან ვერშურენი (ჰოლ) | 1.46,91 |
| **1500 მ. თავისუფალი** | |
| 1. სებასტიან რუო (საფ) | 14.55,17 |
| 2. პოლ იონსენი (ფარ) | 14.56,90 |
| 3. სამუელ პიცეტი (იტა) | 14.59,76 |
| **200 მ. კომპლექსური** | |
| 1. ლასლო ჩეხი (უნგ) | 1.57,73 |
| 2. მარკუს როგანი (ავსტრია) | 1.58,03 |
| 3. ჯო რიობეკი (ბრიტ) | 1.59,46 |
| **ქალები** | |
| **100 მ. თავისუფალი** | |
| 1. ფრანჩესკა ჰოლსალი (ბრიტ) | 53,58 |
| 2. ალექსანდრა გერასიმენია (ბლრ) | 53,82 |
| 3. ფემკე ჰეემსკერკი (ჰოლ) | 54,12 |
| **100 მ. ბრასი** | |
| 1. იულია ეფიმოვა (რუს) | 1.06,32 |
| 2. რიკე პედერსენი (დან) | 1.07,36 |
| 2. ჯენი იოჰანსონი (შვედ) | 1.07,36 |

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ოვიედო-ესპანიოლი | 1:2 |
| ლევანტე-ხეტაფე | 1:2 |
| პალერმო-ვალენსია | 1:0 |
| **Under 19** | |
| სერბეთი-სლოვენია | 2:1 |
| **იტალიის თასი** | |
| სიენა-ტერნანა | 2:0 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ფიურტი A-ულმი | 3:1 |
| კარლსრუე A-ფრაიბურგი A | 1:1 |
| კასელი-ვაიდენი | 2:1 |
| ვორმატია-ჰოფენჰაიმი A | 1:5 |
| მემინგენი-ნიურნბერგი A | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| იონჩოპინგი-ნორჩოპინგი | 2:1 |
| ლიუნგსკილე-ანგელჰოლმი | 2:2 |

| | |
|---|---|
| **ფინეთი** | |
| ოულუ-მიუპა | 1:1 |
| **ავსტრიის თასი** | |
| მატერსბურგი A-ავსტრია A | 0:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ტორონტო** | |
| **ბერდიხი**-დოლგოპოლოვი | 6:3, 6:7, 6:4 |
| **ნალბანდიანი**-სოდერლინ. | 4:6, 6:4, 6:1 |
| დავიდენკო-**შარდი** | 3:6, 2:6 |
| **ფედერერი**-ლოდრა | 7:6, 6:3 |
| **კოლშრაიბერი**-ლუ | 6:7, 7:5, 6:0 |
| **მიურეი**-მონფილსი | 6:2, 0:6, 6:3 |
| **WTA. ცინცინატი** | |
| **ივანოვიჩი**-ვესნინა | 6:0, 6:3 |
| ნა ლი-**ვიკმაიერი** | 6:2, 2:6, 6:7 |
| ვოზნიაცკი-**ბარტოლი** | 4:6, 1:6 |
| ზვონარევა-**პენეტა** | 4:6, 3:6 |
| პეერი-**პავლიუჩენკოვა** | 7:5, 4:6, 4:6 |
| იანკოვიჩი-**ამანმურადოვა** | 6:7, 4:6 |
| **შარაპოვა**-ა. რადვანსკა | 6:2, 6:3 |

TV პროგრამა

**13 აგვისტო. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:20** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**08:20** ჰოლანდიის ჩემპიონატი. როდა-ტვენტე.
**10:10** საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-სტ. ეტიენი.
**12:00** ახალი ამბები.
**12:20** უიქ ენდის მატჩების ანონსი.
**12:25** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**12:30** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ატლეტიკო-ფულჰემი.
**15:10** საფეხბურთო პროგრამა.
**15:40** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**15:45** ახალი ამბები.
**16:05** ამხანაგური მატჩი. ინგლისი-უნგრეთი.
**17:55** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**18:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერენვეენი-ეინდჰოვენი.
**19:50** ახალი ამბები.
**20:15** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**20:20** სასტვენი.
**21:10** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბაიერნი-ინტერი.
**23:25** საფეხბურთო პროგრამა.
**23:55** ახალი ამბები.
**00:15** ჰოლანდიის ჩემპიონატი. როდა-ტვენტე.
**02:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-სტ. ეტიენი.
**03:50** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-უიგანი.
**05:45** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მონაკო.

**EUROSPORT**

**10:35** ცურვა. ევროპის ჩემპიონატი. ბუდაპეშტი. უნგრეთი.
**11:30** ცურვა. ევროპის ჩემპიონატი. ბუდაპეშტი. უნგრეთი (LIVE).
**13:30** წყალში ხტომა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 3 მ. ფინალი. ბუდაპეშტი. უნგრეთი.
**14:00** წყალში ხტომა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 3 მ. წინასწარი. ბუდაპეშტი. უნგრეთი (LIVE).
**15:00** ფეხბურთი. ევრო 2012. ტელეჟურნალი.
**15:45** ცურვა. ევროპის ჩემპიონატი. ბუდაპეშტი. უნგრეთი.
**16:30** წყალში ხტომა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 10 მ. წინასწარი. ბუდაპეშტი. უნგრეთი (LIVE).
**17:30** წყალში ხტომა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 10 მ. ფინალი. ბუდაპეშტი. უნგრეთი (LIVE).
**18:30** ცურვა. ევროპის ჩემპიონატი. ბუდაპეშტი. უნგრეთი.
**19:00** ცურვა. ევროპის ჩემპიონატი. ბუდაპეშტი. უნგრეთი (LIVE).
**20:30** ცურვა. ევროპის ჩემპიონატი. ბუდაპეშტი. უნგრეთი.
**20:45** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:55** ტრამპლინიდან ხტომა. საზაფხულო გრან-პრი. HS 120. კურშეველი. საფრანგეთი (LIVE).
**22:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ცინცინატი. აშშ (LIVE).
**00:45** წყალში ხტომა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 10 მ. ფინალი. ბუდაპეშტი. უნგრეთი.
**01:30** ცურვა. ევროპის ჩემპიონატი. ბუდაპეშტი. უნგრეთი.
**02:45** ტრამპლინიდან ხტომა. საზაფხულო გრან-პრი. HS 120. კურშეველი. საფრანგეთი.

ამბები

მძლეოსნობა

## ჩემპიონმა თავი მოიკლა?

როგორც წინა ნომერში ვწერდით, სიდნეის ოლიმპიადის ყოფილი ჩემპიონი, ამერიკელი სპრინტერი **ანტონიო პეტიგრიუ** 42 წლის ასაკში გარდაიცვალა. სპორტსმენი ქალაქ ჩეტემში, ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტთან ახლოს საკუთარი მანქანის უკანა სავარძელზე მკვდარი იპოვეს. სწორედ ამ უნივერსიტეტში მუშაობდა პეტიგრიუ მწვრთნელად ბოლო ოთხი წლის განმავლობაში.

პოლიცია ვარაუდობს, რომ ყოფილმა ჩემპიონმა დასაძინებელი წამლის ზედმეტი დოზა მიიღო. როცა პეტიგრიუ მისმა ორმა მეგობარმა აღმოაჩინა, მათ ეგონათ, რომ მწვრთნელს ეძინა. მხოლოდ მოგვიანებით მიხვდნენ, რომ უბედურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

ადგილობრივი შერიფის ცნობით, განიხილება თვითმკვლელობის ვერსია, თუმცა ტოქსიკოლოგიურ ექსპერტიზას დაახლოებით თვე დასჭირდება.

შეგახსენებთ, რომ პეტიგრიუმ კარიერის დასრულების შემდეგ დოპინგის მიღება აღიარა და მას სიდნეის ოლიმპიადაზე მიღებული ოქროს მედალი ჩამოართვეს.

## პაუელი ლონდონშიც არ გაირბენს

იამაიკელი სპრინტერი **ასაფა პაუელი** გამოტოვებს „ბრილიანტის ლიგის" ლონდონის ეტაპს, რომელიც მომავალ უქმეებზე გაიმართება. მსოფლიოს ყოფილ რეკორდსმენს მუხლისა და ზურგის ტრავმა აწუხებს. სწორედ ამ დაზიანებების გამო გამოტოვა ასაფამ წინა კვირას სტოკჰოლმის ეტაპი. იქ პაუელი ამერიკელ **ტაისონ გაისა** და თანამემამულე **უსაინ ბოლტს** უნდა შეხვედროდა. აღსანიშნავია, რომ ბოლტმა ის გარბენი წააგო და ამის შემდეგ სეზონის დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა.

*„ლონდონის ეტაპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტარტია სეზონში და გული მწყდება, რომ იქ გამოსვლას ვერ ვახერხებ. გუშინ, ექიმთან შემოწმებაზე ვიყავი და მან სწრაფად გამოსაჯანმრთელებლად ამ ეტაპზე ტურნირებისგან თავის შეკავება მირჩია. მეგონა ტრავმა სერიოზული არ იყო, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი პირიქით ყოფილა",* - განაცხადა პაუელმა.

ველოსპორტი

## კონტადორი დანიაში იასპარეზებს

ტურ დე ფრანსის სამგზის ჩემპიონი **ალბერტო კონტადორი** დანიაში 65-კილომეტრიან რბოლაში მიიღებს მონაწილეობას. ესპანელ ველომრბოლთან ერთად, რომელმაც ცოტა ხნის წინ კონტრაქტი გააფორმა დანიურ გუნდ Saxo Bank-თან, რბოლაში მონაწილეობას მიიღებენ დანიელი პროფესიონალები და მოყვარულები.

შეჯიბრება ქალაქ ჰერნინგის გარეუბანში ჩატარდება. სწორედ აქ ცხოვრობს Saxo Bank-ის გენერალური მენეჯერი, ტურ დე ფრანსის ყოფილი ჩემპიონი **ბიარნე რიისი**. უფრო ადრე რბოლაში მონაწილეობა დაადასტურეს სხვა ვარსკვლავებმა - **ფრენკ შლეკმა, კარლოს სასტრემ და სტიუარტ ო'გრეიდიმ.**

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შემცირებული ხელფასები

ჩვენ რეგულარულად გთავაზობთ ცნობილი ბრიტანელი ექსპერტისა და კომენტატორის **ჯეიმს ალენის** ანალიზს ფორმულა 1-ის მიმდინარე ჩემპიონატის შესახებ. ამჯერად, ალენი შეეცადა გაერკვია, რამდენად შეეხო ეკონომიკური კრიზისი ავტომრბოლთა ხელფასებს...


მილიონერები

ჯეიმს ალენი: „ადრე ასეთი საკითხები ნაკლებად მაინტერესებდა, მაგრამ ახლა გარკვეული ცნობები შევაგროვე, ფორმულა 1-ში კომპეტენტურ ადამიანებს აზრი ვკითხე და მეტად საინტერესო ინფორმაცია მივიღე. ეს სულაც არ არის ამომწურავი ცნობები და მხოლოდ პილოტების აგენტების, მათი მენეჯერებისა და გუნდების წარმომადგენლების შეფასებებს ემყარება. მაგრამ გარკვეული წარმოდგენის მიღება მაინც შეიძლება.

როგორც წესი, მრბოლელის შემოსავლის 70 პროცენტი ფიქსირებულ ჰონორარს წარმოადგენს, 30 პროცენტი - პრემიალური ბონუსებია. მათი ოდენობა დამოკიდებულია პოდიუმებისა და გამარჯვებების რიცხვსა და ჩემპიონატში დაკავებულ ადგილზე. სავარაუდოდ, ერთადერთი გამონაკლისია „რედ ბული“, სადაც ჰონორარი მხოლოდ 40 პროცენტია და 60 პროცენტი ეკუთვნის საპრიზო ბონუსებს. ალბათ, ამიტომაც არის, რომ ამ გუნდის პილოტები ყველაზე მეტად განიცდიან გამარჯვების ხელიდან გაშვებას.

თუ ფულზე ვილაპარაკებთ, ამ საკითხში „რედ ბული“ ცდილობს, სებასტიან ფეტელი და მარკ უებერი თანაბარ პირობებში იყვნენ: ჰონორარის სახით, თითოეული 3.5 მილიონ ევროს იღებს. მიმდინარე სეზონის შედეგების გათვალისწინებით, ეს თანხა, ალბათ, გაორმაგდება.

უებერმა ოთხი გრან-პრი მოიგო და სათავეში უდგას საერთო ჩათვლას, ფეტელს კი ორი გამარჯვება აქვს და თანაგუნდელს ბევრით არ ჩამორჩება. მაგრამ რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ პილოტების შემთხვევაში მატერიალურ სტიმულს ნაკლები მნიშვნელობა აქვს - ორივენი მონდომებით იბრძვიან გამარჯვებისთვის და ტიტულის მოპოვება უნდათ, რადგან ყველაზე სწრაფი მანქანა ჰყავთ ჩემპიონატში.

გასული სეზონის ბოლოს ბევრი პილოტი გადადიოდა გუნდიდან გუნდში და საჯინიბოების ხელმძღვანელები ყველანაირად ცდილობდნენ, როგორმე დაბლა დაეწიათ პილოტთა ჰონორარების საშუალო მაჩვენებელი. ეს ყველაფერი გლობალური ფინანსური კრიზისისა და ფორმულა 1-დან მდიდარი ავტოკონცერნების - „ტოიოტასა“ და BMW-ის წასვლის ფონზე ხდებოდა. მაშინ გუნდებმა რესურსების შემცირების შეთანხმებას მიაღწიეს. ეს არ ეხებოდა პილოტების სახელფასო ბიუჯეტსა და მარკეტინგს, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბოსები ყველაზე ძვირად ღირებული პილოტების შემოსავლების შეკვეცასაც აპირებდნენ.

მოტყუებული რომ არ დარჩენილიყვნენ, პილოტების აგენტები ერთმანეთს ინფორმაციებს უცვლიდნენ. მიუხედავად ამისა, მათი კლიენტები იძულებულნი გახდნენ ნაწილობრივ შემცირებულ ჰონორარებს დათანხმებულიყვნენ. ეს პროცესი ფორმულა 1-ში საერთო დანახარჯების შემცირების პროცესს დაუკავშირეს.

ლუის ჰემილტონს გაუმართლა, რადგან მან ხუთწლიანი კონტრაქტი 2007 წლის შემოდგომაზე, ეკონომიკური პიკის პერიოდში გააფორმა. ამ დროს მას უკვე ჩატარებული ჰქონდა სენსაციური სადებიუტო სეზონი. გარდა ამისა, ბრიტანელმა სარეკლამო კონტრაქტები გააფორმა კომპანიებთან - Bombardier Aerospace-თან და Reebok-თან, რასაც მისთვის წლინადში 3 მილიონი ევრო მოაქვს. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ჰემილტონი ყველაზე ნაკლებად დააზარალა ეკონომიკურმა კრიზისმა.

რა თქმა უნდა, დიდი შემოსავლები აქვს ფერნანდო ალონსოს. ძალიან რთული გასარკვევია, რამდენს უხდის ესპანელს „ფერარი“ და რამდენს - ბანკი Santander. რეალურია ციფრები, რომელიც საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა მომაწოდეს: სეზონში ფერნანდოს შემოსავალი 12-15 მილიონ ევროს უდრის.

ფელიპე მასამ ცოტა ხნის წინ ორი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი „სკუდერიასთან“ და ის ძალაში 2011 წლიდან შევა. მოქმედი ხელშეკრულება კი 2007 წლიდან მოქმედებს და მისი მიხედვით, ბრაზილიელის წლიური შემოსავალი საკმაოდ სოლიდურ მაჩვენებელს - 12 მილიონ ევროს უახლოვდება. დარწმუნებული არ ვარ, რომ მომავალი წლიდან მასა ასეთივე თანხას მიიღებს: სავარაუდოდ, ბრაზილიელს ახალ ეკონომიკურ რეალობასთან მოუწევდა შეგუება, თანაც გასათვალისწინებელია მისი დღევანდელი შედეგები.

ჯენსონ ბატონი „ბრაუნ გრან-პრიდან“ „მაკლარენში“ ჩემპიონის რანგში გადავიდა და ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა, მათ შორის ფინანსური. ახლა ბრიტანელ პილოტს 8 მილიონ ევროს უხდიან და ეს დიდი პროგრესია წინა წელთან შედარებით - ბატონის ხელფასი „ბრაუნში“ 3 მილიონს უდრიდა. თუმცა „ჰონდაში“ გამოსვლისას ჯენსონის შემოსავალი ახლანდელს უტოლდებოდა - 7-8 მილიონი ევრო.

პარადოქსია, მაგრამ ყველაზე დიდი შემოსავალი კიმი რაიკონენს აქვს, რომელიც ფორმულა 1-ში აღარ გამოდის. შარშან, კონტრაქტის დარღვევისთვის „ფერარი“ მას 19 მილიონ ევროს სთავაზობდა. ეს თანხა იმ შემთხვევაში შემცირდებოდა, თუ ფინელი სხვა სამუშაოზე გადავიდოდა. კიმიმ რალის ჩემპიონატი აირჩია და ახლა თავს შესანიშნავად გრძნობს.

რაიკონენი „სიტროენში“ 10 მილიონ ევროს იღებს, „ფერარი“ კი ამ თანხას 9 მილიონს უმატებს. თუმცა ძველ დროში კიმი „სკუდერიაში“ 30 მილიონს იღებდა. საინტერესოა, რა დრო უნდა გავიდეს, რომ ხელფასები ამ დონეს დაუბრუნდეს?

რთული აღმოჩნდა მიხაელ შუმახერის ხელფასის შესახებ ცნობების შეგროვება, თუმცა „მერსედესში“ ირწმუნებიან, რომ ლეგენდარულ გერმანელს იმაზე ნაკლებს უხდიან, ვიდრე შუმი „ფერარიში“ იღებდა - იტალიურ გუნდში მისი ხელფასი დაახლოებით 25 მილიონი იყო. მიხაელის გუნდში ყოფნა სპონსორების მოზიდვის გარანტიაა, ასე რომ, შუმახერს 10 მილიონზე ნაკლები არ ექნება.

წამყვან გუნდებს მომავალი ჩემპიონატისთვის შემადგენლობები დაკომპლექტებული აქვთ, ამიტომაც მსხვილ საკადრო ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ, შესაბამისად, წლევანდელი ზამთარი ღარიბი იქნება დიდი კონტრაქტების მხრივ“.


ახალი მერსედესი

# ინდოეთს ორი გრან-პრი უნდა

მომავალ სეზონში დებიუტი ექნება ინდოეთის გრან-პრის, თუმცა აქამდე ფართო საზოგადოებისთვის უცნობი იყო ქალაქ ნიუ დელიში ახალი ტრასის კონფიგურაცია და ავტოდრომის პროექტი. გუშინ, ცნობილი გერმანელი არქიტექტორის **ჰერმან ტილკეს** ბიურომ საკუთარ ვებგვერდზე მომავალი ავტოდრომის რამდენიმე ილუსტრაცია გამოაქვეყნა, რომელიც საერთო წარმოდგენას შეგვიქმნით ინდოეთის გრან-პრის საავტომობილო კომპლექსზე. სხვა დეტალებზე ტილკე არ აქვეყნებს.

უშუალოდ ტრასის შესახებ მხოლოდ მისი სიგრძე გახდა ცნობილი. ადრე წერდნენ, რომ ერთი წრე ხუთ კილომეტრზე ნაკლები იქნებოდა, ახლა ეს ციფრი 5,1 კილომეტრს გაუტოლდება.

ამასობაში, ინდოეთის მთავრობამ უცნაური და ამბიციური გეგმის შესახებ ამცნო სპორტულ სამყაროს - ამ ქვეყანას ფორმულა 1-ის ორი გრან-პრის ორგანიზება სურს. როგორც ირკვევა, ნიუ დელის ავტოდრომის პარალელურად, ქალაქ მუმბაიში ფორმულას კიდევ ერთი ტრასა აშენდება. ამასთან დაკავშირებით, მუმბაის პროექტის ავტორები 17 აგვისტოს ფორმულა 1-ის შეფობას შეხვდებიან და იქ განიხილავენ ინდოეთში ორი ეტაპის ჩატარების შესაძლებლობას.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



# მერსედესი ჰაკინენს აბრუნებს

მანქანა - Mercedes SLS კარგად არის ცნობილი ფორმულა 1-ის ყველა გულშემატკივრისთვის. ამ სეზონში მსოფლიოს ჩემპიონატის ეტაპებზე სწორედ ეს მანქანა ასრულებს უსაფრთხოების ავტომობილის როლს. ამასობაში, „მერსედესში“ დაამზადეს SLS-ის ახალი ვერსია, რომელიც სამოყვარულო და პროფესიულ დონეზე რბოლებისთვის იქნება განკუთვნილი. დასახელდა ახალი მანქანის ფასიც - ის დაახლოებით 400 ათას ევროს უდრის.

ახალ ავტომობილში კარი ქვემოდან ზემოთ იღება და მას „თოლიას ფრთა“ შეარქვეს. „მერსედესი“ უკვე გამოცადა DTM-ის სერიის ხუთგზის ჩემპიონმა, ლეგენდარულმა **ბერნდ შნაიდერმა**, 25 სექტემბერს კი მანქანის დებიუტი შედგება - ამისთვის შეარჩიეს VLN-ის ოთხსაათიანი რბოლა, რომელიც „ნიურნბურგრინგზე“ იმართება.

როგორც გერმანული პრესა წერს, „მერსედესის“ სპორტული განყოფილების ხელმძღვანელობამ გერმანულ ავტოდრომზე გამოსვლა ფორმულა 1-ის ორგზის ჩემპიონს, ფინელ **მიკა ჰაკინენს** შესთავაზა. სკანდინაველს ორწელიწად-ნახევარია მონაწილეობა არ მიუღია რბოლებში - მას შემდეგ, რაც DTM-ში გამოსვლა დაასრულა. ამავდროულად ცნობილია, რომ ფინელს „მერსედესთან“ ძველი და ძალიან ახლო ურთიერთობა აქვს. ამიტომაც ვარაუდობენ, რომ ჰაკინენი ხელიდან არ გაუშვებს იშვიათი მანქანით რბოლაში მონაწილეობის შესაძლებლობას და ამ წინადადებას დათანხმდება.